რითი ჰგავს ან განსხვავდება მარმარილოში მხატვრული გამოკვეთილი გზირი მეცნიერული ცნებაში გახსრებული გზირი? რა საერთოდ და განმასხვავებელი ნიშნები განაჩნობს მათ? ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გზირობის არსებით ნიშნებთან, ორივეში თაბორილია საყოველთაო არსებითი ნიშნები: ვაგეცობა, თავდადება, გზირობა. სხვა ნიშნები კი უგულებელყოფილია. კვირობის მწვენიერული ცნება და მხატვრული სხვი ერთად და იმავე დროს ჰგავს და არცა ჰგავს სინამდვილემი არსებულ გზირს. „მარმარილოს განდადების დაანახვის მამინე იმას ვგონობთ, რომ ამ მარმარილოს სხვი უსიტკად, უკუგვლად შეგატყობინათ გამომკვეთლის აზრი. ის აზრი სახეზე და სახის ნაკეთობში იყო აბტუდელი, მერე იყცხადა, რომ თქვენ მამინე იცანით... ყველა ცობიერად გიხონათ აზრი“.

მეცნიერულ ცნებაში გახსრებული საყოველთაო ნიშნები გათავსანობიებულია მარმარილოს ჰანდაცებაში. ცნება არ იძლევა ზოგადს ერთეულ სახემი. მხატვრული სახე კი ზოგადს ისეთ ერთეულ სახემი გვაქვს, რომელიც საესთეტიკო შემეცნობითა, შეხამებულა, ჰარმონიითა ამ ზოგადს, არსებით ნიშნებთან (გზირობა, ვაგეცობა, თავდადება). მამინეადაც, მეცნიერებაში მოცემული საყოველთაო ნიშნები, ზოგად ერთეულში მოცემული მხატვრული სახე, მარმონიში წარმოდგენილი ვაგეცობის, თავდადების საყოველთაო ნიშნებთან ერთად ვაგელვს იმ საერთოდ დამასახათებელს, რაც გზირობის საერთოდ ცნებაშია მოცემული. მხატვრულ შემეცნებაში განისაზღვრება სხვადასხვა სახე, საზოგადოებრივი პრაქტიკისა და მსოფლმხედველობის როლი, რომელიც მხატვრული მეთოდის ფორმირებაში არსებითი ფაქტორია.

სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმებში სახე სოციოლოგიური სქემა კი არ არის, არამედ მხატვრის ადამიანი, რომელიც უშუალოდ ცხოვრების მოვლენებთანა დაკავშირებული და გამომდინარეობს თვით ცხოვრებიდან.

მომინევე პროგრესული ინტელექტიცობა ყოველთვის მიუთითებდა მხატვრის იდეურობასა და სიმართლის აუცილებლობაზე. მხატვრული სიტყვის ოსტატების ძირითადი შეხედულებანი ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კავლებით. ბელონისკის ცნობილი გამოთქმა ხელოვნების, იდეის, ცხოვრებისა და ბოუნის დამოკიდებულების შესახებ ამტკიცებს იმას, რომ გარკვეული იდეის გარეშე ხელოვნან არ შეძლია შექმნას დიდი მხატვრული ტილი, რომელშიაც ჩაქსოვილი არ იქნება ამაინავენი გზირობები. მხატვრული სახეები განაპილებანი ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულებით, სადაც შინაარსი განმასაზღვრელია ფორმისა.

„შემომედების თავისუფლება ადვილად გვება თანამედროვეობის სამსახურს, — წერდა ბელონისკი — ამისათვის საჭიროა მხოლოდ მოქალაქე იყო, შენი საზოგადოებისა და შენი ეპოქის შვილი, შეითვისო მისი ინტერესები, შეუერთო შენს მიზანსწრაფვას. ამას ჰქვინდება სიმამითა, სყვარული, ჰუმანობის ჯანსალი, პრაქტიკული გრძნობა, რომელიც არ გამოაფოს რწმენას საქმისაგან, ოხსულებას ცხოვრებისაგან“.

საგანთა ესთეტიკური შინაარსი რთულია. ესთეტიკური იდეალი საზოგადოებრივი პრაქტიკის კონქეტირებული გამოსახულებია. ესთეტიკური იდეალის საშუალებით იხსნება ესთეტიკური შინაარსი და მნიშვნელობა საგნებში — და მოცემულობის, ხდება სამყაროს მხატვრული ასახვა, სინამდვილის მხატვრული ფორმით შეცნობა.

1 ი. ჰეგელი, თხ., ტ. II, გვ. 402-403.

2 В. Белинский, собр. соч., т. VII, стр. 312.



ზოგადი რაე ბაჟურიანის სემინარიაზე

კორნელი კინწურაშვილი

რომღირი ლომბიერი, ან მკაცრი შემფასებელიც არ უნდა ჰყავდეს ბაჟურიანის სემინარებს, გადაუჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი თაობის წარმომადგენელთა შეკრებებმა ქართული საზოგადოების ყურადღება მიიქცია და საცხებით სამართლიანად, რადგან ამ სემინარებზე წამოიჭრა და გადაწყდა ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე მდგარი ბევრი აქტუალური საკითხი, დასაბამი მიეცა მრავალ საინტერესო და სასარგებლო წამოწყებას.

ინიციატივა ამ სემინარების ჩატარებისა საქართველოს ალკე ცენტრალურ კომიტეტს ეკუთვნის, რომელიც მუდამ მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული მშობლიურ წყარო-ლომბოსთან და ხელოვნებასთან. მან ახალგაზრდა მწერლებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, აეატრისა და კინოს მუშაკებთან მუშაობას საფუძვლად დაუდო პარტიის მოწოდება — „შემოქმედებითი ახალგაზრდობის მთელი ძალეები კომუნისტის საქმისათვის ბრძოლაში“. ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპები ყოველთვის იყო რესპუბლიკის კომკავშირის და შემოქმედებითი ინტელიგენციის აქტუური თანამშრომლობის მყარი საფუძველი.

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართვე-

ლოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კომისია, რომელიც თავიდანვე დაიყო ლიტერატურის, მუსიკის, სახეობის ხელოვნების, თეატრისა და კინოს სექციებად. სექციების მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ლიტერატურისა და ხელოვნების გამორჩენილმა მოღვაწეებმაც, რამაც კეთილი გავლენა იქონია ამ სექციების მუშაობაზე. საკმარისია ითქვას, რომ ლიტერატურის სექციას წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი პოეტი სიმონ ჩიჭოვანი. სექციათა სხდომებზე სისტემატურად განიხილავდნენ ახალ ნაწარმოებებს, ეწყობოდა შეხვედრები, დისკუსიები, ლიტერატურული სადამოებო, იმედეზობდა საუკეთესო ნაწარმოებები. გარდა ამისა, ესთეტიკური აღზრდის კომისიამ დიდად შეუწყო ხელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეს, ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა მოძრავი გამოფენების მოწყობას, კლასიკური თუ თანამედროვე ქართული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაციას. ახალგაზრდა კომპოზიტორების მიერ თბილისის საშუალო სკოლებზე შეფიქრებული ურთულ კარგი საქმე გაკეთდა.

ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კომისიის წევრი მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები, ინდივიდუალურად თუ ბრიგადების სახით, ახლოს ეცნობოდნენ ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობის ცხოვრებას, რის საფუძველზეც შეიქმნა არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოები, ფილმური ტილო, არქიტექტურული ნაგებობა და სხვ. ამგვარმა ინიციატივამ დაბადა მშვენიერი ქართული მხატვრული ფილმი „ეთერი ქარავანი“, ენგურაქისის მშენებელთა საინტერესო მხატვრული ციკლი, დაიწერა მრავალი ლექსი, პოემა, მხატვრული ნარკვევი თუ მოთხრობა.

ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კომისიის სექციათა გამსვლელმა სხდომებმა, სხვადასხვა ნაწარმოებების გარჩევამ და შემოქმედებითმა მიჯლინებებმა ფაბრიკა-ქარხნებსა და მშენებლობებზე, საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკებისა და წარმოების ახალგაზრდა მოწინავეთა შეგობრობას. ბაჟურიანში ჩატარებულმა ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის სემინარებმა კიდევ უფრო მჭიდროდ დააახლოვა ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, რეჟისორები, არქიტექტორები, თეატრისა და კინოს მსახიობები. მათ შორის საქმიანი კონტაქტი დამყარდა და ცხოვრების მიერ ხელოვნების წინაშე დასმული აქტუალური პირობებების გადაწყვეტისათვის ძიებდა ერთობლივად დაიწყეს.

რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის პირველი სემინარა ბაჟურიანში ამ ოთხი წლის წინათ მოეწყო. მაშინ მსჯელობის სახანი იყო შეტად აქტუალური კახეთისეული პირობებმა — „ახალგაზრდა შემოქმედების მოქალაქეობის გაოქმ“. სემინარაზე ითქვა თუ რა დიდ როლს ასრულებს შემოქმედი სოციალიზმისა და კომუნისტების მშენებლობაში, იდეურად და მორალურად სრულყოფილი ახალი ადამიანის ფორმირებაში. ახალგაზრდა შემოქმედების სემინარაზე თავიანთი გამოსვლებით ტონს აძლიერებენ ოპორტიუნისტებისა და ხელოვნების ურთობის თაობის წარმომადგენლები, შემოქმედებითი სემინარის თავიანთი ინტერნაციონალური ხასიათი მიეცა. რადგან მასში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, სოხუმისა და აზერბაიჯანის კომკავშირული მუშაკები და შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები.

არანაკლებ საინტერესოდ და დასამსახორებლად ჩატარდა 1967 წლის მარტში მეთორ რესპუბლიკური სემინარის დღიურიც: „ახალგაზრდა შემოქმედი და სოციალისტური მშენებლობა“. ისე როგორც პირველ შეკრებაზე, აქაც მუშაობა შეიდ დღეს მიმდინარეობდა. ლიტერატურ-



რისა და ხელოვნების ყველა დარგს ცალკე დღე ჰქონდა დათმობილი. სემინარი იმითაც იყო სანდოვნესი, რომ ქ. წ. წმინდა თეოდორე მხარეს, რაც ძირითად მოსახერხებელს ირვევლი გამართულ გამათმე განმობატება, ავკება გამოფიქვნი, შეხვედრები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმართა მონაწილეობით ჩატარებული პოეზიისა და ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, გონებასაბავალითა კლუბი, ახალი ქართული საბჭოთა და საზღვარგარეული კინოფილმების ჩვენება და მათი პროფესიული განხილვა.

სემინარის მონაწილეებს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წინაშე დასვეს საკითხი დაწესებისა კომკავშირის სახელობის პრემია ახალგაზრდობის თემაზე დაწერილ ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებზე.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო სემინარის მონაწილეთა წინადადება და დააწესა საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიები ახალგაზრდობის ცხოვრებაზე ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის.

საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის დაწესებას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცია, შემოქმედებითი კავშირები, პრემიის საძიებელ კონკურსში წარმოდგენილი იყო ასზე მეტი ნაწარმოები.

საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ პოეტი ვანსულ ჩარკვიანი, კომპოზიტორი რევაზ ლაძიძე, მხატვარი დიმიტრი ერისთავი, კინორეჟისორები ელდარ შენგელაია და თამაზ მელიაია, მწერალი მირბა გლითინიძე.

ბაკურაძის სემინარების შემდეგ ახალგაზრდა შემოქმედნი შეტრდნენ ლიკანში და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დასთხოვეს იმ წარმატებების შესახებ, რომლითაც ისინი ხედობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ნაწილგარსაუკუნოად უზიღოს.

„შემოქმედი და ეპოქა“ — ამ დღეებში ჩატარდა 1968 წლის მარტში ახალგაზრდა შემოქმედთა ბაკურაძის რესპუბლიკური სემინარი, მიმდინარე ლინინური კომპარტიის 50 წლისთავისადმი. წინა სემინარებისაგან განსხვავებით, შავრებაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი სრულიად ახალგაზრდა თაობა, სრულიად ახალი სახელები, რომლებიც პირველი ნაბიჯებს დგამენ ლიტერატურისა და ხელოვნების საზრიელზე.

ჩატარდა ლიტერატურის. მუსიკის, მხატვრობის, თეატრის, არქიტექტურისა და კინოს დღეები. ლიტერატურის დღემ კარგი ტონი მისცა სემინარის მთელ მოვზობას. გაიმართა სანდორესო სჯა-ბაასი ცხოვრებაში ახალგაზრდა შემოქმედის როლისა და ადგილის შესახებ, ჭაყვისა და მშობლიო ერის წინაშე მალაღი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესახებ. ახალგაზრდა შემოქმედის დიურე-მხატვრული დასატრატების ფორმებსა და მეთოდებს, ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის გაუმჯობესების შესახებ. ეს საკითხები სანდორესოდ გაამუქის ფილოსოფიური მეცნიერებათა დოქტორმა აიორჯი ციციშვილმა, მეასართი ჟღერებმა, ჯანსულ ჩარკვიანმა, ნოდარ დუმბაძემ, გურამ ასათიანმა, აურამ აფრედნიშვილმა და სხვებმა.

სემინარზე აღინიშნა, რომ ქართული ლიტერატურა ერთფული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში მუადამ ტონის მიმეჭმი იყო. ახლმა თაობამ თავისი ნეჭითა და მუშაობის ხასიათით დიდი და საპატიო ადვლი დამიკადრა მწერლობაში, ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მეცნიერებასა და ტექნიკაში.

სემინარის მონაწილეებმა მოისინეს ახალგაზრდა კომ-

პოზიტორთა ახალი ნაწარმოებები, ნახეს ახალგაზრდა ნორეჩისორების გ. მეგლიასი, ლ. გორდელისი, ნ. შვიდლიისი, მ. კოკორაშვილისა და სხვების ფილმები. სემინარის ბოლო დღეს დიდი და საქმიანი კამათი გაიმართა ნახი ფილმების გარშემო. სემინარის მონაწილეთა სართოზრი გამოხატვა საქართველოს მწერლობა კავშირის პირველი მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ, როცა თქვა: „კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამ შესანიშნავი ტრადიციამ, რომელიც ბაკურაძისა და ლიკანის შეკრებების სახელობა ცნობილი, უკვე კარგი ნაყოფი გამოიღო. შემოქმედებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეუ შეკრებებს“.

ახალგაზრდა შემოქმედებმა დიდი მადლიერებით მოისინეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღობმა სემინარის მონაწილეებისადმი, რომელშიც მალაღი შეფასება მიეცა ახალგაზრდა შემოქმედებით ინტელიგენციის შრომით წარმატებებს.

1969 წლის მარტში ბაკურაძის ჩატარდა მეხუთე შემოქმედებითი სემინარი. მაგრამ ამჯერად იგი ძირეულად განსხვავებულა წინა შეხვედრებისაგან. შავრება ჩატარდა პროფესორების დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების მეაე წლისთავისათვის მზადების პერიოდში.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ სემინარის მუშაობის ხასიათი, გადავხედოთ განხილულ თემაებს: „თანამედროვეობა და ახალგაზრდობის შემოქმედებითი მოქმედება“ — მოხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვახტანგ ბერიძე, „სამეცნიერო და შემოქმედებითი ახალგაზრდობის როლი მოზარდე თაობის აღზრდის საქმეში“ — პროფესორი ფილიმონ ხარშილაძე, „თანამედროვეობის თემა ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის შემოქმედებაში“ — ფილოსოფიური მეცნიერებათა დოქტორი კორეი ციციშვილი, „თანამედროვე ქართული არქიტექტურის პრობლემები“ — პროფესორი ირაკლი ციციშვილი, „ახალგაზრდა გმირის პირობებს თანამედროვე ქართულ კინემატოგრაფიაში“ — პროფესორი კორეა წერიკელი, „ინდუსტრიული ცივილიზაციის პრობლემები და ახალგაზრდობა“ — ფილოსოფიური მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ კაკაბაძე და სხვ.

ასეთი ხასიათის მოხსენებებმა განსაზღვრეს სემინარის მონაწილეთა განსაკუთრებული აქტივობა. მოხსენებების ირველი გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო მასოცზე მეტმა კაცმა. მათ აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა მნიშვნელოვან ამაღლად მეცნიერებისა და ხელოვნების როლი, კიდევ უფრო გაიზარდა მეცნიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდობის პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე, სემინარზე განხილული საკითხები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

1. მეცნიერების განვითარების საკითხები და ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აქტივობა.
 2. ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გზეუ.
 3. მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემები.
- განსაკუთრებით მწვავედ დასვა საკითხი მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა აქტიური მონაწილეობაზე.
- თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პერსპექტივების განხილვისას სემინარის მონაწილეებმა ყურადღება გამამხილეს ლიტერატურულ-მხატვრულ კრიტიკაზე. აღინიშნა, რომ ლიტერატურული, თეატრული კრიტიკა, კინემატოგრაფიული კრიტიკის თანამედროვე დღემ ვერ პასუხობს დღევანდლობის

მოთხოვნები და რომ აუცილებელია ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პრობლემებზე მართალი კრიტიკული აზრის შემუშავება. აქვე დაისვა საკითხი იმაზე, რომ რომ საინტერესო თანახმი დამატოს უკრანალ „ცისკარს“. ამით ახალგაზრდა მეცნიერებს საშუალება მიეცემათ უფრო სისტემატურად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები მეცნიერებისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე.

დღი ყურადღება დაეთმო არქიტექტორებისა და სოციალიზმის ერთობლივი მუშაობის საკითხებს, რაც, სემინარის მონაწილეთა აზრით, ხელს შეუწყობს ააფიფაციზებრივ ობიექტების პროექტირების საქმეში არაუკული ნაკლოვანების აღმოფხვრას.

სემინარის მონაწილეებმა დასვეს საკითხი პროფესიული ორგანიზაციის ინსტიტუტის შექმნის შესახებ, რომელიც ახალგაზრდობის პროფესიული ორგანიზაციებისათვის მოამზადებს მეთოდური ხასიათის მასალებს.

სემინარის მონაწილეებმა ყურადღება მიაქციეს ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესებას საქმეს, განსაკუთრებით დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სადაც მუსიკასა და ხატვას უმეტეს შემთხვევაში არაკვალიფიციური პედაგოგები ასწავლიან. დაისვა საკითხი საშუალო სკოლებში ხელოვნებათმცოდნეობის კურსის შემოღობაზე.

სემინარზე განხილული იყო მწიფელოვანის პრობლემები. ყველას ჩამოთვალა ძნელია. მთავარია, რომ მეცნიერი და შემოქმედით ახალგაზრდობის სემინარის ჩატარებით სასარგებლო საქმე გაკეთდა. ერთმანეთთან დაახლოების გარდა, ისინი ახლო გაეცნენ კომკავშირული საქმიანობის სფეროს.

რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედთა და მეცნიერთა სემინარების ჩატარებით საქართველოს კომკავშირმა კიდევ ერთ სასარგებლო ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. ახლა, როცა სემინარის შედეგებზე და მწიფელობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მომენტა:

— სემინარებმა ხელი შეუწყო შემოქმედებათა კავშირების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა წარმომადგენელთა დაახლოებასა და დამეგობრებას. ბაჰურიანის სემინარებმა შეძლო შემოქმედებითი ორგანიზაციების სხვადასხვა საკითხის, საზოგადოებრივი მწიფელობის საინტერესო პრობლემების ერთობლივი განხილვა და ბევრ შემთხვევაში მათი გადაწყვეტა.

— ბაჰურიანის სემინარებზე მოხსნილი იყო რეგლამენტის პრობლემების განხილვა გულახილად და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ის ამბავი, რომ ზუთჯერი ჩატარდა ახალგაზრდა ინტელიგენციის შეკრება, ლაპარაკობს ამ ღონისძიების აქტუალობასა და აუცილებლობაზე.

— ახალგაზრდა შემოქმედთა და მეცნიერთა რესპუბლიკური სემინარების ჩატარებით გამოცოცხლდა შემოქმედებითი კავშირებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწე-

სებულებების საქმიანობა. მეტი ყურადღება დაეთმო ცენტრალურ ორგანიზაციებში გაერთიანებულ ახალგაზრდათა ინჟინერების საკითხებს. მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები — ახალგაზრდა ლიტერატორთა რესპუბლიკური შეკრება, ახალგაზრდა მხატვართა ზონალური გამოფენები, არქიტექტურთა კონკურსები, კინოფილმებითა ვიდეოების დათვალიერებები, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა და აპირანტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და სხვ.

— ბაჰურიანის სემინარებმა ახალი ცოდნით გაამდიდრა ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა წარმომადგენელი. სემინარების წარმატება იმანაც განაპირობა, რომ მასში მონაწილეობდნენ უფროსი თაობის გამოჩენილი მოღვაწეები. ისინი სწორ მიმართულებას აძლევდნენ სემინარების მსგელოვალს, რითაც ხელს უწყობდნენ ახალგაზრდობის პროფესიულ სრლას.

— საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოწყობილი ბაჰურიანის სემინარები ინიციატა საგულახილად და მხარდასაჭერი, რომ აქ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მრავალი საკითხი დაისვა. მეცნიერი და შემოქმედით ახალგაზრდობა უფრო დუალობად კომკავშირულ, ახალგაზრდა პრობლემებისათვის.

როგორც ყოველ ახალ წამოწყებას, ბაჰურიანის სემინარებსაც ჰქონდა ნაკლი. შიძლიდა უწინმეტყო, მაგრამ აღნიშნა მანინ საჭიროა, რომ შემდგომისათვის გავიფიქროს და გამოვასწოროთ.

— სემინარები საინტერესოდ და შინაარსიანად მიმდინარეობდა, მაგრამ დღის წესრიგი ზოგჯერ გადატვირთული იყო. მონაწილეებს ნაკლები დრო რჩებოდათ არათოქიკალური შეხვედრებისათვის, რომელსაც მათი შემოქმედებითი თანამშრომლობისათვის დისკუსებზე ნაკლები შიდეგის მოტანა როდი შეეძლო.

— ზოგიერთი მონაწილე ლიტერატურისა და ხელოვნების ურთულეს საკითხებზე ზოგჯერ შედაპირული, ჩანასახოვანი ცოდნის პოზიციებიდან მსჯელობდა.

— ბაჰურიანის სემინარებმა ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა ახალგაზრდულ და ლიტერატურულ უკრანალ-გაზეთებში. ზოგიერთმა უკრანალმა, საერთოდ აუარა გვერდი ამ მწიფელოვან მოლოენას. ახალგაზრდული გაზეთები თუმცა აჭყარანდნენ მასალებს ბაჰურიანში ჩატარებული სემინარების შესახებ, მაგრამ ამ წერილებს თუ ინფორმაციებში უმთავრესად სემინარების გარეგნულ მხარეზე იყო ყურადღება გამახვილებული.

გააქვს სხვა შენიშვნებიც. მაგრამ მთავარი და ძირითადი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის გახლავთ, რომ ბაჰურიანში ჩატარებული ახალგაზრდა შემოქმედთა და მეცნიერთა რესპუბლიკური სემინარები უდიდესი მწიფელობის მოვლენაა ქართველი ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.





„ქართული ხელნაწერების“ გარეკანი

ქართული წიგნის აღიარება

ძველი ქართული ხელნაწერების მხატვრულად გაფორმებისა და ცალკე გამოცემის სურვილი ადრეც ჰქონდათ ქართული წიგნის მესვეურებს, კერძოდ, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს საქმე რატომღაც განუხორციელებელი რჩებოდა.

ძველი ქართველი „გამომცემლების“ და „პოლიგრაფისტების“ ერთი გამოუთქმელ შრომისმოყვარეობაზე მეტყველებელი ფაქტია და სიყვარუ-


ლით გადაწერილ-მოსატკეპი ხელნაწერები. ვინ იცის, რამდენი ოვე, წლებიც კი დასტირვებია თითოეული მათგანის გადაწერასა და მოხატვას. ეს ხელნაწერები საუკუნეებს ითვლიან. ამიტომაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სასტიკად რეკლამენტირებულია მათი არა თუ გადაფურცვლა, მზის სინათლეზე გამოტანაც კი. სახელმწიფო წიგნსაცავში დაცული ეროვნული კულტურის ეს უდიდესი საგანძური სპეციალისტთა მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, რომელთა ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, იცნობდა ქართული

წიგნის ფესვებს, ქართული წიგნის მომხატველთა გემოვნებასა და კულტურას.

და აი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა დასვა საკითხი ქართული ხელნაწერების დღის სინათლეზე გამოტანის შესახებ, რათა საზოგადოებრიობა გაცნობოდა ამ მნიშვნელოვან განძს. გამომცემლობა „ხელოვნების“ თანამშრომლები ხუმრობით ამბობენ ხოლმე — ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა ჩვენი გამომცემლობაო, რადგან სწორედ „ხელოვნებას“ დაევალა ეს ფრიალ საპასუხისმგებლო მისია.

ალბომი უნდა გამოცემულიყო მოკლე დროში, რათა წარედგინათ

* „ქართული ხელნაწერები“, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1970, რედაქტორი ვახტანგ ბერიძე, შესავალი წერილის ავტორი ელენე მაჭავარიანი.



ივანე ფედოროვის სახელობის დიპლომი, რომლითაც დაჯილდოვდა «ქართული გეოლოგთა კავშირი».


მარცხნიდან: გურამ ქველაძე, ლეილა თაბუკაშვილი, ნოდარ გურაბანიძე, ზურაბ კაპანაძე, ვახტანგ ბერიძე, ელენე მაკავარიანი.






გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის
თავთან დაკავშირებით მოწეობილ
წიგნის საკავშირო გამოფენაზე.

დავალების სირთულეს არ შეუშინ-
და გამომცემლობის კოლექტივი (დი-
რექტორი ნ. გურაბანიძე, მთავარი
რედაქტორი გ. ქველაძე) და ერთ-
შიაზმით შეუდგა მის შესრულებას.
ფოტორეპორტიორების გ. ხაჩაშუ-
რიძისა და ო. ქობალიანის ნიჭსა და
მონდომებას ქართული ხელოვნების
სიყვარულიც დაემატა და მათ და-
მზადეს მაღალხარისხოვანი ფერადი
ფოტოფირები. ეს იყო მომავალი გა-
მარჯვების საწინდარი. ქართველი
მკითხველი მრავალჯერ მოუხიბლავს
შესანიშნავი მხატვრის ზურაბ კაკა-
ნაძის ლამაზად გაფორმებულ წიგ-
ნებს, ზურაბი ასლად გამომცემლობა
„ხელოვნების“ მთავარი მხატვარია
და, ბუნებრივია, „ქართული ხელნა-
წერების“ მხატვრულად გაფორმება



ვარხო-კლიშოგრაფის ოპერატორი ჰამლერ ცაგარელი.

ფერადი ბეჭდვის მბეჭდავი დანიელ
კიბილოვი.





სამაქინაო საამქროს მუშაკები. შარტსნი-დან: მკინძავეები — ლია ბანეთაშვილი, თენგიზ თომაძე, ქართლოს დარჩია (ინჟინერ-ტექნოლოგი), ნათელა ბერიშვილი.

მას დაეწვია. მხატვარმა ამჯერადაც გამოავლინა დახვეწილი გემოვნება, მდიდარი ფანტაზია და ნიჭი.

თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბის კოლექტივის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ დაზოგეს მონღოშობა და ენერჯია ალბომის მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდვისათვის. კლიშეები დაამზადეს ნიკო და ნოე გოგიჩაშვილებმა, ჰამლეტ ცაგარელმა. ილუსტრაციები დაბეჭდა დანიელ კიბილოფმა. რჩეობოდა მთავარი და რთული ოპერაცია — აკინძვა, რადგან ალბომი დაიბეჭდა განსაკუთრებულ ქაღალდზე, რომლის აკინძვის გამოცდილება მანამდე არც ერთ პოლიგრაფისტს არ ჰქონდა. სამაყო და სასიხარულოა, რომ საქართველოს კვ ცენტრალური

კომიტეტის გამომცემლობის სამაქინაო საამქროს ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგმა ქართლოს დარჩიამ გამოავლინა თავისი საქმის დიდი ცოდნა და გამოგონებლობის უნარი.

ქართული პოლიგრაფისტების შრომა და მონღოშობა წარმატებით დაგვირგვინდა. „ქართული ხელნაწერები“ პოლიგრაფიული შესრულების დონით ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებია. გამომცემლობა სწორად მოიქცა, როცა ალბომის ე. წ. გამოცემულ ცნობებში მოიხსენია ყველა იმ პოლიგრაფისტის ღვაწლი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ „ქართული ხელნაწერების“ გამომცემში.

ალბომი დროზე გამოვიდა და გაიგზავნა წიგნის XI საკავშირო გამო-

ფენაზე, სადაც ქართულმა წიგნმა პირველად მიიღო უმაღლესი ჯილდო — პირველმახარაძე ივანე ჯეორგიშვილის სახელობის დიპლომი. გამომცემლობა „ხელოვნებაში“ ერთი დიპლომი მიიღო გამომცემისათვის, მეორე კი — მხატვრული გაფორმებისათვის. ასეთივე დიპლომი მიიღო თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბამ პოლიგრაფიული შესრულებისათვის. ქართველმა პოლიგრაფისტებმა და გამომცემლობის თანამშრომლებმა მოიქვედნენ შრომისა და მოწადინების, ქართული წიგნის, საკუთარი პროფესიის სიყვარულისა და პატივისცემის ნაყოფი.

ალბომმა გაამართლა თავისივე ეპიგრაფის სიტყვები: „...ნაშრომი განაძა დაშთების“.



ლომის თავის სკულპტურული გამოთავლება.

ე ლ ი ნ ი ზ ე ი და ქ ო ლ ხ ე თ ი *

ოთარ ლორთქიფანიძე

ალექსანდრე მაკედონელის და მისი მემკვიდრეების ლაშქრობები კოლხეთს არ შეხებია და მას ამიტომ არც ბერძენ-მაკედონელთა ფართო კოლონიზაცია განუცდია. მაგრამ, სამაგიეროდ, კოლხეთი აქტიურად იყო ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელმაც ელინისტურ ხანაში უაღრესად ფართო მასშტაბები მიიღო. როგორც ცნობილია, ამ დროს კოლხეთზე გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ქალაქ ფაზისიდან მოემართებოდა და ამიერკავკასიის ქვეყნების გავლით შორეულ ინდოეთამდე აღწევდა. კოლხეთის მონაწილეობას ბერძნულ-ელინისტური სამყაროს სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობა პროცესში თვალსაჩინოდ მოწმობს არქეოლოგიური მასალა: ელინისტური ხანის კოლხეთის სხვადასხვა პუნქტში უკვე მრავლად ნაპოვნი უცხოური მონეტები და სხვა საგნები, უპირატესად კერამიკა სინოპეს, ჰერაკლეას, როდოსის, კოსის, კნიდის და საერთოდ — მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა სავაჭრო, სახელოსნო ცენტრების პროდუქციას რომ წარმოადგენს!

ელინისტურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობამ, პირველ რიგში, როგორც ჩანს, გარკვეული რილი შეასრულა

კოლხეთის ქალაქმშენებლობისა და, განსაკუთრებით, ხუროთმოძღვრების განვითარებაში. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ წინაელინისტური ხანის კოლხეთში (ძვ. წ. VI-IV სს. და უფრო ადრეც) დასახლების ძირითად ტიპს წარმოადგენენ ხელოვნური ან ბუნებრივი ბორცვები, რომელნიც თავდაცვის მიზნით თხრილებით იყვნენ გარშემორტყმული. ზოგჯერ დიდ დასახლებას რამდენიმე ასეთი ბორცვის ერთობლიობა ქმნიდა. ამ ხანის ნაგებობანი ძირითადად ხისა იყო (ოდა ან ჯარგვალის ტიპის სახლები, ბათქაშით შელესილი სახლები). ელინისტური ქალაქმშენებლობისა და ხუროთმოძღვრების გავლენა ჯერჯერობით ყველაზე უფრო თვალნათლივ განის არქეოლოგიურ მონაპოვარში ჩანს. ძვ. წელთაღრიცხვის III-I სს. განკუთვნილება ქვის ფუნდამენტურ ნაგებობათა ფართოდ გავრცელება, ქალაქის მშლავრი თავდაცვითი კედლებით გამაგრება, ელინისტური ქალაქებისათვის დამახასიათებელი ელემენტების დანერგვა...

ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრების გავლენა ნათლად იგრძნობა სამშენებლო წესებსა და, განსაკუთრებით, ნაგებობათა კედლის წყობაში. ყურადღებას იქცევს ელინისტური ხანის ბერძნული ხუროთმოძღვრებისათვის აგრე დამახასიათებელი ე. წ. რუსტებიანი ქვათილების ფართოდ გავრცელება: სწორკუთხა ქვათილის ნაპირები

* იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 2, 1970 წ.

საკანგებოდა ჩამოთლილი, ხოლო მათ შორის შექმნილი ბალოში წვეტიანი იარაღითაა დაკეცილი. ქვათილებში აშვარი დამუშავება შრომის ეფორმისავე იძლეოდა და ამასთან ერთად კედლის წყობაში ვარკვეულ დეკორატიულ ეფექტს ქმნიდა. უმთავრესი მაინც იყო, რომ რუსტებიანი ქვათილები გარკვეულ სიმაგრეს ანიჭებდა კედელს და მათი ფართოდ გამოყენება პირველ რიგში თავდაცვით მიზნებს ისახავდა. ამიტომაცაა, რომ ვანში რუსტებიანი ქვათილები ფართოდ არის გამოყენებული გალანის კედლის საძირკველის საფასადო წყობაში. ასე მაგალითად, კარიბჭისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ გალანის კედლის წყობაში გამოყენებულია 30×50 სმ ზომის ქვათილები; კიდევ უფრო დიდი ზომისაა ცენტრალური ტერასის ძველი კედლის წყობაში გამოყენებული ქვათილები (50×70 , 50×80 სმ.). აღსანიშნავია, რომ გვხვდება ორმხრივ რუსტულად დამუშავებული საკმაოდ დიდი ზომის თეთრი ფერის ქვათილები, რომლებიც კარიბჭის კომპლექსის თბილისს აღმორბა ზედა ფენებში და, როგორც ჩანს, კუთუბის რაღაც მიმონებურ ნაგებობას, რომელიც ოდესღაც ცენტრალურ ტერასაზე იყო აღმართული. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო და თავისებურია ის, რომ რუსტებიანი ქვათილები ვანში გამოყენებულია ინტერიერში, მაგალითად, კარიბჭეზე მიწვეულ საკულტო ნაგებობაში.

საშენ მასალად ქვასთან ერთად გამოუწვავი და გამომწვარი ალიზის აგურიცაა გამოყენებული. გამომწვარი ალიზის აგური, როგორც ახალი არქეოლოგიური ამოჩვენები მოწმობენ, ელინისტურ ხანაში ფართოდ გამოიყენებოდა (ნიპური, ილირიის აპოლონია). უაღრესად საინტერესოა, რომ ვანში ნაპოვნი ალიზის აგური სიგრძით დაახლოებით 52 სმ-ია, ხოლო სისქით — 8-10 სმ. ამგვარად, იგი განსაკუთრებით უაღრესად მარტივად სამკართში გარკვეულია ალიზის აგურებისაგან და თითქმის ზუსტად ემთხვევა ბაზილეთურს, რომლის სიგრძეც საშუალოდ 52 სმ-ია. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, გარკვეულ საზომ ერთეულადაა მიჩნეული და მას პირობით „ქართულ წყრთას“ უწოდებენ და ნიპურისა და ურარტუს წყრთას უტოლებენ.²

ბერძნულ-ელინისტური გავლენის თვალსაჩინო ნიმუშია ქალაქის კარიბჭის კომპლექსი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის დასაწყისშია აშენებული და ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დანგრეულ³. ელინისტური ხურთომიძეობის გავლენა იგრძნობა ქვათილების რუსტულად დამუშავებაში, კედლის წყობის ხასიათსა, და, რაც მთავარია, თეთი კარიბჭის კონსტრუქციაში, რომელიც ორმაგი კარის პრინციპზეა დაფუძნებული. კედლის აღმოსავლეთ ნაწილში 10 სმ სივანის ვერტიკალური საკანგებო ნიშა გამოკვეთილია, რომელიც განკუთვნილი იყო ჩამოსაშვები რკინის კარებისათვის. მას ბერძნულად კატარაქტა *κ' α'ταραχ'τα'γ'ς* ეწოდებოდა. ნიშიდან დაცილებით იგივე კედელი 52 სმ-ით წინაა გამოწვული და ქნის თავისებურ ბურჯს, რომელსაც სრულიად გარკვეული კონსტრუქციული დანიშნულება ჰქონდა: შიდა კუთხესთან იატაკის ფილაზე ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო (9×9 სმ.), რომლის ნაპირები ტყვიითაა გამოყვანილი და

განკუთვნილია კარის ჩასადგმელი ღერძისათვის. ასეა „ბურჯი“ კარის ზურგის საყრდენს წარმოადგენდა. თეთი კარი, როგორც ჩანს, ხისა იყო, მაგრამ რკინის ფურცლით გაწმენილი (კარის გარსარკაის ნაწილები აღმოჩნდა კარხერბისას) და იღებოდა გარედან შიგნით (იატაკად დაგებულ ქვის ფილაზე შემორჩენილია რკალისებური ხაზები), კარიბჭის იცავდა ნახევარწრიული კოშკი. ამრიგად, სამშენებლო ტექნიკა, კარიბჭის კონსტრუქცია და მისი გამაგრების სისტემა ძალიან ახლოს დგას ბერძნულ-ელინისტური ქალაქების ანალოგიური დანიშნულების ნაგებობებთან. მაგრამ იმავე დროს ძალზე მკაფიოდ იჩენს თავს მთელი რიგი თავისებურება, რომელიც ადგილობრივი ტრადიციებითაა გაპირობებული.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი კარიბჭე, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილს განსაკუთრებით, არ იყო განკუთვნილი ბორბლიან ტრანსპორტისათვის და იგი მხოლოდ ფეხით მოსიარულეთ ემსახურებოდა (ძველი ქართული ტრანსპორტით ეს იყო „ციტა კარი“).⁴ შესასვლელის ზედა კედელთან ქვიშაქვის სწორკუთხა პოსტამენტზე აღმართულია 67 სმ სიმაღლის სწორკუთხა სვეტი. მასზე დგას თითქმის კვადრატული მარმარილოს კვარცხლბეკი, რომლის ზედა ნაწილში ამოკვეთილია სწორკუთხა ფოსო. მისი ნაპირები ტყვიითაა შევსებული, ხოლო შიგნით კი შემორჩენილია ტყვიითვე ჩამაგრებული წვრილმარცვლოვანი მარმარილოს ფრაგმენტები, ოდესღაც ამ კვარცხლბეკზე აღმართული ქანდაკების უკანასკნელი ნაშთები. იქვე, კედელზე შემორჩენილი წარწერა („ეგედრები მეუფეთ ქალმერთო“)⁵ ვაგვიჩვენებს, რომ ქალაქის შესასვლელთანვე გარეთ იდგა მფარველი ღვთაების ქანდაკება, რაც უჩვეულოა საკუთრივ ბერძნულ-ელინისტური ქალაქებისათვის. ამავე გარემოებამ, როგორც ჩანს, განაპირობა მეორე თავისებურება: კარიბჭის ძირითად კედელზე შიდა მხრიდან მიმწვეულია საკულტო ნაგებობა, რომელიც აღმოსავლეთ მხრიდანაა „ლია“, (ე. ი. არა აქვს კედელი). აღსანიშნავია, რომ ამ ნაგებობის სამი კედელი მთლიანად რუსტირებული ქვებითაა ამოყვანილი (შენებლობის მაგალი დონის მაუწყებელია, რომ წყობის ყველა რიგი მკაცრად პირინოტულია და საკულტოვლად ნივთიერებული).

დასავლეთ კედელთან აღმართულია საკურთხეველი, — ქვის სწორკუთხა საძირკველზე მდგარი ოთხწახნაგა სვეტი, რომელზედაც ორ საფეხურზე დგას კარგად გათლილი ბრეტელი ფილები. საკურთხეველის ირვლევი აღმოჩნდა თიხის 23 ჭურჭელი: ჯამები, ქოთნები, წითელი სარტყლებით მოხატული ორკუთხა ქილა და სამეტჯა ღოჭები, აგრეთვე ხუთი ამფორა. ყველა ეს ჭურჭელი ადგილობრივია. ძალზე საინტერესოა, რომ საკურთხეველს ნაპოვნი ორი ამფორა ფეტვის მარცვლებით იყო სახვე. ფეტვი კი მეგრული და სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დიდ როლს ასრულებდა ნაყოფიერების ღვთაებებთან დაკავშირებულ საკულტო რიტუალებში. ზემოთ აღწერილი საკულტო ნაგებობის გარეთ (მის სამხრეთ კედელთან) მონოლითში ამოკვეთილია როფი, რომელიც პროფ. გ. ბარდაველიძის

აზრით, შესაძლოა მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ჩასადგრელად იყო განკუთვნილი. ამ პატარა ტაძარ-სამლოცველოს, ისევე როგორც ბერძნულ-ელინისტურ ქალაქებში, რიყის წყრილი ქვით მოიკრწალები საგანგებო მისასვლელი (18 მ. სიგრძისა) ქონდა.

ამრიგად, ქალაქის შესასვლელშივე საკულტო შენობა-ტაძარია აღმართული, რაც საკმაოდ უჩვეულოა ბერძნულ-ელინისტური ქალაქებისათვის, მაგრამ თითქმის პარალელს პოულობს ადგილობრივ საერაღურ ტრადიციებში, რომელიც საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშია შემორჩენილი „ღვთის კარის“ სახელწოდებით. „ღვთის კარი“ (resp. „ჯვარის კარი“ თუ „ხატის კარი“) პროფ. ვ. ბარდუღლიძის განმარტებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამლოცველოს („ხატის“) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სადაც „ღვთის“ დღასაწაულები იმართებოდა და მოსახლეობას ღვთაებისადმი შესუწირავი მიძინდა. საინტერესოა, რომ საერთო ხევისურთ სალოცავში (საღმრთო გუდანის ჯვარი) „ღვთის კარი“ აგრეთვე სამი მხრიდანაა შემოზღუდული, ხოლო მის შიგნით ქვის საძირკველზე მდგარი ბოძონია აღმართული¹⁰. თუ გავიზიარებთ, ჩვენს მიერ აღრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ვანის ძველი ქალაქი წარმოადგენდა სატაძრო ქალაქს — ადგილობრივი უხედავია ღვთაების სალოცავად აღმართულს¹¹, მაშინ კარიბჭესთან გამართულ პატარა ტაძარ-სამლოცველოს მართლაც შეიძლება ეწოდოს „ღვთის კარი“ (საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ღვთის კარი“ ტაძრის სამლოცველოს მნიშვნელობით უარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც იხსენიება)¹².

კიდევ ერთი დეტალია აქ აღსანიშნავი. ქვის საკურთხეველი უფულოდ კედელზეა მიდგული (ტაძ., როგორც ღვთაების ქანდაკების პოსტამენტი). ეს ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც იქნა შენარჩუნებული პირველ ქართულ ქრისტიანულ ეკლესიებში, სადაც ტრაპეზი (წარმართული ხანის საკურთხეველი)¹³ კედლის პირას იყო აღმართული მაშინაც კი, როდესაც მიზანტურმა და რუსულმა მართლმადიდებლურმა ელესიებმა კედელთან მიდგული ქვის ტრაპეზი მწვანელობად მიიჩნია.

ამრიგად, ვანის ძველი ქალაქის კარიბჭე თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორაა ერთმანეთთან მჭიდროდ შერწყმული ბერძნულ-ელინისტური და ადგილობრივი საერაღური სამშენებლო ტრადიციები. ასეთივე სურათია ბორცვის წვერზეც, სადაც გალანდის შემოზღუდულ საკულტო-სატაძრო ნაგებობათა კომპლექსია გამოვლენილი. მის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენს საფეხურებიანი ნაგებობა: შემორჩენილია სწორკუთხა, რუსტირებული ქვა-თლილებით ნაგები 8-საფეხურიანი კიბე (თითოეული საფეხურის სიგრძე 2,96 მ-ია, სიგანე — 0,35 მ, სიმაღლე 0,19 მ.). უკანასკნელი საფეხური გადადის სწორკუთხა მოედანში¹⁴. ეს საფეხურებიანი ნაგებობა თავისი გვეგით სავსებით ანალოგიურია ბერძნულ-ელინისტურ სამყაროში გავრცელებულ იმ საკურთხეველებისა, რომლებიც ჩვეულებრივ ტაძრის წინ იყო ხოლმე აღმართული და სადაც შეწირვის სასტიკი რიტუალი სრულდებოდა. საფეხურებიანი

ნაგებობის დასავლეთით გამოვლენილია ძალზე ფრგამენტული კედელი (დასავლეთით 8 მ სიგრძეზე შემორჩენილი), რომელიც ნინო ხოშტარის აზრით, ტაძრის ნაშთის უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია, რომ იქვე, კედელში, დრმა კრიბაა ამოკვეთილი. სამწუხაროდ, ტაძრის ნაშთები იმდენად ფრგამენტულია, რომ მისი პირვანდელი გეგმის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც აშკარაა, რომ აქ არ უნდა გვეჩვენოს ბერძნულ-ელინისტური ტიპის ტაძარი, რომლის აუცილებელი ელემენტია საფეხურებიანი სტერიომატი. საფიქრებელია, რომ ეს იყო სამი მხრიდან შემოზღუდული წაგებებულ ფორმის სწორკუთხე შენობა, ანალოგიური კარიბჭის სამხრეთით ორასიოდე მეტრის დაცილებით 1966-1967 წლებში გათხრილი მოზაიკურ იატაკიანი ტაძრისა, რომელიც აგრეთვე განსვენებულია ბერძნულ-ელინისტური ტაძრისაგან.

ქალაქის ზედა ნაწილში შესწავილ საკულტო ნაგებობათაგან კიდევ ერთია საინტერესო. ესაა თლილი ქვით ნაგები სამკედლიანი ნიშისებური შენობა, რომლის შიდა ფართობია მხოლოდ 2,5 მ² (სამხრეთიდან ღიაა). ნაგებობის შიდა კედლები ცეცხლისაგან ძლიერ გაწითლებულია, მაშინ როდესაც გარედან ცეცხლის კვალი არ შეიმჩნევა. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც, ოლიბის ტემპისზე, აღმოჩენილია სასუბეითი ანალოგიური, თითქმის იმავე ზომისა და გეგმის ნაგებობა, რომლის შიდა კედლებიც ცეცხლისაგანაა დაწითლებული და დამსკდარი. ფიქრობენ, რომ ესაა მსხვერპლის დასაწვავი საგანგებო შენობა. ამგვარი დანიშნულების ნაგებობა ძველ ქართულ წარართულ ყოფაშიცაა გადასტურებული და მას საზორველი ეწოდებოდა¹⁵. ამრიგად, ქალაქის ზედა ნაწილში, სადაც საკულტო-სატაძრო ნაგებობათა კომპლექსია გამოვლენილი¹⁶ და რომლის შენობათა ერთი ნაწილი ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრული წესებითაა ნაგები, უმთავრესია საკურთხეველი, ტაძარი (რომელსაც ძველი ქართული ტერმინოლოგიით ბაგინი ეწოდებოდა)¹⁷ და საზორველი, ე. ი. ყველა ის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ძველი ქართული წარმართული სალოცველოსათვისაც არის დამახასიათებელი. ამ მხრივ ნიშნობილია, რომ ოდეს „...დაეცეს... კერპნი არაზისნი... იავარ იქმნეს ბოძონი, ბაგინი, საზორველი და სამსაზურებელი მათი“¹⁸.

ბერძნულ-ელინისტური და ადგილობრივი სამშენებლო კულტურის ურთიერთობის თვალსაზრისით ძალზე დიდ ინტერესს იწვევს ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე 1968 წელს აღმოჩენილი მრგვალი ნაგებობა, რომლის არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. იქვე ახლოს ნაპოვნი ღარიანი სამსხვერპლო ქვა თითქმის მიუთითებს ამ შენობის საკულტო ხასიათზე. მრგვალი ტაძრის კედლების სისქე არ მეტრს აღწევს, ხოლო დიამეტრი 10 მეტრს აღემატება. სტრატოგრაფიული მონაცემების მიხედვით მრგვალი ტაძარი ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის შუა ხანებშია დაბნერული, ხოლო აშენებულია ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნეში¹⁹, კიდევ უფრო ძველი (ძვ. წ. IV ს. დასასრულის თუ III ს. დამდეგის) შენობის

სწორკუთხა საძირკველზე. ეს უკანასკნელი იდეალურად დამუშავებული სწორკუთხა ქვათილიებითაა ამოყვანილი. ჯერჯერობით ძალზე რთულია მრგვალი ტაძრის არქიტექტურული ფორმების აღდგენა, მაგრამ აშკარაა, რომ იგი არ ემორჩილება ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრების ძირითად პრინციპებს, თუმცა ზოგიერთი კონსტრუქციული დეტალის გამოყენება გამოირჩეული არაა. ამ მხრეზე უნდა აღვნიშნავთ იქნებ სწორედ ცენტრალურ ტრანსაზე 1968-1969 წლებში ნაოფიო ტრაპეციის ფორმის 10-12 სმ. სისქის ქვის ათამდე ფილა (საშუალოდ 90×45 სმ.), რომელთა ნაპირები საგანგებოდაა ამოჭრილი, როგორც ჩანს, ქვის ან ხის ძელებზე დასამაგრებლად. არქიტექტორ გიორგი ლევაგას აზრით ეს ფილები წარმოადგენს კესონის უკრების სახურავებს და განკუთვნილი იყო მრგვალი ფორმის (ე. ი. თოლმის ტიპის) შენობისთვის. ჯერჯერობით ძნელია დატყობინება თქმა იმისა, ეკუთვნის თუ არა ეს ფილები ზემოაღწერილ მრგვალ ნაგებობას, მაგრამ ერთი რამ სასებით აშკარაა: კონსტრუქციულად მათი გამოყენება დაკავშირებულია ელინისტური ხუროთმოძღვრების სამშენებლო ტექნიკის გავლენასთან.

ჭერის პლაფონის გაფორმების კესონური პრინციპი დამახასიათებელია მრგვალი ტაძრის ისეთი შენობებისათვის, როგორცაა ფიშელა ეიდავროსში, „ფილიპეონის ოლიმპიაში“ (ძვ. წ. IV ს. დასასრული) და განაპურების ახსნიოინი სამოთრაკის კუნძულზე (ძვ. წ. III ს.)¹⁶. ყველა ესენი სატაძრო-საკულტო ნაგებობანია.

აღსანიშნავია, რომ ელინიზმის ხანაში ეს მრგვალი ფორმის საკულტო ნაგებობანი ბერძნული ხუროთმოძღვრების ზემოთ დასახლებული ძეგლების გავლენით ჩნდება და ვრცელდება მახლობელსა და ცენტრალურ: აღმოსავლეთში: „მარბონი ტაძარი“ პართის ნისამი¹⁷, ჩაიტის მრგვალი დარბაზი გურჯაანში¹⁸, „აბსიდიანი ტაძარი“ ტაქალაში¹⁹, საკულტო ნაგებობათა კომპლექსი პოი-კრილიგან-კალემში²⁰.

ყველა ესენი საკულტო ნაგებობანია, ამასთან ზოგიერთ მათგანში ძალიან კარგად ჩანს ელინისტური საკრალური ხუროთმოძღვრების გავლენა. მაგალითად, ნისის მრგვალ ტაძარში, რომელიც წარმოადგენს ადრეპართული ხუროთმოძღვრების მხატვრული ძეგლის ძველს, სადაც მკაფიოდ იჩნება თავს ბერძნულ-ელინისტური და პართული ტრადიციების სინთეზი. ბერძნულ-ელინისტური მრგვალი ტაძრებისაგან განსხვავებით, ძველი ნისის ტაძარი, ქვედა ნაწილზე მრგვალი კი არაა (როგორც მაგ. ახსნიოინი), არამედ კვადრატული. გავიხსენოთ, რომ ნისის ნაქალაქარის ზემოაღწერილი მრგვალი შენობაც ზუსტად კვადრატულ საძირკველზეა ამოყვანილი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დღემდე გამოვლენილი ძეგლების მიხედვით ბერძნულ-ელინისტური გავლენა, უპირატესად, სამშენებლო წესებისა და ზოგიერთი ხუროთმოძღვრული მხატვრული დეტორის გავრცელებაში გამოიხატება. იმავე დროს უმთავრეს ნაგებობათა გვეგმა და მათი იდეური მიზნადსახელობა კვლავ ემორჩილება ადგილობრივ ტრადიციებს.

ბერძნულ-ელინისტური ხუროთმოძღვრების გავრცელებაში მითითებს აგრეთვე ვანის ნაქალაქარზე ნაოფიო ქვის სვეტის ნაწილები, ბაზები და კაპიტელები, მარმარილოს პროფილირებული კარნიზის ფრგამენტები. სამუშაოდ, მისი არაა in situ ნაოფიო, ამიტომ ჯერ-ჯერობით მისი გეგმის რამდენიმე თქმა ვანში არსებული არქიტექტურული ორდერის ხასიათსა თუ მის ცალკეულ დეტალებზე.

აღსანიშნავია აგრეთვე ბერძნულ-ელინისტური არქიტექტურული დეტორის გავრცელება: ძვ. წ. II ს. კულტურულ ფენაში ნაოფიო წნული სახეებით მოჩუქურთმებული ფრგამენტი, რომელიც ადგილობრივი ჯიშის ათორი კირქვისგანაა გამოკვეთილი. ახალგაიური ორნამენტაცია დამახასიათებელია ელინისტური ხანის მთელი რიგი არქიტექტურული ძეგლებისათვის (არტემიდეს ტაძრები მანენისაში და სარმში, ათენის ტაძარი ეფესოსში).²¹ იმავე ჯიშის ქვისგანაა გამოკვეთილი 50,6 სმ სიმაღლის ჭურჭელი. იგი ზუსტად შუაში გავებული ბერძნული პილისის მსგავსია. ზედა და ქვედა ბოლოებში მას თიხუთხა ღრმა ფოსები აქვს ამოკვეთილი. როგორც ჩანს, ქვედა ფოსო საგანგებო საფუძველზე დასამაგრებლად იყო განკუთვნილი, ხოლო ზემოდან ამ ჭურჭელს კიდევ, ალბათ, რაღაც მხატვრული დეტალი (პალმები?) ამოჭოდა. ჭურჭელი უკანა მხრიდან საყრდენ კედელზე უნდა ყფოფილი მიმაგრებული, რაზედაც მითითებს სავანის ეფესოსში გამოკვეთილი ღრმა ფოსოები. ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ იგი წარმოადგენს კედლის მოსართავ დეკორატიულ ჭურჭელს.

ვანის ნაქალაქარზე ნაოფიო არქიტექტურული დეტალებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მნიშვნელობისაა ადგილობრივი ჯიშის თეთრი ფერის კირქვისგან გამოკვეთილი ლომის თავის გამოსახულებანი, რომელთაგან ერთი შენობის დეკორატიული მოსართავია, ხოლო დანარჩენი ერთ-სიშის ნაწილია—წვიშის წყლის საღინარად განკუთვნილი.²² სამივე თითქმის ერთნაირი ზოვისაა (სიგრძე 70 სმ., სიმაღლე — 45 სმ., სიგანე — 36 სმ.). ერთ-ერთ მათგანს შემორჩენილი აქვს კონსტრუქციული დეტალები, რომლითაც იგი შენობის სათანადოდ ნაწილთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული ლომის თავები კონსტრუქციულად აშკარად ოლინური თუ ელინიზებული ნაგებობის ნაწილებს წარმოადგენს (სამუშაოდ, თვით ის შენობა, რომელსაც ეს ლომის თავები ამკობდა, ჯერ ნაოფიო არაა). იმავე დროს ცნობილია, რომ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც ფართოდ იყო გავრცელებული ლომის, როგორც „მფარველი ცხოველის“ გამოსახულება (საქპარისია დასახელოთ ხეთური „ლომისაღინი კარიბტე“ ბოლან-კოშში, „პაპაღინის ლომი“, ლომის მინავალრცხვანი გამოსახულებანი პართულ ქანდაკებაში და მონეტებზე). ლომის გამოსახულება არც კოლხეთის ნივთიერი კულტურის ძეგლებისათვისაა უცხო (კოლხური თეთრი, ვანის ოქროს სამაჯურები და დიადემები). გარდა ამისა, ამავე ეპოქასაზრისათა საინტერესო სავანური ენოგრაფიული მასალები, კერძოდ, სავანური დროშა „ლომე“, რომელიც ლომს განასახიერებდა და ერთ-ერთი ვერსიით იგი სავანისათვის გადაუცია დეოა-



მრგვალი ტაძრის ნანგრევები.

ბა ლამარიას — მიწისა და ადამიანის ნაყოფიერების მფარველს²³.

მატერულ-სტილისტური თვალსაზრისით ვანის ლომის თავებს ამკარად ეტყობათ ბერძნულ-ელინისტური გავლენა, ხოლო რამდენადმე ტრადიციულად მოჭმუნული წარბები და პათეტური გამომეტყველება ანათესავენ მას ძვ. წ. III-II სს პერგამის ე. წ. ბაროკული სტილის ქანდაკებებთან. მაგრამ ამავე დროს, სრულიად ამკარად იგრძნობა ძველი აღმოსავლური ტრადიციები: ასე მაგალითად, კეფა-

ზე დასმული მომრგვალებული ყურები, პირს შემოვლებული რელიეფური სარტყელი გვიანხეთური ანუ სირო-ხეთური ლომის გამოსახულებათა დამახასიათებელ ნიშნადაა მიჩნეული. ამასვე უნდა დავძინოთ, რომ საერთოდ ვანური ლომების სრულიად ამკარა ადამიანური ნიშნები და იერი ძალზე მოგვაგონებს ძვ. წ. III-II სს შუა და მახლობელი აღმოსავლეთის კოროპლასტიკაში გავრცელებულ ანტრომორფიზებული ლომის ნიღბებს.

ამრიგად, ამ გამოსახულებებში საკმაოდ კარგად ჩანს



საეკლტო ნაგებობა
კარიბჭესთან.

კარიბჭე



რეზანდუხურიანი საკურთხეველი.





ბერძნულ-ელისტიკური გავლენაც და ძველი აღმოსავლური (სირო-ხეთური) ტრადიციებიც. ამ ფაქტს კი მნიშვნელობა ექნება იმ ეთნოკულტურული გარემოს დასახასიათებლად, სადაც ეს ძეგლები იქმნებოდა. ამ აღმოჩენის მეცნიერული მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ თუ არ ვცდები, ისინი წარმოადგენენ ქართული მონუმენტური ქანდაკების უძველეს ნიმუშებს.

ჩვენ უკვე გვეჩვენა ამგვარი ადგილები: ელინისტიკური ქალაქმშენებლობის გავლენით უნდა აიხსნას კრამიტის ფართოდ გამოყენება ვანის ნაქალაქარზე, რომ კერძოდ ვაწერი კალიბკური სინოპურის მიზამეთაა დამახადებული.²⁴ ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ კრამიტი ვანში გამოიყენებოდა აგრეთვე შენობათა საძირკველში იმის სინტეტისაგან ოზოლიაციისათვის.

ელინისტიკური სამშენებლო ტექნიკის გავლენა ჩანს აგრეთვე ვანის ზოგიერთი ნაგებობის იატაკშიც. ასე მაგალითად, ძვ. წ. III ს. ერთ-ერთ შენობაში დადასტურებულია პიდრავლიკური იატაკი, იმავე ადგილზე აღმართულ ძვ. წ. II ს. შენობას კი მოზაიკური იატაკი ჰქონია. დასტურდება აგრეთვე კირხსნარის გამოყენებაც ძვ. წ. III-II სს. თუმცა ამ დროს მას არა აქვს კედლის წყობაში დამაკავშირებელი ხსნარის მნიშვნელობა.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, დავამატებთ რომ საკმაოდ აშკარა ბერძნულ-ელინისტიკური სამშენებლო ტექნიკის გავლენა ძვ. წ. III-I სს ვანის ხუროთმოძღვრებაზე, მაგრამ საზგანსით უნდა აღინიშნოს, რომ ეს გავლენა უპირატესად გამოიხატა სწორედ სამშენებლო წესებსა და ტექნიკის ზოგიერთი მიღწევის, აგრეთვე არქიტექტურული დეკორის გავრცელებაში. მაშინ, როდესაც ნაგებობათა გეგმა და მათი იმპლანტაციის (სწორედ იმ ნაგებობებისა, რომელშიც ელინისტიკური გავლენა მყდრადდება) განსხვავებულია ბერძნულ-ელინისტიკურისაგან.

ბარალეურად ვითარდება და არსებობს თვით ვანში ადგილობრივი ბერძნულ-ელინისტიკურისაგან განსხვავებული სამშენებლო ტექნიკა და კედლების წყობაც. ამ მხრივ ტიპიურია 1968 წელს აღმოჩენილი ორი ნაგებობა: 17-მეტრიანი კედელი და ე. წ. კონტრფორსებიანი ნაგებობა. რამდენადაც დღეს არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, ელინისტიკური გავლენა შეეხო მხოლოდ საქალაქო ხუროთმოძღვრებს და მის მოსახლეობას. სასოფლო რაიონებში კი კვლავ ხმარებაში იყო საცხოვრებელ ნაგებობათა ძველი წესები: ბათქაშით შლესილი სახლები, ხის ოდები თუ ჯარგავლის ტიპის შენობანი.

შენიშვნები:

1 დაწერ. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966, თავი VI.

2 ა. ა. ფაქიტძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963, გვ. 77-78.

3 ნ. ხოშტარია, რ. ფუთურძე, ოთ. ლორთქიფანიძე, არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში, „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 1968, გვ. 34 და შემდ.

4 იხ. ივ. ჭავჭავიძე, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1946, გვ. 48.

5 თ. ყაუხჩიშვილი, ვანის ბერძნული წარწერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVIII, № 1, 1967.

6 В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, გვ. 10 (შენიშვნა 38).

7 ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ქალაქი, „ციცქარი“, 1968, № 7, გვ. 133-143.

8 Г. А. Меликишвили, Наир-Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 369-375. შტრ. Б. Б. Пиотровский, Ванское царство, 1959, გვ. 208 და შემდ.

9 ივ. ჭავჭავიძე, მასალები... გვ. 116-117.

10 Н. В. Хоштария, Археологические исследования в Вани. Мასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, 1959, გვ. 151.

11 ივ. ჭავჭავიძე, მასალები... გვ. 73, 91.

12 დაწერ. ოთ. ლორთქიფანიძე, „ვანის ქალაქი“, გვ. 135-136.

13 ივ. ჭავჭავიძე, მასალები... გვ. 72-73.

14 იხ. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, 6 (სოც. მც., 1408 წ.).

15 იმ ნაგებობის ჩრდ. აღმ. კუთხეში გამოვლინდა ფრავენტი თირის ქვებით მოგებული მოედნისა, რომელიც მის თავდაპირველ მისაღებულ უნდა წარმოადგენდეს. ამ მოედნის ზედაპირზე ფუქსირებულია ძვ. წ. III-II სს კულტურული ფენა (როდოსული ამფორების დამიანი ყურების შემცველი), რომელსაც ფარავ მოზაიკური იატაკის ფრავენტები ძვ. წ. III-II საუკუნეებისა.

16 Всеобщая история архитектуры, II, 1, М., 1949, გვ. 241-242, 315 და შემდ.

17 Г. А. Кошеленко, Культура Парфии, М., 1966, გვ. 24 და შემდ.

18 С. И. Тюляев, Архитектура Индии, М., 1939, ნახ. 16.

19 I. Marshall, Taxila, Cambridge, 1951, I, გვ. 152-153; III, ტაბ. 24.

20 იხ. Труды, Хорезмской археологической экспедиции, II, 1958, გვ. 192, IV, 1960, გვ. 12.

21 Всеобщая история архитектуры, II, 1, გვ. სურ. 326.

22 ნ. ხოშტარია, ე. ფუთურძე, ოთ. ლორთქიფანიძე, არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში 1967 წ., „საქართველო“, № 15, 1968 წ.

23 В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования, გვ. 37 და შემდ.

24 ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და კოლხეთი... გვ. 128-129.

შეჩრები პერიფერიის თეატრზე

გურამ ბათიაშვილი

პერიფერიული ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დგას შენობა, რომელიც ყოველ საღამოს ახალ სიცოცხლეს იწყებს. აქ მოდიან ადამიანები, რათა ნახონ უფრო ამაღლებული და საინტერესო, ვიდრე მათი ყოველდღიური ყოფა. მოდიან, საგარძობებს იკავებენ, თეატრში ორ-სამ საათს გაატარებენ და სწორედ ამ ორ-სამ საათში ირკვევა კვლავად მოვლენ თუ არა ისინი თეატრში, რადგან თანამედროვე მსაფურსები, სადაც არ უნდა იყოს იგი, ვერ იტანს, როცა სუსტ სპექტაკლებს უჩვენებენ.

დღეს ჩვენ სწორად ვლამაზობით თანამედროვე მსაფურსებს, მათი სახელით ბევრ სადავო საკითხს ქეშვარით ტყბადაც ვაცხადებთ ხოლმე ჩვენი თეზისებით, მაგრამ რატომღაც გვეყრდნენ ვუვლით იმათ, ვისაც უშუალო კონტაქტი აქვს მსაფურსებთან.

აქაც, პერიფერიული ქალაქის შუაგულში მდგარი შენობა ანდამატებით უნდა იხილავდეს ხალხს. მაგრამ გარდა ამ შენობისა, თეატრი სხვაგანაც ცოცხლობს, სხვაგანაც მიდის და სწორედ აქ იწყება ურთულეს სიძნელეებთან შეჯახება.

საღამოს 8 საათია. თეატრთან ნელ-ნელა იკრიბებიან მსახიობები, მერე ისინი ერთ საკმაოდ ხმაურთან და კეთილმოწყობილ ავტობუსში სხდებიან და მომქანველი გზას გაუდგებიან. სწორად 100 კილომეტრს გაიკლავან, რათა რომელიმე შორეული სოფლის მსაფურსებს წარმოადგინან აჩვენონ (ცხადია, ეს კეთილმოხილური მისიაა, მაგრამ ახლა ის როდია მთავარი). წარმოდგენა, თუ უფრო გვიან არა, 9 საათზე იწყება და 12 საათისათვის მთავრდება. შემდეგ კი უკან დაბრუნებაა საჭირო. როცა მსახიობი გასულით წარმოდგენაზე მიდიოდა, შინაგანი სისხარულით იყო აღმუშტული, ადამიანებთან რაღაც ახალი მიჭქონდა, სიამოვნება უნდა მიენიჭებინა, უნდა ჩაეფიქრებინა ისინი... ეს უკვე მოხდა. მან უკვე შეასრულა თავისი მოვალეობა და განმუშტული ბრუნდება, მთა კი ზოგჯერ სამ საათზე ძლივს მიადწევს.

დღითი თერთმეტ საათზე კვლავ იწყება მომქანველი, მაგრამ საინტერესო ცხოვრება, რადგან იგი სცენაზე უნდა ავიდეს. მას უყვარს ადამიანი, რომლის როლიც უნდა შეასრულოს, ადამიანი, რომლის სულიც თავის სხეულში უნდა გადმოსახლდეს.

რეჟისორიცა და მთავარდა. ახლა კი შინისაკენ, ცოტა დრო რჩება დასასვენებლად. ექვს საათზე კი კვლავ გზას უნდა დაადგეს.

წიგნებს რომილდა კითხულობ, მეგობარო? ნუთუ შენი სხეული იმდენად გაივსო სხვათა სულებით, რომ აღარ გაინტერესებს თუ როგორია ქართველი პოეტების ახალი ლექსები, ან როგორ იმოჯაურებს პაპიროუსი გემით ტურქიერიდან და მისმა ეკიპაჟმა ოკეანეში? ღმერთმა ნუ ჩნას, რომ აღარ გაინტერესებდეს. მაშინ შენს პირს შესურებული როლებსაც აღარ დამეყრება. მე მეგონა, გაინტერესებს, გიზიდავს, მაგრამ...

საოცრად გადატვირთულია პერიფერიული თეატრების მსახიობი. ამას წინათ „თეატრალურ მოამბეში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში ნათელა ურუშაძემ თელავის თეატრის მავალითვე გაგაცანი პერიფერიის თეატრების მდგომარეობა და გეიტხრა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება. მართებულია! მაგრამ რაში უნდა გამოიხატოს ეს ყურადღება. როგორი უნდა იყოს იგი — ეკონომიური თუ შემოქმედებითი ხასიათისა? დავიწყეთ პერიფერიული თეატრის რეესურები.

კინეგისტრი იწვის, სახლები ჩირაღდნებდა გადაქვეულან. ქუჩებს ცეცხლი მოსდებია. „გერმანელებს ეგონათ, რომ ომის ცეცხლი მხოლოდ სხვის ქალაქებში ააღდებოდა. როგორც ხედავთ, მოტყუვდნენ“.

ცეცხლმოკიდებულ ტექნიკა, აყირაგებული ბარაკადები, დამსხვერუდი ტანები, დაცარიელებული ნავსადგური, აფთიაქი, რომლის წინ მოკლედი გერმანული ჯარისკაცები ეყარნენ, ტყვეთა გრძელი მტკრები... ყველაფერი ეს სწრაფად გაივლის თქვენს თვალწინ. გ. ასათიანის ურადდება ლტოლილებმა მიიპყრეს. ისინი ძალიან ბევრნი არიან.

პირველი კადრებიდანვე, როცა ვერანზე აღმოდებელი კინეგისტრი გამოჩნდა, ისმობდა მუსიკა (რაველის „ბოლერო“), რომლის მუსიკალური თემს თანდათან ვითარდება, ფართოვდება და ლტოლილების ეპიზოდით კულმინაციას აღწევს. ომის შედეგები უფრო მეტად ადამიანთა თვალწინს ჩანს, ვიდრე დაბერულ სახლებსა და ამოტყობილებულ ქუჩებში... ამ ადამიანთა თვალწინს კი ასლა ბევრ რამეზე ლაპარაკობენ — შიშზე, გულგრილობაზე, დაბნელობაზე. ზოგჯერ შეტყუვნილი წარბებიდან დაუფარავი დარბობი გამოვრთება. ავტორი ზოგიერთ ლტოლილებს გვაცნობს. კადრშია კარგად ჩაცმული რესპექტაბელური მამაკაცი. პანკირი როზენბერგი, — წარმოგიადგენს დიქტორი.

ბანკირი დაბნეულად იყურება გზისკენ, რომელზედაც ტყვეების გაუთვლებელი კოლონები მიორაობენ.

დიქტორი: „დღემდე იგი გერმანელთა ჯარებს მხოლოდ პარადზე ხედავდა...“

სახლში დგას შუახნის მამაკაცი თეთრი, ჯიშინი ძაღლით.

დიქტორი: „ტრაგოკატას ფაბრიკის მფლობელი. ძველი ქონებიდან მხოლოდ ეს ძაღლი შემორჩა, მას პირნიე ჰქვია.“

კარგად ჩაცმული გერმანელი ქალები ქუჩას ღორღისაგან ასუფთავებენ.

დიქტორი: „რას იზამ, მოჯამაგირებები აღარადა...“

პოსტამენტზე კანდაკებით შემორჩენილი.

დიქტორი: „ისინი ისეთი ნერვებს მოწყენი იყვნენ, როგორც არავის და არასოდეს უნახავს გერმანიაში.“

მაგრამ შეტევა გრძელდება. გენერალ ჩანჩიბაძის გვარის მთვლა ამოვანა: გოტლანდის ნახევარკუნძულზე უდა განაგებულა გერმანელთა დაჯავუება.

იწყება რეჟორტაჟი ბრძოლის შესახებ. ოპერატორი გიორგი ასათიანი ყველაფრის გადაღებას ასწრებს: მავალი-



თად, ფრონტის სარდლის, მარშალ ვასილევსკისა და ვენერალ ჩანინიძის მუხედრად, დაბოძების გადაღება თვითმფრინვადიან, სატანკო შეტევებში მონაწილეობა — ყველაფერი გადაღებულია გამოცემილი, ოპაკდახილი კინოოპერატორის მიერ, მაგრამ ამ ეპიზოდის მონტაჟში ხელახლა გამოვლინდა რეჟისორ გიორგი ასათიანის ინდივიდუალობა. ჩვეულებრივად, ბრძოლის სცენებს თან ახლდა შეაფერხების ხასიათის მუსიკა. ამ ეპიზოდში კი ყოველ გარკვეულ მომენტებს გარკვეული ექვრადობა შეესაბამება: თუ თვითმფრინვა მიფრინავს, ვეგების თვითმფრინავის მხედრს, თუ შეეშინება ისინი — ჩვეუ სრლთა გვემის და ა. შ. დღეს რეპორტაჟის ასეთი წარმოება ჩვეულებრივი და ბუნებრივია, მაგრამ იმ დროს კონკრეტული ბეგების სინქრონულად შერწყმა გამოსახულებასთან და ამით სინამდვილესა დაახლოება, პირველი ცდა იყო.

ბრძოლა მძაფრდება. ველი მთლიანად დაუფარავს პატრ-ში აყრლ მიწის კომტებს. უსარმაზარი ქალა. ვეებერთელა ფეჭვის ხეები ყუბამბების გაუკრეკიათ.

გიორგი ასათიანი ქვეითი ჯარის შეტევას იღებს მოძრავი ტანკიდან. მოსწრო მავთულსართის გარღვევის გადაღება; შეტყუამფრქვევის თვალმით მისრეგებია ამ სისხლისმძებრელ ბრძოლებს და მის შუაგულში აწარმოებს გადაღებას. ბრწყინვალედ გადაღებული კადრების უმრავლესობა კომპოზიციურად საინტერესო, დინამიური და მეტყველია.

ბრძოლა დამთავრდა. ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი. ამტკვერებულ გზებზე ისევ მიხეტება ბედვლუმართი დამპყრობლების გამოვტყული ბრბო. ისინი ნადლიანად და საცოდებად გამოიყურებიან. სამაგიეროდ, მზიარული და ბედნიერია ფაშისტური მონებიან განთავისუფლებული საბჭოთა ხალხი. აგრეთვე ფრანგები, ჩეხები, პოლონელები, იუგოსლავიელები.

ოპერატორებს ამის თემატიკის არსი წინა პლანზე წამოსწიეს. „კინოთარბათანი ჯარისკაცების“ შემოქმედებით გამოიხილება გაამდიდრა ბრძოლის ველზე გატარებული მრავალმა წელმა. გიორგი ასათიანმა ომი დინამიკა მოაზრებზე, თვითმყოფადი რეჟისორის თვალთ, რომელიც კარგად გრძნობს მონტაჟისა და დოკუმენტური ფილმის ფორმის ბუნებას.

გიორგი ასათიანის საავტორო ფილმის იდეური პათოსისა და მხატვრული იერსახის ძალა მოაზრებზე, თვითმყოფადი რეჟისორისა და მამაკო სამხედრო კინოოპერატორ-დოკუმენტალისტის შერწყმამია.

დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართული კინოოპერატორის კინორეჟისორებმა და კინოოპერატორებმა ლ. არხუზანიშვილმა, გ. ასათიანმა, ა. აკიფევაშვილმა, ო. დეკანოზიძემ, გ. გალოშვილმა, ირ. კანდელაკმა, გ. კილოსანიძემ, ო. მაკაჩინამ, შ. ნარშიანიშვილმა, ა. პოლისოვმა, ა. სემიონოვმა, გ. უსენიაშვილმა, ა. ფილიპოშვილმა, გ. შანტიძემ, შ. ჩაკუნიამ, შ. სომეროვიამ და სხვებმა მომავალ თაობებს დაუტოვეს ათასობით მეტრი ძვირფასი კინოფირი, რომელიც დღისათვის უკვე ომის მრისხანე წლებში საბჭოთა ხალხის უმეტესობით გემირობის ცოცხალ ისტორიას წარმოადგენს.

„ომი ზღაპრე“, „შავი ზღვის საუგუშო“, „სვესტკოპოლისათვის ბრძოლებში“ (რეჟისორი შ. სომეროვი, ოპერატორები: ა. აკიფევაშვილი, გ. უსენიაშვილი, ლ. არხუზანიშვილი, ო. დეკანოზიძე, ა. ფილიპოშვილი, გ. კილოსანიძე). გენერალ-პოლკოვნიკ გ. ლეულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფილმი „სტალინური მხედრობათარბაში“ (სცენარისტი კარლ ფოკიძე, რეჟისორი გ. გრძელმოვილი, ოპერატორები ლ. არხუზანიშვილი და გ. ასათიანი). 1943-44 წლებში

ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე. ვარლამოვისა და ში მარეშკას ხელმძღვანელობით არსებული კინოჯგუფების მიერ შექმნილი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „კავკასია“ (ოპერატორები: გ. ასათიანი, ო. დეკანოზიძე, ა. სემიონოვი, ა. ტრიანიშვილი); საბჭოთა კავშირის გმირ არაკად გეგეშინისაძის მიძღვნილი რეჟისორ შ. სომეროვის ფილმი „სვესტკოპოლის გმირი“ (1943 წ.) და მრავალი სხვა ფილმი, თუ კინოფერნალი, როგორც დიდი სამამულო ომის კინომატივე, წმინდად ინახება საქართველოს სსრ კინოფოტოფონო მასალების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

ომის წლების ქართული დოკუმენტური კინო ორ გარკვეულ თემატურ ნაწილად განიყოფება. ეგრნავე უშეგებლად ფრონტზე მომხდარი ამბების ამსახველსა და ზურგის მძიმე ცხოვრების დროს მიძღვნილ ფილმებს.

ამ ორი თემატური ხაზის ერთ ფილმში გაერთიანების ორიგინალური გადაწყვეტა შეძლო რეჟისორმა ვლადიმერ ვალიშვილმა. მისი „მეთვეზუ-პატრიოტიკი“ ზურგის შრომბელთა — მეთვეზუთა ხიფათით სასვე ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს შეიცავს.

იმ დღეებში ჩვეთ ოპერატორების გადასაღები მოედანი ბრძოლის ველი იყო. საწერებში, სამხედრო გემებზე, ტანკებზე თუ ავიამშინდებზე ყველგან მოქმედებდნენ კამერამომზარებელი ჯარისკაცები. ისინი მამარ შეტაკებებშიც კინომატრით მონაწილეობდნენ და საჭირო კადრის გადასაღებად სიციქლოს რისკს არ ურიდებოდნენ. იმავე პერიოდში სტუდიაშიც შეიჭრა კინოჯგუფები: მათ მიერ შექმნილი ფილმები მოვითხრობდნენ ზურგის მშრომელებზე. მათ გმირბაშე, ვინც თავისი შრომით ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყნის ძლიერებას.

„პირველი ფრონტული გაზაფხული“ (რეჟისორი ვ. ვალიშვილი, ოპერატორები: ნ. ნარშიანი, ო. დეკანოზიძე), „ფრონტელთა ოჯახი“ და „ურდღერი მეგობრობა“ (რეჟისორი კ. გრძელმოვილი, ოპერატორი გ. უსენიაშვილი) და სხვა ფილმები ნარკავის მანერით მოვითხრობდნენ ზურგის მშრომელთა არნაველი შრომითი აღმაშობლის შესახებ; ფრონტელთა ოჯახისადმი კოლმერებათა მიერ გაწეულ დამხარებაზე, მასარადის რაიონის სოფ. შრომისა და უკრაინის სოფ. გენიჩესკის კოლმერენთა მრავალწლიან მეგობრობაზე. ომამდე ამ სოფლებს სოციალისტური შეჯობების ვალდებულებანი აკავშირებდა. მრავალი გენიჩესკელი ჩამოვიდა სოფელ შრომში და თავიანთი ქართველი მეგობრების მხარდამარ შრომობდნენ საბჭოთა მეორეხის მიერ მათი მშობლიური სოფლის განთავისუფლებამდე. ამავალდებულება გენიჩესკელების ცაცოლების სცენა. ქართველმა მეგობრებმა მათ სამშობლოში თან გაატანეს ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო გერმანელთა მიერ დარბული სოფლის აღდგენისა და აჯგაგებისათვის. ფილმი მთლიანობაში საშუალო ხარისხისა. დამდგმელებმა სრულად ვერ გამოიხატეს ამ საინტერესო თემის ყველა შესაძლებლობა.

1944 წელს ირანის ერთ-ერთ პროვინციაში — ფერეიდანში იმყოფებოდა კინოფილმდგომა რეჟისორ ირ. კანდელაკის მეთაურობით. ომის პერიოდში შექმნილ ფილმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეჟისორ ირ. კანდელაკისა და ოპერატორ ა. სემიონოვის ფილმს „ქართვლები ირანში“.

ომის წლების ქორბა მამყურებელ ოპერატიულად და განუწყვეტლად აღმკვდა ინფორმაციებს ფრონტზე და ზურგში მომხდარი ამბების შესახებ.

1941-1945 წლები ქართული დოკუმენტური კინოს წარავი ადამკვლავით აღინიშნა. მოქალაქეობრიობა, მავლადი პროფესიონალიზმი, ნოვატორული ძიებანი და პერიოდის საუკეთესო ფილმების დამახასიათებელი ნიშნება.



საქართველოს
წიგნების
კავშირის
წევრი



სვეტლანა კორკოშვილი.

პ რ თ ი ს ა ა თ ი ს ვ ე ტ ლ ა ნ ა კ ო რ კ ო შ კ ო ს თ ა ნ

აკული დადიანი

ამ ბაზაფხულზე, მოსკოვში მივლინების დროს, იქაურმა კოლეგებმა უკრაინული მხატვრული კინოფილმის პრემიერაზე მიმიწვიეს. ახალი კინოსახლი, რომლის დარბაზები და ფოიეები გემოვნებით გააფორმა საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა შურაბ წერეთელმა, მაყურებლებით იყო სავსე. სურათის დემონსტრირებამდე, ტრადიციისამებრ, ფილმის

შემქმნელი კგუფი წარმოგვიდგინეს.

მაშინვე ვივანი ახალგაზრდა მსახიობი სვეტლანა კორკოშვილი. დაახლოებით ვიცედი მისი ბიოგრაფია: ხარკოვის თეატრალური ინსტიტუტი, შემდეგ დნეპროპეტროვსკი, კიევი და საბოლოოდ — მოსკოვის სამხატვრო თეატრი... ასეთი დიდი წარმატება თეატრალურ სტუდიებში ბევრ მსახიობს არ ღირსებია,

მით უმეტეს ახალგაზრდა მხატვრული მხრე ის იყო დაიწყო „საფოსტო რომანი“ ლეგენდარული ლეიტენანტ შნიდტის ცხოვრებიდან. სურათი ჩვენმა მაყურებელმა უკვე ნახა. ვიტყვი მხოლოდ — იგი გზუნებარე რეჟოლუციონერის ხასიათისა და პიროვნების ორ უკიდურეს მხარეზე მეტყველებს. რეჟოლუციის რაინდი სიყვარულშიც რაინდია. მისი მიჯნური სურათში სვეტლანა კორკოშვილი. მათი რომანი კი, რომელიც მატარებელში იწყება, ვიღარდგება წერილობით და უმაღლეს წერტილს აწევს შმიდტის სიკვდილით დასჯისას.

სურათის რეჟისორმა, რსფსრ სახალხო არტისტმა ვ. მატვეევა მსახიობთა შწყობრი და შთანხმებულ ანსამბლი შექმნა, მაგრამ სვეტლანა კორკოშვილი გამოჩენისთანავე ანსამბლი უკანა პლანზე გადადის და ყურადღების ცენტრში ექცევა სვეტლანა თავისი საოცარი უშუალოებით, დახვეწილი ტექნიკით, ზომიერების გრძობითა და საუცხოო გემოვნებით.

„ეს სვეტლანას სურათია“ — ამბობდა თითქმის ყველა მაყურებელი. და მართლაც, მიუხედავად ზოგი მისი პარტიზონის ბრწყინვალეობისა, სურათი ს. კორკოშვიმ „დაისაკურა“ თავისი შესანიშნავი თამაშით.

სვეტლანას დანახვისთანავე გამახსენდა ჟურნალ „ოფონიკის“ (1969 წ., № 10) ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია; მას „რადაც“ აკლდა და არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. საბჭოთა თეატრალურმა საზოგადოებამ იცის, რომ ს. კორკოშვილი პირველი მასწავლებელი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვ. სერდიუკია, ხოლო ამომჩენი და ნათლია — საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, რომელმაც კიევში ამ სრულიად უცნობ, დნეპროპეტროვსკის თეატრიდან ახალგაზრდისულ ახალგაზრდა მსახიობ ქალს გაბედულად ჩააბარა ანტიგონეს როლი. მართალია, ს. კორკოშვილი უკვე ცნობილი იყო კი-



ნოფილი „ესკადრის დაღუპვას“ მთავარი გმირის როლის შესრულებით, მაგრამ დ. ალექსიძის ახალი მგლობრები და თეატრის მესვეურნი დაბოლობრტული კოლონი შიშს გამოთქვამდნენ რეჟისორის დიდი რისკის გამო. დ. ალექსიძემ ნათქვამს არ უღალატა და სვეტლანას სახით საბჭოთა სცენაზე ახალი ვარსკვლავი ამოაბრწყინა. და აი ამ რეჟისორის შესახებ „ოგონიოკის“ წერილში ვერაფერი ამოვიკითხე: თუმცა სპექტაკლი ნახსენებია, თეატრიც მითითებულია, მისი მნიშვნელობა ხაზგასმულია, მაგრამ დ. ალექსიძის ვგარი, რომლის მოხსენიება წერილის ამ ადგილის მიხედვით აუცილებლად საჭირო იყო, ვერა ვნახე.

მეორე დღეს საკლავის ბიბლიოთეკაში „ოგონიოკის“ ის წერილი ხელახლა გადავიკითხე, მაგრამ, რა თქმა უნდა, მას ეს გვარი არ მომატებია. საერთოდ კი ყველა დამსახურება, რაც დ. ალექსიძესა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ბ. სერდიუსს გაუწევია სვეტლანასათვის, ავტორს მხოლოდ ბ. ლივანოვისათვის მიუწერია. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე თათბის უდიდეს წარმომადგენელს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ბ. ლივანოვს ალბათ მიუძღვის ღვაწლი კორკოშკოს წარმატებებში სამხატვრო თეატრის სცენაზე, მაგრამ (აქ უნებლიეთ იხადება მეტად მზაკვრული კითხვა: ვის უფრო დაეხმარა ბ. ლივანოვი, თავის მშობლიურ თეატრს თუ სვეტლანას?) ეს საკითხის მხოლოდ ერთი, ისიც ბოლო მიმენტია.

ალბათ ცნობისმოყვარეობის ბრალი იყო — მეორე დღეს სვეტლანას შინ დავურევე, ვუთხარი ვინცა ვარ და შეხვედრა ვთხოვე.

ხუთი დღის შემდეგ, როგორც იქნა, სამხატვრო თეატრის მსახიობთა ფოიეში შევხვდით ერთმანეთს. ბოდიში მომიხდა, ყველაფერი უფროობის დაბარალა. მართლაც, იგი ორი დღით კივე წასულა, იქ ახალ სურათს იღებენ მისი მონაწილეობით (კიევი ვერ თმობს თავის საყ-

ვარელ მსახიობს), ამასთან ემზადებოდა იაპონიაში გასამგზავრებლად (ხომ უნდა გაიცნოს ამ საკვირველმა ქვეყანამ ახალი საბჭოთა კინოვარსკვლავი) და სხვა.

საუბრეს დასაწყისი მივიხულონოიბული გამომივიდა, მომპირადა პირდაპირ დამსხვა ჩემთვის საინტერესო კითხვა.

— როგორ შეეგუეთ მოსკოვის თეატრს?

— კარგად, — მესმის ხავერდოვანი ხმა, მის თვალბეში კი სულ სხვას ვკითხულობ.

— როგორც ვიცო, თქვენმა პირველი მასწავლებელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. სერდიუსკია.

— დახ, მან ფედრას როლი მთამაზა სტუდენტობის დროს, — სვეტლანა ბეჭყობა შეეჩვია ჟურნალისტების ტრაფარეტულ კითხვებს.

— შემდეგ, მცირე ხნით დნებობეპტროფკის დრამატული თეატრი, მეგრე კიევის ფრანკლის სახელობის დრამატული თეატრი და ანტიკონე?

— ვეკითხები და უნებურად მელიმიბა.

— დახ, — იღიბება სვეტლანაც და ჩემს აზრს აგრძელებს, — მიუღოდნულად — ანტიკონე, გაცნობა „დოლო ალექსანდროვიჩთან“, დიმიტრის ალექსანდრეს ძესთან — ასწორებთ იგი ნათქვამს და უმატებს — იცით....

— ვიცო, დაახლოების შემდეგ ყველასთვის დოლო ხდება. თეატრალური საზოგადოებრიობა და ინტელიგენცია ყველა დროს ეძახის.

— ჰო, ვგრე ვეძახი მეც, ხანდახან. დავეჩვიე.

— მე წავიკითხე ტატინა ლოტის სტატია თქვენზე „სტუდირა თოლიასთან“ ჟურნალ „ოგონიოკში“.

— მაგეწონათ?

— კარგია, მაგრამ ავტორს ბეერი რამ გამორჩენია, ან გამოუტოვებია.

— იცით, როგორ მეწყინა? — ამბობს ცუდ გუნებაზე დამდგარი სვეტლანა, იგი უკვე მიმიხვდა სათქმელს. — მე არ ვიცო, როგორ მოხ-

და ეს. ტატინამ გვერდების დათვლა და თეატრში მომიტანა. სწორედ ამ ფოიეში ჩავიკითხეთ, ჩავასწოროთ, ა. სერდიუსი, ბატონო დოლო, ბ. ლივანოვი — ყველაფერი თავის ადგილზე იყო. ნომრში კი ბოლოს ორი გვარი გაქრა. როცა ტატინას დავურევე, ლამის იტარა, ჩემი ბრალი არ არის, რედაქციას გამორჩენიათ. ვერაფერი ვუთხარი... იმწამსვე ბატონ დოლოს წყრალი მიწაწე, დაწვრილებით აგუსხენი, თუ რა მოხდა, რომ ეს ძალიან მწყინს და გამოსწავლავა ნხოლოდ ამ წერილი და ბოდიშით შემიძლია. მიგწერე, რომ იგი ყოველთვის იქნება ჩემთვის დაუვიწყარი მასწავლებელი, დიდი, დიდი მეგობარი. ამით გული ცოტა მოვიხუ, მაგრამ რომ გამოსწავლავა, ძალიან ცუდ გუნებაზე ვდებო.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. თითქოს სალაპარაკო აღარა მქონდა, დაფიქრდი.

— მხოლოდ ამისთვის მოხვედით?

— არა, მე ბევრი რამ მაინტერესებს თქვენსა და ანტიკონეს შესახებ. მაინტერესებს პირველი შეხვედრა, პირველი საუბარი, კითხვა, რეპეტაციები.

— ოო, ეს დაუვიწყარია. როდესაც მიხატეს, დიმიტრი ალექსანდრეს ბე გეძახისო, გამივივრდა... კარი რომ შევღე, იგი უკვე თალე მოჭუტული, მოღიშარი მიყურებდა, სიგარეტს ეწყოდა. ისეთი უბრალო, მეგობრული, ისეთი ახლობელი იყო, თითქოს ძალიან დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ამას ვგრძობდი მთელი საუბრის მანძილზე და როდესაც შევიმჩინე, რომ ვზივარ (არ მახსოვს, როდის დავეჩვიე), შემრცხვა. მაგრამ ბატონ დოლოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მან დაწვრილებით გამომიცხა ინსტიტუტში სწავლის, ფედრას როდზე მუშაობის შესახებ. გულთადად გაგავიხა ჩემი იდეალი ხელუწუნებაში, ცხოვრებაში. დოლო იღიბებოდა, ხანდახან იციინდა, თვალბე კი უბრწყინავდა, სულის სიღრმეში

მეწეობდა და რაღაც შეთქმულ-
ბისაკენ მინშნებდა.

უცერად დიმიტრი ალექსანდრეს
ძემ ჩუბდა, შეთქმულებით მითხრა,
ჩემს დადგამში ანტიკონეს ითამა-
შებო... შემდეგ თავისი უწყველად
ანთებული სახე შემომანათა. ამ გა-
მოსხვდავში იმდენი რწმენა და დამა-
ჯერებლობა იყო, რომ „ანტიკონეს“
მიერ გამოწვეული გაკვირვება, გაო-
ცება თუ შიში უცერად გამიჭრა და
ეს საოცარი აზრი ჩვეულებრივ წი-
ნადადებდა მივლევ.

— რას იტყვით, სვეტლანა? —
ჩამემსმა რეჟისორის ალერსიანი, გა-
მამხვევებელი ხმა. გამოეწივრდი
და გახედიმი. თურმე ეს ჩვეულებ-
რივი წინადადება და ჩემი სიმშვი-
დე მოჩვენებითი ყოფილა, მოუ-
ლოდნელობისაგან გაოგნე ბ უ ლ ი
ვყოფილვარ. საქციელი წამისდა,
რეჟისორი ისევ მგობრულად მიყუ-
რებდა.

— იგი, ახლა რა უნდა ქნა? რა
თქმა უნდა, არა. აილე ტრაგედია,
როლი ხელახლა გადაწერე საკუ-
თარი ხელით, დაწერე ავტობიოგრაფია,
— თითქმის ოფიციალურად
მეუბნებოდა იგი, მაგრამ თვალეში
ისევ ისეთი ნაპერწკლიანი, შეთქ-
მული და მეგობრული ჰქონდა.

შემდეგ დაიწყო შეხვედრები, რე-
პეტციები. იგი ერთ წუთს არ მტო-
ვებდა უყურადღებოდ. ჩვენი შეხ-
ვედრები, საუბარი, ინდივიდუალუ-
რი მუშაობა გრძელდებოდა საათო-
ბით — დილიდან საღამომდე და ეს
უდიდესი სიხარულს მგვრიდა; მიხა-
როდა სამი ახალი დიდი საქმარის
— უდიდესი დრამატურგის, რეჟი-
სორისა და გმირის გაცნობა. რეჟი-
სორის ბრძასავით ვინდვ, ჩვენს შო-
რის არასოდეს არ ყოფილა რაიმე
წინააღმდეგობა, თავდავიწყებამდე
სიამოვნებდა მისთან მუშაობა,
რადგან ეს იყო ძალდაუტანებელი.
შემომქმედებით შთაგონება. და კი-
დევ ერთი: როცა უკვე ფეხი ავიდ-

გი — მაგიდიდან მიზანსცენებზე გა-
დავდით, რეჟისორს ერთი კარგი
თვისება აღმოვუჩინე: თავის ყო-
ველ აზრს ისეთნაირად მტყცოსდა,
მეგანა — ჩემი იყო. ამის მიუხეცი
შევიცანი. ის უტყუარად გრძნობდა,
ხედავდა ჩემს ანტიკონეს, ჩემს ში-
ნაგან მდგომარეობას და ყოველთვის
აქტმად გამოდიოდა. მისი სიტყვები,
ჩემს წინაშე დასმული ახალი ამო-
ცანის — როლისწინა მონაკვეთის
ლოკაციონ გაგრძელება იყო და, რა
თქმა უნდა, დოლო ალექსანდრეს
ძის ნაპოვნი თუ ნაკარნახევი ჩემად
მიმჩინდა. ამ აღმოჩენით გაკვირ-
ვებულმა მას გული გადავუშლე.
დოლომ ჩვეულებრივად, გემრიელად,
უხმოდ გაიცინა, თავის უზარმაზარ
სათვალეში თითქოს მივლი სახით
ჩაძებდა და ეშმაკურად მოციმციმე
თვალეებით შემთავალიერა, თან დას-
ძინა: — ყოველთვის ასეა, ძვირფა-
სო — სვეტლანა, ჩვენ სრული ურთი-
ერთობაგან და კონტრაქტი გვაქვსო.

— ჩვენი საუბარი მიწნდა ქართულ
ჟურნალში დაბეჭდულ, წინააღმდეგი
ხომ არ იქნებით?

— არა, პირიქით, მოხარული ვიქ-
ნები. თუ შეიძლება, ჩემს თბილისელ
მეგობრებსაც სალაში გადასცეთ.

— როგორ გნებავთ — ჟურნალის
მეშეგობით თუ პირადად?

— ეგ თქვენ განსაკუთ. ისინი
არაჩვეულებრივი ადამიანები არი-
ან: გულითად მომიკითხეთ მხატ-
ვარი ფერანოს ლაპიაშვილი, ტკიბი-
ლი და ფაქიზი პაპუნა წერეთელი

— იგი მიჭვინთაში გავიცანი, „სამ-
ჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი
ოთარ ვეაძე, ჩემი უახლოესი მეგო-
ბარი — არქიტექტორი კოტე ჩხეი-
ძე. შემდეგ ხელჩანთას ხსნის და
სურათს მაძივებს ჟურნალში დასა-
ბეჭდად. სიამოვნებით ვართმე-
სევეტლანა ოდნავ დაფიქვნი და
კვლავ ბატონ დოდოს დაუბრუნდა.

— იცით რა, ბატონი დოდო


ისეთია, რომელსაც შეუძლია ად-
მიანს აჩუქოს რაღაც დიდი, განუ-
ზომელი, თუნდაც შემოქმედებითი
„მე“. არ მაკვირვებს მისი ნიჭი,
ოსტატობა, რეჟისორული ტალანტი,
ყველა იცის უკარანში, მოსკოვში,
ლენინგრადში, მით უმეტეს — თბი-
ლისში, ამას ყველა შეგვიჩნა. მაკ-
ვირვებს ის, რომ მას შეუძლია
მსახიობის ხელახლა დაბადება. არ
ვიცი, რამდენ მსახიობს მიანიჭა
ასეთი განუმეორებელი სიხარული,
მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ მე
მათ რიცხვს ვეკუთვნი. მან აღმოა-
ჩინა ჩემი ახალი „მე“. რა მძიმე
წუთიც არ უნდა მქონდეს, რა დალ-
ლოლიც არ უნდა ვიყო, როცა გა-
მასხენდება ჩემი მსახიობური
მრწამსისა და „მეხ“ დაბადება, გა-
მასხენდება დოლო, გულზე გადა-
მეგრება დარდიც, სვედაც, მრყყო-
ბაც. მე იგი გზას მიჩანთებს. დი-
მიტრი ალექსანდრეს ძე ჩემი სუ-
ლის მხატვარია. არასოდეს არ და-
მავეწყდება მისი საქებარი სიტყვე-
ბი პრემიერის შემდეგ.

— რომელიმე მაინც მითხარით.
— ოო, მათი თქმა ძნელია, იმი-
ტომ, რომ ეს ქების, აღერსისა და
მოწონების მივლი სიმფონია.

წერილი დაწვერე, „სამჭოთა ხე-
ლოვნების“ რედაქციის თანხმობაც
მივიღე დაბეჭდავზე, მაგრამ ვაყოფ-
ნებდი. ბატონი დოდოს ნახვა მიწ-
დოდა, ის კი კივემ იყო. ბოლოს
კ. მარჯანიშვილის სახელობის თე-
ატრში შევხვდი და ჩემი თავგადა-
სავალი ვუამბე. გაეცინა.

— კი, წერილი მომწერა. რა სა-
ჭირო იყო. ზოგი ურნალ-გაზეთი
ისე ჭრის და კერავს, როგორც მოე-
პრიანება. სვეტლანას დანაშაულზე
ლაპარაკც ზედმეტია. მშვენიერ,
ბრწყინვალე მსახიობია, ჯერ სადა
ხარ? იგი ახლა იწყებს. წინ რამ-
ოდნა გზა აქვს! ძალიან, ძალიან
მსიამოვნებს, რომ ასე გაამართლა
ჩემი იმედები.





ც. ციციშვილის შემოქმედებით სლამოზე.

ციცინო ციციშვილის შექმნილი სალაოზა

ორი ათწლეული წელია, რაც საქართველოს ფილარმონიის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ციციშვილი ციციშვილი ქართულ სასცენადო ხელოვნებას ემსახურება. მან მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ქართული სასცენადო მუსიკის პოპულარიზაციასა და განვითარებას. მისი რეპერტუარი მუდამ შეიცავს ქართველ კომპოზიტორთა ახალ-ახალ ნაწარმოებებს, რომლებსაც მომღერალი მუსიკალურად და გამომსახველი ემოციურობით ასრულებს. ქართული საბჭოთა მუ-

სიკის მრავალმა სიმღერამ თუ რომანსმა სწორედ ც. ციციშვილის შესრულებით მიიღო საგზური საკონცერტო ესტრადაზე.

ც. ციციშვილის შემოქმედებითი გზა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის პერიოდიდან იწყება. იგი IV კურსის სტუდენტი იყო, როდესაც ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დასში ჩარიცხეს.

მაგრამ მომღერლის ბუნებისათვის

განსაკუთრებით ახლობელი იყო კამერული შემსრულებლობის სფერო. სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა მისი შემდგომი მოღვაწეობა. მსმენელს კარგად ახსოვს ც. ციციშვილის კარიერის დასაწყისი, მისი პირველი გამოსვლები ესტრადაზე. იმხანად მისი პარტნიორი იყო ნიჭიერი მომღერალი ეთერ გვაზავა. მათი დუეტი მსმენელთა განსაკუთრებულ სიმპათიებს იმსახურებდა. საზოგადოდ, საინსამბლო შემსრულებლობის ამ სახეობას ცენტრალური ადგილი ეთმობა ც. ციციშვილის



საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მუცლიძე მიესალმება
ც. ციციშვილს.

როლიან — კომპოზიტორი ს. შირიანაშვილი, მომღერალი — ე. შირიანაშვილი.



შემოქმედებაში. ამჟამად იგი ნ. კერვალიძესთან დუეტში ხატოვანად ასრულებს კამერული და საესტრადო მუსიკის საინტერესო ქმნილებებს.

ც. ციციქიშვილის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნების მსმენელნი. იგი ახალგაზრდობის ვარშავის V საერთაშორისო ფესტივალისა და ახალგაზრდობის მოსკოვის VI საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია.

ახლანა, ც. ციციქიშვილს 20-წლიანი დაულაღვი საკონცერტო მოღვაწეობის აღსანიშნავად, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა მომღერლის შემოქმედებითი საღამო. ამ ღონისძიების ორგანიზაციაში მონაწილეობდნენ თბილისის

ხელოვნების მუშაკთა სახლი, საქართველოს ფილარმონია და პროფკავშირების მხატვრული შემოქმედებას რესპუბლიკური სახლი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნების დამახურობელმა მოღვაწემ თ. ვეაქემ. ც. ციციქიშვილის შემოქმედებით გზაზე ილაპარაკა მუსიკისმცოდნე ე. მაჭავარიანმა. მომღერალს მიესალმნენ სსრკ სახალხო არტისტები ვ. გოძიაშვილი და ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სახალხო არტისტები დ. ანთაძე, დ. მჭედლიძე, მ. ყვარელაშვილი, რეჟისორი ა. გელოვანი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე ნ. სვანიშვილი, საესტრადო და საცირკო სასწავლებლის დირექტ-

ორი გ. სერგია, თბილისის უცხოენათა ინსტიტუტის პრორექტორი გ. შიოშვილი და სხვები.

დამსწრე საზოგადოებამ ვუთიერი დუმილით პატივი სცა ეთერ გვაზავას ხსენას.

კონცერტში მონაწილეობდნენ ც. ციციქიშვილი და ნ. კერვალიძე, აგრეთვე ც. ციციქიშვილის ნორჩი მოწაფეები ბ. ძენელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან.

დამსწრე საზოგადოების ერთსულეობანი მოწონება დაიმსახურა შემოქმედებითი საღამოს რეჟისორულმა ჩანაფიქრმა. ეს საინტერესო მუსიკალურ-სცენური კომპოზიცია კვუთუნობა ნიჭიერ ხელოვანს ნოდარ ჩხეიძეს.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი მიესალმება ც. ციციქიშვილს.



შაყურებელთა დარბაზი.



თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის ნორჩი მომღერლები (მარცხნიდან): ნ. რომელაშვილი, ი. ბურაძე, ნ. კავსაძე, ნ. ცარციძე.

მოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა

რუთა ბერიძე

ქმისიმი თანდათან უფრო დიდ მასშტაბის კულტურული მოვლენების სასპარეზო ხდება. და ეს სახეებით ბუნებრივია იმ ზრუნვისა და ყურადღების ვითარებაში, რასაც კონუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ავლენენ საბჭოთა ადამიანების არა მარტო მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, არამედ მათი კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

გასულ წელს ქუთაისში მომხდარ უდიდეს როგნულ მოვლენას — ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალის გახსნას, წინ უსწრებდა ახალგაზრდა მხატვართა ზონალური გამოფენა სურათების გალერეაში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დასავლეთ საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების 48 ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრები, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ და არ აიანთ გაერთიანებულნი მხატვართა კავშირში.

ერთი თვის მანძილზე ქუთაისსელები და ქალაქში ჩამოსული სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, ქედური ხელოვნების, დეკორატიული კერამიკის ნიმუშებს, რომელთაგან ბევრმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

1970 წლის 8 თებერვალს საქართველოს ალკე ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელექციონის საბჭოსა და საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის განყოფილების ახალგაზრდობას შორის მუშაობის კომისიის თაოსნობით მოეწყო გამოფენაზე გა-

მოტანილი ნამუშევრების საჯარო განხილვა.

განხილვას ესწრებოდნენ ქალაქის საზოგადოებრიობისა და შემოქმედებითი ინტელექციონის წარმომადგენლები, გამოფენის მონაწილეები და სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ — მოსკოვის სურვიკოვის სახელობის ინსტიტუტის პროფესორი, მხატვარ-გრაფიკოსი იური რეინერი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის მდივანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დიმიტრი თავაძე, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავმჯდომარე მიხეილ ხვიტია, საქართველოს სსრ დამასხურებელი მხატვარი კოტე ჭანკველია, სოხუმის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ცომოია, ქობულეთის კომკავშირის რაიკოპის მდივანი ც. კვეციანი და სხვ.

განხილვა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკე ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თამაზ იმედაძემ.

დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა ხელოვნებათმცოდნე გიორგი მასხარაშვილმა. იგი მიესალმა ამ მნიშვნელოვან წამოწყებას — დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა პირველ ზონალურ გამოფენას.

გ. მასხარაშვილმა გამოფენის ექსპოზიციის განხილვა დაიწყო გ. დოლუნჯაშვილის ნამუშევრებიდან და კარგი შეფასება მისცა მის ლინოგრაფიურებს — „ზემო სვანეთი“, „დაღესტანი“, „მუსულმანთა სასაფლაო“. ცალკე შეჩერდა მის ფერწე-

რულ ტილოზე „შატლი“. მოხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე გ. დოლუნჯაშვილის მიერ კოსმოსის თემაზე შექმნილ ფანტასტიკურ ტილოზე, რომლითაც მხატვარი გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას კოსმოსური სამყაროს დაპყრობისადმი.

მოხსენებელმა აღნიშნა ჭიათურელი მხატვრის ე. ჯოსაძის გრაფიკული ნამუშევრების ლაკონიზმი და განწყობილების ჩინებული გადმოცემის უნარი; დადებითად შეაფასა ვ. ფარუაშვილის დეკორატიული ესკიზები „სექტაკოსისათვის“, „ხევისბერი გოჩა“; ხაზი გაუსვა ნიჭიერი ფერმწერის გ. გაგოშიძის ტილოების კოლორიტულობას; საყურადღებო ნამუშევრებად მიიჩნია ნ. ნებურიძის, ბ. ნებურიძის, ი. მარტინოვის, ა. ბაკურაძის ფერწერული ტილოები.

ნატურმორტებს შორის პირველ ყოვლისა აღნიშნა ზღვისპირელი მ. ხალვაშის, ვ. ავიძბასა და ე. კოშელოვას მიერ ფაქტურის ჩინებული შერჩევით შესრულებული ნამუშევრები, შუაში იხვევ მ. ხალვაშის კომპოზიციურად საინტერესო „მზე“ და სოხუმელი გ. აშკარიანის ქვიშისფერ გამაში, მსუყე ტონებში დაწერილი „სანაპიროზე“.

მადლი შეფასება მისცა მოხსენებელმა ი. ასლანოვას, ტ. ხომერიკის, ო. ქანდარას, გ. მირზახანოვას მხატვრობას, ვ. აკობიას ეტრუდს და ვ. მიქელიძის სამ აკვარელს, გრაფიკიდან კი — გ. გეთაისა და ა. ტატანაშვილის ნამუშევრებს.



გამოფენაზე წარმოდგენილ კანდაკებებს შორის ყურადღება მიიპყრო აკ. კიკვაძის მაღალი პროფესიონალიზმითა და განწყობილებითა შესრულებულმა იმერელი გლეხის პორტრეტმა და სკულპტურულმა კომპოზიციებმა „ჩანეთი“, „ოცნების ჩიტა“, რ. მნაცაკანიანის „ფავა-ფშაველამ“, თეთნასწავლი მხატვრის გ. ლომსაძის „მუშის პორტრეტმა“.

ჭედური ხელოვნებიდან მომხსენებელმა განსაკუთრებით მოიწონა ჭიათურელ ა. დამაშვილის „იმეები“, ხოლო დეკორატიული კერამიკის ნამუშევრებიდან ს. ზონინაშვილის „თფფი“.

საქართველოს მხატვართა კავშირის სახელით დიმიტრი თავაძემ ახალგაზრდა მხატვრებსა და გამოფენის მომწყობ ორგანიზაციებს მიულოცა ვ. ი. ლენინის საიუბილეო დღეებში შემოქმედით ახალგაზრდობის ნამუშევრების საჯარო სამსჯავროზე გამოტანის მნიშვნელოვანი ფაქტი. მან თქვა, რომ ეს გამოფენა საყურადღებოა თავისი მრავალფეროვნებით. დიმიტრი თავაძემ სასუბით გაიხიზარა მომხსენებლის თვალსაზრისი ნამუშევართა შეფასებაში და დამსწრეთა ყურადღება შეაჩერა ზოგიერთ მათგანზე.

სრ. კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სახელით განხილვა-

ზე გამოვიდა პროფესორი იური რენერი. მან ილაპარაკა იმ დიდ შუქნავაზე, რასაც ჩვენს ქვეყნის შემოქმედებითი ორგანიზაციები იჩენენ კავშირგარეშე ახალგაზრდობის დასტატებისათვის, მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვის. მოსოვში, სრ. კავშირის მხატვართა კავშირთან, არსებობს სპეციალური კომისია, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს უზრუნველ სახელისრუების გამოყოფაში, კონსულტაციებით. 250 სტიპენდია, თითოეული 150 მანეთის რაოდენობით, ეძლევათ პერსპექტიულ მხატვრებს, რათა ერთი ან ორი წლის მანძილზე მოეზადონ კავშირში შესასვლელად. ი. რენერმა აღნიშნა, ასეთი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა ჩვენს რესპუბლიკაში.

სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი კოტე ჭანკვეტაძე, მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვალერიან მიხანდარი, მხატვარი რადიმ თორდია, არქიტექტორები ვ. გოდუაძე და ა. ფხაკაძე, პოეტი ზ. კუხიანიძე, სოხუმის კომკავშირის კულაკომის მდივანი ვ. ცომაია და სხვ.

თბილისის სამხატვრო აკადემიასთან არსებული კავშირგარეშე ახალ-

გაზრდობის სექციის თავმჯდომარე მამია ახობაძემ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ შემდგომმა ზონალურ-მა გამოფენამ უნდა მოიცავს დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიც, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ კავშირგარეშე ახალგაზრდობის მხატვრული აზროვნების განვითარების დონე და შესაძლებელია. მან აღნიშნა, რომ ამ საღებო-უტო გამოფენაზე იგრძნობოდა თემატიკური ტილოების ნაკლებობა, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ახალგაზრდები აქედანვე უნდა შეუდგნენ მომავალი გამოფენისათვის მზადებას, რადგან დაახლოებით ნოემბრისათვის გათვალისწინებულია ასეთივე რესპუბლიკური გამოფენის მოწყობა, მანამდე კი ზონალური გამოფენები გაიმართება სოხუმში, ბათუმში, ხოლო სექტემბრის ბოლოსათვის — კვლავ ქუთაისში.

ქუთაისის გამოფენამ ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული მხატვარი გამოავლინა როგორც ქუთაისში, ისე დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ გამოფენის განხილვა. ასეთი ღონისძიებები მხატვრული აღზრდის დიდი სკოლაა.

ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა ქუთაისში

კოორგი მასხარაშვილი

ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ჭიათურისა და ზუგდიდის ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა, რომელიც ქუთაისის სამხატვრო სალონში მოეწყო, ათასობით მაყურებელმა დაათვალიერა. შთაბეჭდილობათა წიგნში მოთავსებული საინტერესო ჩანაწერები გამოფენის დიდ წარმატებაზე მეტყველებენ.

გამოფენაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროფესიული დონის მხატვრები. სამხატვრო აკადემიადამთავრებულები, საშუალო სამხატვრო განათლების მქონენი და თეთნასწავ-

ლებიც. მათი ასაკი სხვადასხვაა (19-დან 34 წლამდე) და, რასაკვირველია, მათდამი მოთხოვნაც განსხვავებულია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, თეატრალური მხატვრობა, ჭედურობა და კერამიკა. მრავალფეროვნების მიუხედავად გამოფენას მაინც ერთი მური და გამერული ხასიათი ჰქონდა, სადაც ჭარბობდა თანამედროვე აღაშიანის ცხოვრებისა და შრომის ამსახველი ჟანრული ხასიათის პატარა ტილოები, პერსაჟები, პორტრეტები, გამოყენებითი-დეკორატიული ხელოვნების მრავალფეროვანი ნიმუშები.



ახალგაზრდული გამოყენების საინტერესო ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ზოგიერთი მხატვარი თავისი შემოქმედების მრავალფეროვნების ასახავს, არა მარტო სხვადასხვა მხატვრული ხერხისა და ჟანრის გამოყენებით, არამედ მხატვრობის სხვადასხვა დარგში მუშაობითაც. მაგალითად, პროფესორი გრაფიკოსებმა გ. დოღუნავაშვილმა (ჭუთაისი) და ე. ჯოხაძემ (კიათურა), რომლებმაც 1968 წელს დაასთავრეს თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი, გრაფიკულ ნამუშევრებთან ერთად წარმოადგინეს პროფესიული დონის ფერწერული ნაწარმოებები.

დოღუნავაშვილის ნამუშევრები ჩანს კეთილმინდისიერი და სერიოზული დამოკიდებულება არჩეული თემისადმი. მისი თემა, ძირითადად, შიშის ხალხის ცხოვრებასა და ბუნებას ასახავს. მხატვარი ბევრს მოგზაურობს, აკვირდება ხალხის ცხოვრებას, მათ ყოფას, სწავლობს მთის ბუნებასა და მთიელი ხალხის თავისებურებებს. ბევრს ხატავს ნატურადან და ამ ნახატების მიხედვით ქმნის მხატვრულ და საინტეგრაციო გრაფიკულ და ფერწერულ სურათებს. ასეთებია მის მიერ ლინოგრაფიურის ტექნიკით შესრულებული სურათები: „ქორწილი დაღესტანში“, „ზემო სვანეთი“. დაღესტანისადმი მიძღვნილ სურათში გადმოცემაა შიშის აღსასი და სვანეთისადმი მიძღვნილ გრაფიკაში კი მეტი რომანტიკულობა და პოეტურობაა. მხატვარი მუშაობისას ყენებებს ლინოგრაფიურისათვის დამახასიათებელი თეთრი და შავი ლაქების კონტრასტებს. სრულიად განსხვავებული მხატვრული მიდგომითაა დაწვეტილი ფერწერული ტილო „შატალი“. დამის შატლი დაწერილია მუქ-ციფ ფერებში; მთვარის შუქით მხოლოდ სოფელაა გასათვლელი, რაც ამ თავისებურ მედიდურ ბუნებას რომანტიკულ ხასიათს ანიჭებს.

ფერწერული ტილო „კოსმოსი“ შთაგონებულია დღევანდელი ადამიანის მიღწევებით და მოწოდებს მხატვრის ფანტაზიის სიმდიდრეს. ახალგაზრდა მხატვრის უპოქმედებაში თემატიკისა და ტექნიკის ამგვარი მრავალფეროვნება ავტორის საინტერესო ძიებებისა და ცდების შედეგია.

ასევე გრაფიკული და ფერწერული ნაწარმოებებში წარსდება გამოყენებული ჭიათურელი მხატვარი ელვაჯა ჯოხაძე მისი გრაფიკული ფერწერები მიძღვნილია ინდუსტრიული პეიზაჟებისა და მადაროლთა შრომის პროცესებისადმი. მხატვარმა უმეტესად გამოიყენა ჭიათურელ მადაროლთა დამატებული შრომა და მთიანი ინდუსტრიული პეიზაჟის სპეციფიკა: ამწეები, საბაგირო გზები, ვაკონტეინერები და სხვა.

კომპოზიციის თავისებურებით საინტერესოა მისი ფერწერული ტილო „ნახირი“. წინა პლანზე გამოსახულია ნახირი, ცხოველების გამოკვეთილი სილუეტები და მოძრაობის რიტმი ხაზგასმულია უკანა პლანზე მოთავსებული გორაკებს სილუეტებით. სურათი დაწერილია ერთიან ფერად და გამაში, რომელშიც ჭარბობს ლურჯი, იასამინისფერი და შინდისფერი.

ი. ქობლაძემ წარმოადგინა გრაფიკული სერია და ფერწერული ტილო „ახალგაზრდობის დასვენება“. სურათში მხატვარი ამჟღავნებს ინდივიდუალობას; იგი თავისებურად და საკუთარი ფერწერული ხედიდან აგებს კომპოზიციას. მი-

სივე ქანრული ხასიათის გრაფიკული ფორმები ნაწარმოებში გამოხატულია.

ძიებთა პროცესში ახალგაზრდა მხატვრების ჯგუფი ამა თუ იმ მხატვრის გარკვეულ გავლენას განიცდის. ფერწერ გ. ტულუშის (ბათუმი) ორი სურათი — „ზღვის ზელოები“ და „ქუჩა“, სადაც მცხუნვარე შიშის სხივები და თაკა-რა ზაფხულის გარემო კაშკაშა ფერებით არის გადმოხედილი, დინეკასა და სარაინის ცნობილი ტილოების ასოციაციებს იწვევს.

ქუთაისელი მხატვრის გ. გომაძის ერთ სურათში („აბესალომი და ეთერი“) სერფე ქობულაძის გავლენა ჩანს, მეორეში („ბროწეულა“) კი რობერტ სტურასი, მიუხედავად იმისა, რომ ფერში შესრულებული განსხვავებულად ამ მხატვრებისაგან, უფრო საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს ამ მხატვრის პორტრეტები, რომლებიც გარკვეულ განწყობილებას გადმოსცემენ და ფერადიანი გამაც ერთიანი და გამომსახველი აქვთ.

გამოჩენილი მხატვრისადმი ეს სიყვარული თუ გავლენა სულ სხვაგვარად გამოჩნდა სოხუმელი მხატვრის რ. ავაქიძის ნამუშევრებში. მან გამოიყენა გამოიტანა ფიროსმანის ორი პორტრეტი, რომლებიც დაწერილია ფიროსმანისადმი პირობითი მანერით. ავტორმა ორივე ფონად ფიროსმანის სურათები გამოიყენა და ამით დიდი მხატვრისადმი ახალგაზრდული სიყვარული და თაყვანისცემა გამოხატა.

ბათუმელმა მხატვარმა ბ. ბაკურაძემ წარმოადგინა მისთვის დამახასიათებელი პასტოზური მონასმებითა და მსუფე ფერებით შესრულებული ორი სურათი „სოფლის ბეიზაგი“ და „პოსტა“, რომლებშიც გადმოსცა თავისი კუთხის — უხევი მცენარეული დაფარული სამხრეთის ზღვისპირა ქალაქის თავისებურება.

ზღვის სანაპირო, მისი ნავსადგურები და პეიზაჟები სრულყოფილი ოსტატობითა და რეალისტურად აქვთ გადმოცემული ბათუმელ ფერწერლებს: ი. მარტინოვს, ი. ჩხაიძეს, მ. გურგენიძეს, სოსუმელებს: მ. მირზახანოვასა და გ. აშკარიანს.

მეტად ორიგინალურ და საინტერესო მხატვრად მოგვევლინა ი. ალანოვა (სოხუმი). აზრის სიღრმითა და ფსიქოლოგიური გამოხატულებით ყურადღებას იქცევს ამ მხატვრის ალგორითული ხასიათის სურათები და პორტრეტები.

ფერის ლაინიურობა და მონოქრომულობა ასახაობებს ახალგაზრდა და უდავად ნიჭიერი მხატვრის ა. ნებიერიძის სამ სურათს: „სარეცხა“, „სამზარეულო“, „ჩაფიქრება“.

გამოყენას ამწვენებს პროფესიული ოსტატობით შესრულებული ნატურმორტები. აღსანიშნავია მ. ხალვაშის (ბათუმი) და ბ. ნებიერიძის (ჭუთაისი) ფართო მონასმებით დაწერილი ნატურმორტების ფაქტურის უსუსტი და მეტყველი გადმოცემა. ზეთის საღებავებით, მაკრასი თხელი აკვარელური ფაქტურითაა შესრულებული თ. კოვეცკას (სოხუმი) „ვაშლი და მხალი“, თ. ბარდღელიშვილის (ბათუმი) „ნატურმორტი“. პეტერის განწყობილებითა დაწერილი სოხუმელი მხატვრის ვ. გაგულაია-ავიბიძის „ყვა-



ვილები⁴. ქების ღირსია მისი მეორე ნამუშევარიც „გურ-
ზუფის კუთხი“.

გამოფანაზე ძუნწადა წარმოდგენილი პორტრეტის ჟან-
რი. კარდა ზემოთ დასახელებული პორტრეტებისა, გამო-
ფენილია კიდევ ორი მხატვრის ნ. ნიჟარაძისა და ე. შვა-
ნოვას მიერ შესრულებული პორტრეტები.

ქუთაისელი მხატვრის ნ. ქორიაშვილის პატარა, კამერუ-
ლი ხასიათის მეტად თბილ სურათში „ლენინი უსმენს მუ-
სიკას“ (ავერელი), ე. ი. ლენინი! გატაცება მუსიკით
მიუღიეს შინაგანი სითბოთი და ადამიანურობითაა გად-
მოცემული.

აქვეა სხვადასხვა მანერით დაწერილია ჟანრული სურათ-
ები და პეიზაჟები: ტ. ხომერიკის (ბათუმი) „ეტიუდი“,
ბ. შავგულიძის (ეუთისის) „მოსწამეთა“, ჯ. აკობაის (უკუ-
დი), ე. ვეჯუჭვი, თ. ქანდარაის (ქუთაისი) „გურის მთე-
ბი“ და „გოგონები“.

ჯ. მიქელაძემ (ბათუმი) რამდენიმე პატარა ზომის აკვა-
რელურ სერიაშიც ოსტატურად გადმოსცა ბათუმის სანაპი-
როს სიამაყეს.

ზემოთ დასახელებული გრაფიკული ნამუშევრების გარ-
და გამოფენაზე ექსპონირებულია სიხვეული მხატვრის
გ. გეთიას ორი ლინოგრაფიურა. მხატვარმა ერთ-ერთი
ფურცელი მიუძღვნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას
აფხაზეთში და დამაჯერებლად გადმოსცა რევოლუციური
სულისკვეთებით გამსჭვალულ აფხაზთა სახეები.

ორმა თეატრალურმა მხატვარმა — ჯ. ფაურაშვილმა
(ქუთაისი) და ნიჟარაძემ (ბათუმი) წარმოადგინა სპექ-
ტაკლების დეკორაციების ესკიზები. ალ. ყაზბეგის „ხვეის-
ბეთი გოჩას“ დეკორაციის სამივე ესკიზში ჯ. ფაურაშვილმა
გაუთვალისწინებია სცენის საკითხები. მისი დეკორაციები
ხელს უწყობს რეჟისორის ჩანაფიქრის განხორციელებას.
პანანუსისებური მთიანე მთის ბუნების შთაბეჭდილებას
ქმნის. ამავე დროს მოხერხებულია მიზნასცემებისათვის და
დინამიური მოქმედების საშუალებას იძლევა. სცენის გან-
წყობილებას შეეფერება ფერადოვანი გამაც. ნიჟარაძეს თა-
ვის ერთ პატარა ესკიზში სპექტაკლისათვის „ტილ ულენი-
შვიცილი“ შესანიშნავად აქვს გადმოცემული ეპოქის სული
და განწყობილება. მხატვარს გააზრებული აქვს აქვეყნა-
რები, რაც ხელს უწყობს სპექტაკლის დედაარსის გახსნას
სახეითი ხელოვნების საშუალებებით.

ქანდაკეა წარმოდგენილია რამდენიმე პორტრეტით,
ჯანრული ხასიათის ფიგურითა და სამი რელიეფით. მო-
ქანდაკეებიდან მხოლოდ ორია უმაღლესი განათლებით. და-
ნარჩუნებს კი სპეციალური განათლება ან მიუღიათ.

გამოფენის წამყვანი მოქანდაკეა აკ. კვიციანი (ქუთაი-
სი). მისი ნამუშევრებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა
პორტრეტები, რელიეფები და კომპოზიციები: „ჩანგი“,
„მოყმე და ვეფხვი“, „ოცნება“. მოხუცი კლუხი ივანე ბა-
სილაძე მართალი და ღრმა პორტრეტული დახასიათებ-
ისა მოცემული. მოქანდაკეს გამოუძერწავს უბრალო და
მეტად კეთილშობილი ქართველი კაცის იერსახე. მის სახე-
ზე იკითხება შინაგანი სიმშვიდე, ამავე დროს ჩანს ხან-
გრძლივი მშფოთვარე ცხოვრებით განვლილი გზის დაღი.

სხვაგვარადაა გადაწყვეტილი კომპოზიციები „ოცნება“,
„ჩანგი“, მათში განზოგადებული ფორმებით არის გადმო-
ცემული პოეტური განწყობილება. ვერ დავეთანხმებით მო-
ქანდაკეს „მოყმე და ვეფხვის“ კომპოზიციის სტატუკურად
გადაწყვეტაში.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დიპლომანტმა რ. შვა-
ცკანიანმა (ქუთაისი) სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრები
წარმოადგინა: ვაკე-ფშაველას ფიგურა, ახალგაზრდა კა-
ცის პორტრეტი და ერთი ბარელიეფი. მისი ნამუშევრები
ერთმანეთისგან განსხვავებულია მხატვრული გადაწყვე-
ტით, რაც ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედებითი ძიების
უნარზე მიგვითითებს. ვაჟას ფიგურაში ჩანს მთის სიბრ-
ღის, დიდბუნებოანი ადამიანის ძალა და შემართება. განსხვა-
დებულია ახალგაზრდა მამაკაცის თავის პლასტიკური გა-
დაწყვეტა. ფორმების რბილი მოდელირებით, ერთი პლას-
ტიკური ფორმიდან მეორეში თანდათანობით გადასვლით
მიღწეულია სუბტილური მთლიანობა. ამ პორტრეტით თა-
ნამედროვე ახალგაზრდა კაცის განზოგადებული სახეა მო-
ცემული. მხატვარს აღებული აქვს ნატურადანის, რაც
ახსიათებს სულითა და ფიზიკურად ძლიერ თანამედროვე
ახალგაზრდას. ამავე დროს მოდელის ინდივიდუალური
ბუნება საკმაოდ მკაფიოდაა გადმოცემული.

გამოფენაზე წარმოდგენილია რამდენიმე ახალგაზრდის
ნამუშევარი. ყურადღება მიიქცია ერთ-ერთი მათგანის, სა-
მხატვრო სკოლის მოსწავლის გ. ლომაძის (ქუთაისი) მე-
ტად პოეტური განწყობილებით გამოძერწილმა პატარა ფი-
გურამ.

ამ გამოფენაზე წარმოდგენილია ზ. სალუქვაძისა და
გ. ლომიძის ნამუშევრები. მათ ე. წ. „ჭოგნარის სკოლის“
აღზრდილებს უწოდებენ. უფროსი მოქანდაკეებს სოფ. ჭოგ-
ნარში აქვთ სახელოსნო, სადაც ამავე სკოლის ს. ბორ-
ციაშვილი გატაცებით სწავლობს ქანდაკების ჩამოსხმის
ტექნოლოგიასა და ტექნიკას. სწავლის პროცესში შექმნი-
ლი ამ ნამუშევრების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ
მათი სახით მოვალეში ვიხილავთ ნიჭიერ მოქანდაკეებს.

ჭედური ხელოვნების ნიმუშებიდან ექსპონირებულია კო-
მპოზიციული და პორტრეტული. საინტერესოა ქართული ყო-
ფის ამსახველი კომპოზიციები: ა. დამაშვილის (ჭიათურა)
„მერანია“, „შემოდგომა“, „ჭობაობა“, ჯ. მესხის (ბათუმი)
„შემოდგომა“, „ოში წასვლა მას უნდოდა“, აგრეთვე
ჯ. ცინცაძის (ბათუმი) რამდენიმე ნიმუში.


თბილისის აკადემიის კერამიკის ფაკულტეტის დიპლო-
მანტმა ს. ზონელაშვილმა (სოხუმი) წარმოადგინა დეკო-
რატიული პანო, ყავის სერვიზი და თფფი „დილა“. სა-
ინტერესოააა გადაწყვეტილი დეკორატიული პანო, რო-
მელიც შექმნილია „დაე მდამი იყოს მზის“ მოტივებზე.

საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდული
სექციის, მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილებისა
და საქართველოს ალკქ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის
ამ მეტად საჭირო და სასარგებლო ღონისძიებამ გამოა-
ვლინა ნიჭიერი და მომავლის მქონე ახალგაზრდა მხატვრე-
ბის მთელი პლეადა.

მასტრი რთული, მრავალი კომპონენტისაგან შემდგარი ორგანიზმია. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ თეატრი გარდერობიდან იწყება და ყველა, ვინც კი თეატრში მუშაობს, ერთ მიზანს — სპექტაკლის შექმნას ემსახურება. თეატრს, ისევე როგორც დიდ ორკესტრს, თავისი დირიჟორებიცა ჰყავს. სამხატვრო ხელმძღვანელების გვერდით დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ქუჩვიან ადმინისტრაციული მუშაუკები.

გ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო ამობდა, რომ „საზრიანი ადმინისტრატორი თეატრისათვის, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მსახიობი“. ეს სიტყვები შემთხვევით არ იყო თქმული, რადგანაც დიდი რუსი რეჟისორი და დრამატურგი პირადად სამხატვრო თეატრის დაარსებიდან მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა ადმინისტრაციული მუშაობის მძიმე ჭაბანს. თეატრის ისტორიამ შეგვინახა არა ერთი ნიჭიერი ხელმძღვანელის სახელი, რომელნიც თავგამოდებით, გატაცებით და ჭეშმარიტი ნიჭიერებით ემსახურებოდნენ თეატრს. განა ჩვენი ქართული თეატრისათვის ცოტა გააკეთეს პ. კანდელაკმა, დ. მჭედლიძემ, დანთაძემ, ი. გვინჩიძემ, პ. პატარაიამ, შ. შანიძემ და მრავალმა სხვამ, რომელთა მთელი მოღვაწეობა შემოქმედების ცეცხლით იყო გამთბარი.

ერთ-ერთი ასეთი მოკრძალებული მოღვაწე, რომელმაც დიდი ენერჯია და სიყვარული მოახმარა ქართულ ხელოვნებას, გახლავთ პოპო ლევანის ძე მურდულია. მისი სახელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს იქითაცაა ცნობილი. მისი ოთახის კედლებზე მრავალ სურათთა შორის, რომელნიც პ. მურდულიას მეგობრებმა უძღვნეს, არის დიდ ხელოვანთა — ლ. გუდიაშვილის, კონჩალოვსკის, დ. კაკაბაძის, გ. ანკლედინანის, თ. აბაკელიას, ქ. მაღალაშვილის, რ. სტურუას, ი. შტენბერგის ნამუშევრები. მის ოთახს ამ-



პოპო
მურდულია.

თეატრის სამსახურში

ნადეჟდა შალუტაშვილი

შეგნებს აგრეთვე კ. მარჯანიშვილის, უ. ჩხეიძის, ნ. ვანნაძის, ელ. ჩერქეზიშვილის, ა. ტოლსტოისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების სურათებზე, რომლებმაც პ. მურდულია ჭეშმარიტ მეგობრად აღიარეს და მას თავისი პატივისცემა უძღვნეს.

წლებმა ამ ოდესღაც ახოვან, კუნთოვარ ვაჯაკას თმა გაუთეთრა,

მაგრამ გული ისევ ჭაბუკურად უცემს. იგი დიდი შინაგანი მღელვარებით გვიჩვენებს მეგობართა წერილებს, უამრავ ფოტოსურათს. ყოველივე ეს მისი ცხოვრების ნიშანსვეტებია და განვილილ გზას გვახსენებს...

პოპოს აგონდება ქუთაისი, თავისი ბავშვობა, გიმნაზია, რომელშიაც



ალექსეი ტოლსტოი სტუმრად
ველის თეატრში. მარცხნიდან:
გაბრეკლო, მიხეილ ჩიხლაძე,
ტოლსტოი, აკაკი ვასაძე, პოკო
ლოია, ლუდმილა ტოლსტაია,
ჩაფარიძე, ვიორჯი საღარაძე,
კახაიშვილი.

მასთან ერთად სწავლობდნენ და მისი ახლო მეგობრები იყვნენ ქართული კულტურის გამომჩინილი მოღვაწეები — ს. ჩიქოვანი, ა. ბ. შენგელი, ა. ბე-ლიაშვილი, ნ. შენგელია და სხვანი, აგონდებო ლიტერატურული წრე, ფუნქციონირებდა გატაცება და თავისი პირველი თეატრალური შთაბეჭდი-ლებანი. მურულუების ოჯახში რამ-დენიმე წელი ცხოვრობდა მათი ახ-ლო ნათესავი — მსახიობი ა. მუ-რუსიძე, რომელმაც პირველად წაი-ყვანა ბიჭუნა თეატრში ვ. გუნიას „და-ძმა“-ზე. ის იყო და ის, მას შემდეგ პ. მურულუა მთელი თავი-სი ახსნებთ თეატრს დაუკავშირდა, მაშინვე ითავა გიმნაზიაში წარმოდ-გენების გამართვა. 12 წლის პოკო მისწავლეთა მონაწილეობით დადგა ი. ჭავჭავაძის „აკაკი ყაჩაღი“ და თვითონაც ითამაშა სცენაზე. აქედან დაწყებული, სადაც არ უნდა ყოფი-ლიყო, რაც არ უნდა ეკეთებინა, მუდამ თეატრზე ფიქრობდა, ამ ოც-ნებით ცხოვრობდა. გაიყო თუ არა, რომ ქუთაისში ვასო ბაღანიშვილისა და შ. დადიანის მეთაურობით ჩამო-ყალიბდა სცენისმოყვარეთა დასი „ხელთვნება“, მან მისთვის მიაშურა ამ დასს და მე-8 კლასის მოწაფემ

მონაწილეობა მიიღო მის წარმო-დგენებში.

დასი საკმაოდ რთულ დადგმებს ჰკიდებდა ხელს. მის რეპერტუარში იყო აკაკი გრაკობი, „კრეზინის ქო-რწინება“, „დები ეჭვარები“ და სხვ. შ. დადიანის „ისინი კარავში“ პ. მურულუამ ისტორიული გმი-რის, ზაქარია მხარგრძელის როლი განასახიერა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყა-რების შემდეგ საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში რკინიგზის სადგუ-რებზე ჩამოყალიბდა საავტოკაციო პუნქტები. ქუთაისში ასეთი ავტო-პუნქტის ხელმძღვანელობა პ. მუ-რულუას დაავსრეს და ისიც დაუ-ზარელად, მისთვის ჩვეული გატაცე-ბით მუშაობდა — მართავდა კონ-ცერტებს, წარმოდგენებს, დამა-დასავლეთ დაავსრეს და ისიც დაუ-ზარელად. მსახიობთა ბრიგადა მთე-ლი დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლებში მართავდა საღამოებსა და წარმოდგენებს. მიუხედავად დი-დი დატვირთვისა და საარსებო წყა-როზე ზრუნვისა, იგი აგრძელებ-და სწავლას. საშუალო სასწავლებ-ლის დამთავრების შემდეგ პ. მურ-ულუა თბილისის უნივერსიტეტის

იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ თეატრთან კავშირი როდი გაწყვეტია. იგი აქტიურად მოღვა-წეობდა წითელი არმიის პოლიტსა-მმართველოს მიერ დაარსებულ დას-ში, რომელსაც შ. დადიანი ხელმძღვა-ნელობდა. თამაშობდა სცენაზე ისეთი სახელმძღვანელო თეატრალური მო-ღვაწეების გვერდით, როგორებიც იყვნენ შ. დადიანი, კ. ანდრონიკა-შვილი, ე. ანდრონიკაშვილი, ნ. და-ვითაშვილი და სხვები.

1922 წელს პ. მურულუამ ბრწყი-ნვალად ჩააბარა მისაღები გამოცდა ა. ფაღავას ხელმძღვანელობით გაბ-სნილ თეატრალურ სტუდიაში და თავდავიწყებით დაიწყო მეცადინე-ობა, 1924 წელს კი მან დამთავრა ეს სტუდია.

1923 წ. თბილისში საგასტრო-ლოდ ჩამოვიდა მოსკოვის სამხატ-რო თეატრი. სტუმრებს წარუდ-გინეს ახალგაზრდა მოსწავლე მსა-ხიობები, მათ შორის პ. მურულუი-აც იყო. მის მიერ ანტიონიუსის მო-ნოლოგის წაკითხვამ სამხატრო თეატრის მსახიობთა მოწონება და-იმსახურა. სტუდიის დამთავრების შემდეგ პ. მურულუა რუსთაველის სახელობის თეატრის დასში ჩაირი-

ცხა. მიმზიდველი გარეგნობის, ძლიერი და მშვენიერი ხმის მქონე ახალგაზრდა კ. მარჯანიშვილმა მიიწვია თავის პირველ ფილმში „ქარიშხლის წინ“ მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ მურღულია დააკავეს ფილმში „ძინა-ძაძუ“. ამავე დროს, იგი თეატრთანაც არ წყვეტდა კავშირს, რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ იგი თან გაყვა თავის მასწავლებელს ქუთაისში. რასაკვირველია, სამუშაო არ აკლდა, მაგრამ ხედავდა თუ რა დიდი ნიჭის ადამიანები იყვნენ მის გვერდით, მიხვდა, რომ უ. ჩხეიძეს, შ. ღამბაშიძეს და სხვებს მტოქეობას ვერ გაუწევდა და თანდათან, შეუმჩნეველად, ორგანიზაციულ მუშაობაში ჩაება. კ. მარჯანიშვილის გამჭრიახ თვალს, რასაკვირველია, ეს არ გამოჰპარვია და მამაშვილურად ურჩია მისი დამხმარე ყოფილიყო ადმინისტრაციულ დარგში. თეატრის პირველი გასტროლებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად მარჯანიშვილმა იგი მოსკოვში გაგზავნა. პ. მურღულია ორგანიზაციულ მუშაობას მიეცა და არც არასოდეს უნანია,



რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში 1947 წელს. მარცხნიდან: პოკო მურღულია, აკაკი ხორავა ოტელის როლში, ალისა კოონენი, ალექსანდრე თაიროვი, აკაკი ვასაძე იაგოს როლში.

მარცხნიდან: ნანა ნურღულია, იოსებ გრიშაშვილი, პოკო მურღულია, მიხეილ ჭიაურელი.



რადგანაც ყოველთვის მომთხოვნი იყო არა მარტო სხვების მიმართ, არამედ, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი.

1930 წლის გასტროლებმა ხარკოვსა და თბილისში ასევე კარგად ჩაიარა და ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღოდა პ. მურღულიას. ხანდახან იგი სცენაზეც გამოდიოდა. მაგალითად, ითამაშა პიესებში „ყვარყვარე თუთაბერი“, „როგორ — ხოლო მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, წავიდა თეატრიდან და „სასკინმრეწვში“ დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდა მსახიობი შეიღწედა მონაწილეობის ფილმებში „უმური“, „პრომეთე“, „ზაპოროჟიელი დუნაის იქით“, ეს ორი უკანასკნელი ფილმი უკრაინელმა მოდელეებმა გადაიღეს.

თბილისში გადაღებული ფილმის „პრომეთეს“ რეჟისორი ჩვენი თანამემამულე ივ. კავალერიძე იყო.



ფილმში უკრაინულ მსახიობებთან გ. იურასიან, ნ. უევისიან, ნ. სერ-დიუკთან, ჩისტიაკოვასთან და სხვებთან ერთად, ქართველი მსახიობები ჩ. ერისთავი, ა. ნოზაძე, შ. ტყე-რევი, პ. მურდულია და სხვებიც მონაწილეობდნენ. ფილმი ორი მოძი-მე ხალხის მუშაკათა ერთობლივი შე-მოქმედებითი შრომის ნაყოფს წარ-მოადგენდა. პ. მურდულია უკრაინე-ლებს ისე მოეწონათ, რომ ცოტა მთავრებით, როცა თავისი კლასი-კური ნაწარმოების „ზაპრორეიელუ დნანის იქით“ გადაღება დაიწყეს, ი. კავალერიძემ უკრაინაში მსახიობ ნოზაძესთან და ბრეჯაქესთან ერ-თად პ. მურდულიაც მიიწვია.

ქართველი მსახიობები დაუმგობ-რდნენ უკრაინელებს. მურდულია ძალიან მოსწონდა რეჟისორ დოვჟე-ნკოს და იმსახე ფიქრობდა, რომ მი-წვევია სოლდცკას ფილმში „როგორ იმერთობოდა ფოლადი“, რომლის გა-ადღება განხორციელებული დარჩა.

მურდულიას ორგანიზატორულმა ნიჭმა, ინიციატივამ, ენერგიამ კი-ნოზიცი იჩინა თავი. იგი მთელი რიგი ცნობილი ფილმების დირექტორი იყო. მან დიდი მუშაობა ჩაატარა რეჟისორ მ. ჭიაურელთან „არსენას“ გადაღების დროს, დირექტორი იყო ფილმებისა — „უკანასკნელი მასკა-რადი“ (მის ბოლო ნაწილში), „ჟუ-ენსა მსოფთი“ და სხვ.

პ. მურდულია მრავალი წლის გან-მავლობაში მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივისი ადმინისტრატორად, დირექტორის მოადგილედ და დირექტორად. იყო თბილისის ცირკის დირექტორიც. 1951 წელს მან ჩამოაყალიბა ქარ-თული სიმღერისა და ცეკვის სახელ-მწიფო ანსამბლი, რომელთანაც ერ-თად მოიარა რუსეთის მრავალი ქა-ლაქი. 1957 წელს იგი ხელმძღვა-ნელობდა ქართული ხელოვნების დეკადის ორგანიზაციას მოსკოვში, ქ. თბილისის 1500 წლის დღესას-წაულთან დაკავშირებულ შემოქმე-დებით ღონისძიებათა შტაბს და სა-თავეში ედგა ა. გრიბოედოვის სახე-ლობის რუსულ დრამატულ თეატრს. ვინ მოთვლის რამდენი ღონისძიების

მოთავე და ორგანიზატორი იყო პ. მურდულია, დიდი სამაშულო ომის წლებში — ორგანიზაციას უთვებდა საფრთხელო ბრძოლებს, თავნების აგ-როვებდა თავდაცვის ფონდში შესა-ტანად, ყოველგვარ დახმარებას უწ-ევდა ევაკუაციაში მყოფ საბჭოთა ხელოვნებს, „ოქროს ფონდის“ წა-რმოზადებულებს...

დიდი შრომისუნარიანობა და ენ-თუხაზში, რასაკვირველია, საკმა-რისი არ იყო. პ. მურდულიას ღირ-სეული ორგანიზატორული საქმიანო-ბისთვის. მის დიდ ღირსებას ისიც შეადგენდა, რომ იგი თვითონ იყო შემოქმედი, თვითონ განიცადა და შეისწავლა თეატრის ცხოვრების ავ-გარი, ყოველი ნიუანსი. პ. მურ-დულიასთან მუშაობა ყველა რეჟ-ისორს უყვარდა. იგი ყოველთვის დროზე ზრუნავდა, თუ სად მიენახა დადგმისათვის საჭირო მასალა, რო-გორ მომზადებულიყო დეკორაცი-ები, რეკლამები. ხშირად ჩუმად შე-ვიდოდა რეჟეტივის დროს დარბა-ზში და იმსახოვებდა რეჟისორის შენიშვნებს, რათა თავიდან აეცილე-ბინა მისთვის ყველა გამაღიზიანე-ბელი „წერტილი“. კოლექტივში იგი ყველას უყვარდა. საჭირო შემ-თხვევაში მისთვის ჩვეული ტაქტიკა, შეუწინვლად, საქმიან რჩევასაც აძ-ლევდა ხოლმე სახელმძღვანელო ის-ტატს, წაახალისებდა ახალგაზდას; სამხატვრო საბჭოს, ამ მთავარი რე-ჟისორის ყურადღებას შეაჩერებდა საინტერესო პიესაზე. მას უსაზღ-ვროდ უყვარდა თავისი თეატრი, მაგ-რამ არასოდეს არ ყოფილა მიკერძო-ბული. პირველი შენიშნავდა ნაკლს, ან წარმოადგენის ჩაჯარნას და სა-შინლად განიცდიდა, მაგრამ უნდა განებათ, როგორ აღფრთოვანებ-და ნამდვილი წარმატება. თავისი კოლექტივის მარცხს, ისევე როგორც გამარჯვებას, თავისად თვლიდა, ამასობა და ბავშვითი ხარობდა. ის შემოქმედებითი მუშაობი, რა-მიღებსაც. პ. მურდულიასთან უმე-შვნაით, დღესაც კეთილი სიტყვით ისხნებენ მას. იმ გულისხმიერ და-მიკვიდებულებას, რომელსაც იგი მ-

თაში იჩენდა, ადმინისტრაციულ მუშაკის შემოქმედებით მუშაკთან ურთიერთობის სამაგილო ეტალო-ნად სთვლიან.

შეიძლება ხშირად შეგვხვდეს გა-ნოცდილი სამეურნეო მუშაკი, ორ-განიზატორი, საერთოდ, მომზადე-ბული ადამიანი, მაგრამ თეატრში საქმე მაინც რიგზე არ იყოს. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ სადაც გულის სიღრმეში ეს ადამიანი გულგრილია თეატრის მიმართ. შესაძლათა, ზოგმა არც კი აღიაროს, რომ მისთვის არ-სებითად სულ ერთია სად იმუშა-ვებს. თეატრი კი ისეთი დაწესებუ-ლებაა, რომლის ხელმძღვანელისა თვის არ არის საკამარისი მხოლოდ სამეურნეო მუშაობის გამოცდილება, ენერგიულად და ინიციატივად. არა-ცნებს შეუძლია თეატრისადმი უსა-ზღვრო სიყვარულის კომპენსირება. ეს მოწოდებაა, რომელსაც თან ერ-თვის წლების განმავლობაში შექმ-ნილი გამოცდილება, პირად პრაქ-ტიკის საფუძველზე შექმნილი თეატ-რის წარმოების ზედმიწევნით ცოდ-ნა, მისი ბუნების, სპეციფიკის ფა-ქიზი გაგება — მხოლოდ ამას და მეტს არაფერს შეუძლია გახადოს ადამიანი თეატრის ჭეშმარიტ ხელ-მძღვანელად და ორგანიზატორად.

სწორედ ამ ტიპის მოღვაწეა პო-კო მურდულია. ეკონომიკას, ადმი-ნისტრაციულ სფეროს არასოდეს დაურდილაგ მისთვის კოლექტივის შემოქმედებითი ცხოვრება, მას თან-დაყოლილი აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, უანგარობა და თეატრის-ად მოთვალეწებული სიყვარული. პოკო მურდულიას სახელი მჭიდ-როდაა დაკავშირებული ქართული თეატრის გარკვეულ პერიოდთან. თეატრს ეკუთვნის და ეკუთვნის მისი ცხოვრების ყოველი დღე. დღე-საც, ხანდაზმული და ვალმოხილი მოღვაწე ყოველ ახალ წარმოადგენას, ყოველ პრემიერას სიხარულით გვე-მება. ისევე თეატრშია, თეატრთან ერ-თად ცხოვრობს, რადგანაც თეატრი იყო და არის მისი პირველი და უკა-ნასკნელი სიყვარული...



პროფესორი თამარ ჩარეჭიშვილი.


კვლავობის შემოქმედებითი ანგარიში

ნონა მუსხელიშვილი

პროფესორმა თამარ ჩარეჭიშვილი-მა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ახალგაზრდა პიანისტების აღზრდას მიუძღვნა. იგი კუთვნიის იმ ხელოვანთა რიცხვს, რომელნიც დაუცხრომლად ეძებენ ახალ გზებს მუსიკოსთა აღზრდისათვის. მშობლური მზრუნველობით დასტრიალებს მომთხოვნი პედაგოგი თავის მოწაფეებს. მისი მიზანია — თითოეულში აღზარდოს მრავალმხრივად განათლებული, მტკიცე პროფესიული ჩვევებით აღჭურვილი მუსიკოსი.

თ. ჩარეჭიშვილმა ძალზე საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იგი 1931-1936 წლებში ლენინგრადის კონსერვატორიაში აგრძელებდა საშემსრულებლო-პედაგოგიურ დახელოვნებას. ამ პერიოდმა დიდი როლი შეასრულა თ. ჩარეჭიშვილის პროფესიული და მხატვრული თვალთახედვის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ხელმძღვანელის, პროფესორ სავინსკის ღვაწლი. ამავე დროს მასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლენინგრადის იმდროინდელმა მუსიკალურმა ცხოვრებამ. საკმარაისია დავასახელოთ ლენინგრადის ფილარმონიის შესანიშნავი კონცერ-

(დასასრული 64-ე გვერდზე).



ვ. კაპანაძე.

ტრალის შექმნება.



ე რ თ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ბ ა ნ ი

ალექსანდრა წერეთელი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ბევრი ისეთი ახალგაზრდა სწავლობს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს მის მიერ არჩეული ხელოვნების ესა თუ ის დარგი და მთელი თავისი არსებით ცდილობს დაეუფლოს მას, განავითაროს, დახვეწოს თავისი მხატვრული გემოვნება და აზროვნება.

ასეთ ახალგაზრდათა შორის არის ვიტალი კაპანაძე. მისი ბიოგრაფია მარტივია და მოკლე. იგი დაიბადა 1945 წელს ქუთაისში. აქვე მიიღო საშუალო და დაწყებითი სამხატვრო განათლება. როგორც სამხედრო ვალდებული, გაწვეული იყო სამხედრო სამსახურში ქ. გორკში, სადაც ერთი წელი დაჰყო. სამხედრო სამსახურს წარმატებით უთავსებდა ნაყოფიერ სამხატვრო მუშაობას. ამჟამად იგი აკადემიის ფერწერის განყოფილების III კურსის სტუდენტია. ბავშვობიდანვე ვიტალი კაპანაძე დიდ ინტერესს იჩენს მშობლიური ქვეყნის ბუნებისა და ისტორიული ძეგლები-სადმი. ბერს მოგზაურობს და ახლოს ეცნობა რაჭის, იმერეთის, სვანეთის, კახეთის ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებს, რამდენჯერმე დალაშქრა კავკასიონის მწვერვალები და მათი თვალწარმატაცი სილამაზითა და სიდიადით მოხიბლულმა ჩანახატები და ეტიუდები შექმნა.

შემდეგ ვ. კაპანაძემ გადაწყვიტა თავისი მხატვრული შთაბეჭდილების გაფართოებისა და გამდიდრების მიზნით ემოგზაურა საზღვარგარეთ, აიღო აკადემიური შეგებლება და მებუღავურად მოეწყო თევზსაჭერ ტრაულერ „კოლმბი-დაზე“.

გემი ნავსადგურ ფოთიდან გავიდა, თანდათან მოშორდა მშობლიური ქვეყნის ნაპირებს. ახალგაზრდა მხატვარ-ზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დარბანელის სრუტემ,



გ. კაპანაძე.
ეკვატორზე ნათლობიდან
(კოსტიუმების ესკიზები).

გ. კაპანაძე.

დილა ოკეანეში.

ძველმა ქალაქმა სტამბოლმა, თავისი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებით „აია სოფია“, „წმ. ირინე“, სადაც ძველი არქიტექტურული ძეგლები ასე ორიგინალურად არის შერწყმული ახალ არქიტექტურასთან.

მიუხედავად დიდი დატვირთვისა, რომელიც გ. კაპანაძეს, როგორც მეზღვაურს ჰქონდა, იგი ახერხებდა გაეკეთებინა სტამბოლის ხედებისა და ზღვის ნაპირად განლაგებული ციხე-სიმაგრეების ჩანახატები. ახალგაზრდა შემოქმედი აღფრთოვანა იტალიისა და სიცილიის სანაპიროებმა, ზღვის არაჩვეულებრივად ლურჯმა და იისფერმა. მან მხატვრულად აღიქვა დანახული და ქალღმერთად გადაიტანა.

ახალგაზრდაზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ეკვატორზე გადასვლასთან დაკავშირებულ ტრადიციულ დღესასწაულს „ახალგაზრდა მეზღვაურთა მონათვლას“, რომლის მონაწილედ თვითონ ყოფილა. გ. კაპანაძეს მესხიერებაში ღრმად ჩარჩენია „ბებერი ეშმაკების“ გამოსვლა, რომელიც ჩაუხატავს კიდევაც. განზრახული აქვს მომავალში ჩანახატებიდან რამდენიმე სურათი გააკეთოს. დაბრუნებისას გემი დასასვენებლად და სურსათის მისაღებად 3 დღით ესპანეთის ნავსადგურ ლაქპალმაში შეჩერებულა, სადაც ბევრი საინტერესო უნახავს და ჩაუხატავს. ახალგაზრდა ხელოვანის მოგზაურობამ ერთგვარად გაამდიდრა მისი ცოდნა და გემოვნება. ჩანახატებში, რომლებიც მას გემზე მუშაობის დროს გაუკეთებია, უსათუოდ გაუწევს დახმარებას მომავალ შემოქმედებით მუშაობაში. ვიტალი კაპანაძის შრომისუნარიანობა, ცნობისმოყვარეობა, მტკიცე მიზანსწრაფვა, ფერების გრძნობა და საქმის სიყვარული იმის თავდებია, რომ იგი მიაღწევს დასახულ მიზანს, რათა მომავალში შესაფერი ადგილი დაიჭიროს ქართულ მხატვართა რიგებში.



ტები, თანამედროვეობის გამოჩენილ შემსრულებლების სახელები, რომელთა შორის იყვნენ: დირიჟორები — შტიდრი, კლემპერერი, კოუცი, ანსელმი, გაუკა; პიანისტები — კორტო, შნაბელი, კახალეზუხაი, ა. რუბინშტიინი, პეტრი, საფრონიაკი, იუდინა; კომპოზიტორები — პროკოფიევი და შოსტაკოვიჩი. ბრწყინვალე ლექციებს კითხულობდა სოლერტინსკი. ამ ჩამოთვლიდანაც თვალსაჩინოა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ახალგაზრდა მუსიკოსებისათვის ამ დღი შემხრულბელის შემოქმედების ზეგავლენა.

თ. ჩარეჟიშვილის მაღალი მუსიკალური კულტურა მძლავრად მოქმედებს ახალგაზრდებზე. შედეგც თვალსაჩინოა — ისინი მუდამ გამოიჩინებიან საინტერესო მხატვრული აზროვნებით, ბგერის სიღამაშით, პიანისტური თავისუფლებითა და ნატიფი გემოვნებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მყარი პედაგოგიური პრინციპებისა და ასეთივე მყარი პიანისტური ჩვევების მიუხედავად, მისი მოწაველები ყოველთვის ამჟღავნებენ საკუთარ ინდივიდუალობას. თ. ჩარეჟიშვილი პუბლის იმ ვასალებს, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ მოწაფის ბუნების გახსნისათვის. ამიტომაც მისი აღსაზრდელები კანონზომიერად და ინტენსიურად ვითარდებიან. მოწაველების სამემსრულეზლო გამომსახველობას თ. ჩარეჟიშვილი ამდიდრებს საკუთარი მუსიკალობით, ფანტაზიით, პროფესიული კულტურით.

თ. ჩარეჟიშვილის ყოველწლიური შემოქმედებითი ანგარიში წარმოდგენს მისი მოღვაწეობის ახალ საფეხურს. ერთ-ერთი ასეთი კონცერტი გამართა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ამ საღამოზე მონაწილეობდნენ კონსერვატორიის სტუდენტები და სპეციალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეები. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც აღმინიშნა მის მაღალი პროფესიონალიზმი და სამემსრულელო კულტურა, რომელიც მუდამ ახასიათებთ თ. ჩარეჟიშვილის აღზრდილებს. თითოეულ

მათგანს, ინდივიდუალობასთან ერთად, ბგერის საერთო თვისება აერთიანებთ. სახელდობრ: ნაწარმოებთა შინაარსის ღრმა გააზრება, სტილის შეგრძნება და მხატვრული სახეების რელიეფურობა, სამემსრულელო მანერის კეთილშობილება და სიცხადე, დახვეწილი გემოვნება. ყოველივე ამას ფაქტური მუსიკის დაძინებით უნერგავს თავის ადასაზრდლებს. ამიტომაც, თ. ჩარეჟიშვილის კლასის კონცერტმა დამსწრეთა ერთსულოვანი კმაყოფილება დაიმსახურა.

თ. ჩარეჟიშვილისათვის განსაკუთრებით ახლობელია მოცარტის, შუბერტის, შუმანისა და ბრამის შემოქმედებითი მეგვიდერობა. ამჯერადაც კონცერტის მრავალფეროვანსა და საინტერესო პროგრამაში შეიშენებულია ადგილი ამ კომპოზიტორის ნაწარმოებებს ერთობლივად. საღამოზე აქცერდნენ აგრეთვე ლისტის, დებუსის, რახმანინოვის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩისა და სხვა ავტორთა ქმნილებები.

კონცერტი დაიწყო პატარების გამოსვლით. მათ შორის გამოირჩეოდნენ ნანა კალანდაძე, ძალუ ნიჭიერი მარტა კაცენბერგი, ოლივიადკაშვილი და თინათინ კალანდაძე. განსაკუთრებული წარმატება ზედა მანანა მხარგრძელს: მან შესანიშნავი ბგერით, სტილის კარგი შეგრძნებით შეასრულა შუბერტის ექსპრომტი გის-მოლ. ტექნიკური სიმსუბუქით დაუკრა მენდელსონის „ჯარა“.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა II კურსის სტუდენტმა ნ. მერტიხიძემ. მან საინტერესოდ შეასრულა დებიუტის სამი პრეზულია, „მენესტრელსა“ და „ფიფერგერკი“ თვალსაჩინო იყო მუსიკალური ფერების მდიდარი გამა. „მენესტრელი“ საზოგადოებას ჰგავდა.

IV კურსის სტუდენტმა ლ. ლამაკიანამ მხატვრულად შეასრულა სკრიპინის სონატა № 9.

კონცერტზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა კონსერვატორიის დამამთავრებელი კურსის სუფელი — მ. ასათიანი, მ. ბიბიჩაძე, მ. შარაბიძე, თ. ბარბაქაძე და ლ. ჭელიძე. კონსერვატორიაში სწავლისას ისინი

არაერთხელ გამოსულან ფართო საზოგადოების წინაშე და ყოველთვის იპყრობდნენ ყურადღებას საინტერესო გამოსვლებით. ამჯერად ისინი წარსდგნენ, როგორც მხატვრულად მომწიფებელი მუსიკოსები, სათანადო ტექნიკური აპარატით, დაკერის ინდივიდუალური მანერით.

ასათიანმა შეასრულა შოპენის პოლონეზი-ფანტაზია. თვალსაჩინო იყო ახალგაზრდა პიანისტის პოეტურობა, პლასტიკური პიანისმი. მან მათაოდ აღნიშნა შოპენის ნაწარმოების კონტრასტული საწყისების დაპირისპირება. გამომსახველი ბგერის საშუალებით გამოაგონა რეალურ და ფანტასტიკურ სამყაროს სხვადასხვაობა. ეს კონტრასტული სახეები მან მილიანობაში წარმოასხა. მგზნებლად ჟღერდა ნაწარმოების ფინალი.

ბიბიჩაძემ მოცარტის ვარიაციებში გამოაღიწია ამ ნაწარმოების ლირიკული მშვენიერება და ხაზგასმით გადმოსცა მგზნებარე სახეებიც.

ბარბაქაძემ საზოგადოებრივად დაიწყო ბრამის ინტერმეცო და ლისტის „ქარბუქი“. ამ უკანასკნელში მან გამომსახველი ბგერით გადმოსცა ქარბუქის თანდათანობითი ვადლიერების სურათი. მზარდი კრეშენდის საშუალებით პიანისტმა ჟღერადობა გაზარდა pp-დან კულმინაციამდე, ასევე თანდათან ქრებოდა ელერადობა კულმინაციიდან ნაწარმოების ფინალამდე. მის შესრულებასთან ჩანდა ბგერის სიძლიერე და სინაზე, სიღრმე და კეთილშობილება.

განსაკუთრებული მონაცემებით გამოირჩევიან ჭელიძე და შარაბიძე. შარაბიძემ ვირტოზულად შეასრულა პროკოფიევის კონცერტი № 3, შოსტაკოვიჩის პრეზულია და ფუტა. ჭელიძე ვინ რომანტიკული გატაცებით დაუკრა რახმანინოვის კონცერტი № 1, გემოვნებით შეასრულა ბრამის ორი კაპრიჩიო.

თ. ჩარეჟიშვილის კლასის კონცერტმა ცხადყო, რომ მაღალ ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდა მუსიკოსები თავის წყლობის შეიტანენ ქართული მუსიკალური კულტურის აღმავლობაში.

ახალი გეოგრაფია

ქართულ არქიტექტურაზე

ვახტანგ დოლიძე



პარმენ ზაქარაია.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ხუროთმოძღვრების გეგ-
მარეალიზაციის მემკვიდრეული მემკვიდრეული მემკვიდრეული მემკვიდრეული
საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი. ამ-
ჟამად დიდი მუშაობა ჩატარებული შუა საუკუნეების არ-
ქიტექტურის ძირითადი მიმართულების — საკულტო ნა-
გებობებისა და აგრეთვე ხალხური საცხოვრებლის შესწავ-
ლის დარგში. მაგრამ მრავალრიცხოვანი ციხესიმაგრეები,
რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ
საქართველოს ან მისი ცალკეული კუთხის თავდაცვის საქ-
მეში, და ამასთანავე გარკვეული, მკვეთრად გამოსახული
ადგილი უკავიათ ქართული ხუროთმოძღვრების მრავალ-
ფეროვან ძეგლთა შორის, გაცილებით ნაკლებად იყო გა-
შუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამ ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებს „მერანის“ მიერ
ამას წინათ გამოცემული პროფ. პარმენ ზაქარაიას კრე-
ული გამოკვლევა — „ძველი ქართული ციხესიმაგრეები“.¹
ავტორი იღობს ხანია თანმიმდევრულ, ნაყოფიერ მუშაობას
აწარმოებს სათავადაცვო ნაგებობების ფიქსაციის, მათი
ხუროთმოძღვრული აზომვისა და კვლევის დარგში; სისტე-
მატურად აშუქებს კვლევის ცალკეულ შედეგებს სამეცნიერ-

რო პუბლიკაციებში. სარეცენზიო წინიცი ამ მრავალი
წლის მანძილზე მოპოვებული მდიდარი მასალის შემოქა-
მებელ გამოკვლევას წარმოადგენს მონოგრაფიის სახით,
რომელიც, გარდა წინასიტყვიებისა და შესავალი ნაწილი-
სა, სამ თავს შეიცავს.

პირველი თავი მიეძღვნა შიდა ქართლის XVI-XVII
საუკუნეთა ციხესიმაგრეების წარმოშობის საკითხებს. ამ
თავს წამდგარებული აქვს ზოგადი მიმოხილვა, რომელიც
მკითხველს აცნობს ქართული საფორტიფიკაციო ნაგებო-
ბების ტიპებსა და მათს განვითარებას. ასევე ლოკალიზა-
ცია და დაკავშირებული თხრობისთან ამავე თავის მეორე ნა-
წილი, რომელშიც განხილულია საბრძოლო იარაღის გან-
ვითარება და მისი გავლენა ციხესიმაგრეთა მშენებლობაზე.

წიგნის ძირითად ნაწილში (მეორე თავი) წარმოდგე-
ნილია მდიდარი ფაქტური მასალა XVI-XVIII სს. შიდა
ქართლის სათავადაცვო სისტემისა და ციხესიმაგრეების შე-
სახებ სათავადოების მიხედვით (გვ. 33-200). ისტორიულ
ფონად გაშლილია XIII საუკუნიდან მოყოლებული სა-
მთავროებისა და სათავადოების ჩამოყალიბების სურათი
და დახასიათებულია მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ
ცხოვრებაში. ამას მოსდევს ცალკე მონაკვეთებად სამუხრან-
ბატონოს, არაგვის საერისთავოს, ქსნის საერისთავოს, სა-
ამილახვროს, ზემო ქართლის სადროშოს, საცაქაიანოს ცი-
ხესიმაგრეებისა და სხვა სათავადაცვო ნაგებობების აღწე-
რა და ისტორიულ-არქიტექტურული ანალიზი. მრავალი
ძეგლის დეტალური განხილვა ავტორის საშუალებას აძ-

¹ Пармен Закария. «Древние крепости Грузии». Ре-
дактор член-корреспондент Академии наук ГССР, про-
фессор В. В. Беридзе. Издательство «Мерани», Тби-
ლისი, 1969 г.



ბილიკებიდან ხდებოდა. არანაკლები როლი ენიჭებოდა მათ რთვე ქვედა იარუსებში მოწყობილ მოზრდალ საბრძოლო ხერხეობებს. ადრევე იყენებდნენ სალოდლებს (სწორკუთხა უიატაკო შვერილები ნაგებობის ზეითა ნაწილში), რომლებიც გვიან სათოფედაც გამოიყენებოდა.

გვიანფორდალურ ხანაში ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებამ არსებითად შეცვალა როგორც ნაგებობათა ფორმები, ასევე კონსტრუქციები. საქართველოში, პროფ. პ. ზაქარაიას მიხედვით, თუმა თოფი უკვე XV საუკუნის ბოლოდან გამოიყენებოდა (მცირე რაოდენობით), მას ნაგებობებზე არ უმოქმედია. XVI საუკუნეში კი ციხეებისა და კოშკების ძეგლებში ჩნდება სათოფეები. ზარბაზნების შემოღებასთან დაკავშირებით XVII საუკუნეიდან სიმაგრეთა კედლებში ჩნდება საზარბაზნეებიც. სათოფეები, სალოდლები და საზარბაზნეები ყველაზე მეტად XVIII საუკუნის შუალედიდან ვრცელდება. წიგნში დაწვრილებითაა განხილული სიმაგრეთა ამ მნიშვნელოვანი საბრძოლო ელემენტების განვითარება და მათი კონსტრუქციების ნახაზების ტაბულაცია მოცემული (გვ. 217).

ნაშრომის საფუძვლიანობას უდავოდ ამჟღავნებს ისიც, რომ მასში ფართოდაა წარმოდგენილი ავტორის მიერ დადგინილი და შესწავლილი სიმაგრეთა შეიდი ძირითადი ნაარსებობა: ქალაქები, ციხეები, ციხედარბაზები, გალავნები, კოშკები, გადამღობი კედლები და ბუნებრივი სიმაგრეები. ამასთანავე, აღნიშნულია ნაგებობათა გეოგრაფიული განლაგება, მათი ადგილმდებარეობა მთიან თუ დაბლობ ნაწილებში, დასახიათებულია ყოველი ძეგლი მისი ნიშანდობლივი თავისებურების გამოვლენებით. ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ნაგებობათა ვარიაციები. მაგალითად, კოშკებში ორი მთავარი ჯგუფია დადასტურებული: სადასაფარეო და საცხოვრებლო-თავდაცვითი. გარდა ამისა, ფორმის მიხედვით ავტორის სხვადასხვა კოშკი აქვს განხილული — ცილინდრული, ზურგისანი, პირამიდული, მრავალწახანო და სხვ. აღსანიშნავია ანანურის კოშკი, რომელიც პირამიდული-საფურცლებიანი სახურავითაა დაფარავიანი. ამგვარი კოშკები გავრცელებულა თუშეთსა და ხეყურეთში და აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე. პროფ. პ. ზაქარაია ამ ტიპის კოშკს წარმოშობის საკითხსაც ეხება (გვ. 69). მაგრამ მხოლოდ ჯ. მიულერის ვარაუდს იზიარებს — ამ სახის კოშკის საქართველოში შექმნისა და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელების შესახებ. ამ თავისთავად საინტერესო მოსაზრებას დამტკიცება ესაჭიროება, მით უფრო, რომ, როგორც ავტორი იქვე (გვ. 69) აღნიშნავს, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამგვარი კოშკი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე წარმოიშვა. საკითხის გადაწყვეტას ანდობენ სპეციალური ნაშრომის უქონლობა ამ ტიპის კოშკის წარმოშობის თაობაზე.

გარდა ცალკეული ნაგებობებისა, წიგნში დაწვრილებითაა განხილული ისეთი შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ანსამბლები, როგორიცაა — ანანური, ლარკაიბი, ახალკორი და სხვ. მაგალითად, ანანურის ციხე-დარბაზი საუკეთესოა თავიანთი გვიანფორდალური საქართველოს ძეგლებში. აქ თავმოყრილია საური, სამხედრო და საეკლესიო ნაგებობები. დეტალურადაა გაშუქებული არაგვის ერისთავთა ამ ციხე-დარბაზის მშენებლობის საკითხები, მისი ისტორია და ცალკეული ობიექტების დათარიღება. ანანური არაგვის ერისთავების მფორ რეზიდენციაც ყოფილა, მთავარი კი დეშუმბი იყო. 1743 წელს არაგვის საერისთავო, როგორც ურჩების ბუდე, გაუქმებულ იქნა და მთლიანად მეფის განკარგულებაში გადავიდა. ანანურს ეკავა არაჩვეულებრივად მარჯვე სტრატეგიული ადგილი ჩრდილოეთით მიმავალ მთავარ მაგისტრალზე. XVIII საუკუნის შუა წლებში

ლევს წიგნის მესამე თავში განაწოვადოს შიდა ქართლის საფორტიფიკაციო ნაგებობების თავისებურებებისა და კონსტრუქციების მნიშვნელოვანი საკითხები. საილუსტრაციო მასალად ტექსტს ახლავს მრავალრიცხოვანი ნახაზი და ჩანახატი. გარდა ამისა, წიგნს დართული აქვს 44 ტაბულა უმნიშვნელოვანესი ნაგებობების ფოტორეპროდუქციებით. მთელი ამ საილუსტრაციო მასალის უმეტესი ნაწილი თვით შრომის ავტორის მიერვეა შესრულებული.

გამოკვლევა თავების დასათაურების მიხედვით სავსებით გარკვეულ ტერიტორიასა და ქრონოლოგიურ სასწევრებით ითვალისწინებს. მაგრამ ფაქტიურად ავტორი ხშირად ამ ფარგლებს სცილდება და არა მარტო შიდა ქართლის, არამედ საქართველოს სხვა ნაწილების სათავდაცო ნაგებობებსაც ეხება. ეს გარეუბება მას საშუალებას აძლევს გვიჩვენოს მოვლენებისა და ფორმების ერთიანობა, რომელიც სიმაგრეების განვითარების ამა თუ იმ ისტორიული ეტაპის ამოცანებს უკავსებდა საქართველოში. მეორე მხრივ, შესწავლის სფეროში მოქცეულია არა მარტო XVI-XVIII საუკუნეების, არამედ როგორც განვითარებული, ასევე ადრეული შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობებიც. კვლევის შედეგად გამოვლენილებულა ციხისმაგრეების საინტერესო ევოლუცია და ცალკეულ შემთხვევებში ნაშენებია კავშირი ადრინდელი პერიოდისა და საკვლევი ეპოქის ძეგლებს შორის.

საფორტიფიკაციო ნაგებობების ევოლუცია დაკავშირებული იყო საბრძოლო იარაღის განვითარებასთანაც. გარემოების შემთხვევაში თავდაცვის ეფექტურ იარაღს დიდი ხნის განმავლობაში მშვილდ-ისარი და ქვის სასროლი დიდი თუ პატარა იარაღი წარმოადგენდა. ამ იარაღის შესაბამისად მტრის მოგერიება ადრეულ ხანებში ძირითადად ქონგურებიანი კოშკის ბანიდან და კედლების საბრძოლო

ბიდან მიმოსვლისა და ვაჭრობის გამოცოცხლების შედეგად ანაწერი ქალაქი ხდება.

არანაკლებად საინტერესოა ქართული ზურთომოდგერების ისტორიისათვის სხვა სათავადოების ციხესიმაგრეებიც. ამასთანავე ავტორს სწორად აქვს ამოხსნილი სიმარტყეთა სხვადასხვა ტიპების სოციალური ბუნება. ისინი ცალკეული სათავადოების მიხედვითაა დაჯგუფებული, მიყიდვითი ფორმის რეზიდენციად და შედგენ უმოთხრესი სტრატეგიული მნიშვნელობის ხაზით. გარდა ანაწურისა, საერთო სახელმწიფოებრივი თავდაცვის როლი ენიჭებოდათ გორის, სურამის, ცხინვალისა და ზოგჯერ სხვა ციხესიმაგრეებს. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ შუასაუკუნეებში არსებობდა სათავადოებში გამაგრების გარკვეული სისტემა, გადაშლილია ციხესიმაგრეების ევოლუციის საინტერესო სურათიც: XVI საუკუნეში ისინი მჭიდროდ ერწყმიან მალაზიის ადგილის რელიეფს; XVII საუკუნეში ციხესიმაგრეებს უმნიშვნელოვანეს სამიწისფლო გზებთან აგებენ და მათ ახასიათებთ მეტაკლებად რეკულარული გეგმა და კომპლექსის გაზრდილი რაოდენობა; XVIII საუკუნეში კი ციხესიმაგრეებს ვაკე ადგილებში აგებენ და ისინი მკაფიო გეომეტრიულ ფორმას იძენენ. ასეთ ციხეებს ალაყაფის კარებიც ჰქონდათ და მახლობელი მოსახლეობა მტრების განშირეული მოძალებისაგან თავდაცვადაც თავისი მოძრაობა ქონებით შედიოდა. ამ ტიპის დიდი ზომის ციხეებს „გალაზანა“ შეერქვა და განსაკუთრებით გავრცელდა XVIII საუკუნის შუა წლებიდან.

წიგნში საყურადღებოა ავტორის მრავალი სხვა დაკვირვება ისეთ მნიშვნელოვან დეტალებზეც, როგორცაა სიმაგრეთა ცალკეული კონსტრუქციული და საბრძოლო თავისებურებები, სიგნალიზაცია, წყალმომარაგება, ნაკებობის სახურავის მოწყობა (ბრტყელი, ორქანობიანი, პირამიდული) და საერთულთმორისი გადახურვები (აღრინდელ ძეგლებში — ბრტყელი, უფრო გვიან — გუმბათოვანი და კამაროვანი); კომპლექსის მხატვრული თავისებურებები (სადაზვერვო კომპლექსის სიმაგრეები და უფრო გაფორმებული კომპლექსი ანსამბლებში); ინტერიერისა და ფასადის გადაწყობა, შემორჩენილი წარწერები; საშენი მასალა — ფლეთილი ქვა და უფრო გვიან — რიყის ქვა, აგურის გამოყენება ძირითადად, როგორც დამხმარე მასალა და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა შიდა ქართლის ზოგიერთ

თი ციხესიმაგრის გრაფიკული რეკონსტრუქციის ცდები, რომელნიც წიგნის ბოლო ნაწილშია წარმოდგენილი (გვ. 222-229). მართალია, აქსონომეტრიის წესით შესრულებული, სქემატური პროექტები წინასწარი ეპიკურების სახისაა. მათი მნიშვნელობა უეჭველია ნაკებობის მალაზიის წარმოდგენისათვის. ამიტომ, რა თქმა უნდა, მისასაღებელია პირველად შედგენილი ამგვარი პროექტები ისეთი საინტერესო ობიექტებისათვის, როგორცაა—ახალგორის, მიფრეთის, ძაღინის, ბელეთისა და მუხრანის ციხე-დარბაზები და აგრეთვე სნოსა და ქსნის ციხესიმაგრეები. მათ შორის, ცალკეული ობიექტის პროექტი (ძაღინა, სნო) შესაძლებელია საკმაოდ იყოს, მაგრამ უმრავლესობა საინტერესოდ და დამაჯერებლადაა შესრულებული.

საერთოდ, წიგნის გაცნობა გავრცელებულია საინტერესოდ და ფართო ამოცანის გადაწყობა და შესახვას. მისი ორიგინალური გამოკვლევა მოიცავს დიდ მასალას, რომელიც მოპოვებულია ხანგრძლივი საცდელ და კამერული მუშაობის პროცესში; შესრულებულია მნიშვნელოვანი ნახაზებისა და ფოტოურათების დიდი რაოდენობა. საფორტიფიკაციო ძეგლები სისტემურადაა დაჯგუფებული და თანმიმდევრულად განხილული. ამასთანავე ყოველმხრივ გაშუქებულია მათი არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებანი. საკვლევე ძეგლთა უმეტესი რაოდენობა უთაროდ და ავტორმა ისინი მეტ-ნაკლები სიზუსტით მიაკვთნა შესაბამის ეპოქას, რაც მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს თემის შესწავლის დღევანდელ დონეზე. სათანადო ყურადღება აქვს აღთმობილი ისტორიულ და სოციალ-ეკონომიურ საკითხებს. ციხესიმაგრეები შესწავლილია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში. დიდძალი საარქივო საბუთებისა და ლიტერატურული წყაროების ანალიზი ბევრგან ძველი საქართველოს საშემდრო-პოლიტიკური ვითარების კვლევის ხასიათსაც ანიჭებს შრომას.

ავტორი წიგნის ზოგიერთ ადგილას გაკვრით ეხება საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის საფორტიფიკაციო ნაკებობების ურთიერთობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსაზღვრე რესპუბლიკებში მსგავსი წიგნი ჯერჯერობით არ გამოცემულა, ცხადი გახდება, რომ ზოგადკავკასიური მნიშვნელობაც.



ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა

ვასილ კიკნაძე

ლილი იოსელიანი დიდხანს არჩევს თავის საყვარელ თემებს. დაქვინებით ეძებს გმირებს — მის იდეალებს რომ გამოხატავენ. მაგრამ ყველაზე მეტად ეძებს იმ სიმართლეს, რომელიც რთულ ფსიქოლოგიურ განწყობილებათა უწყვეტ ნაკადს ქმნის. ამგვარ ატმოსფეროში ცხოვრობენ მისი მართალი ადამიანები. აქ არიან ისინი დასახლებულნი და არც არასდროს შეეგუებიან სხვაგვარ სინამდვილეს. რეჟისორმა კარგად იცის ამ სინამდვილის ფასი. იცის, რომ იგი იბადება რთული წინააღმდეგობებით, დაძაბული შრომით.

იოსელიანს შეუძლია ძალიან დიდხანს იხედოს ნაწარმოების სიღრმეში, რათა სრულყოფილად აღიქვას მისი ყოფის მართალი სურათი. ცხადია, ყოველ ადამიანს, ყოველ გმირს აქვს თავისი სიმართლე, მაგრამ სცენაზე იგი ერთ მთლიან მხატვრულ ქსოვილში უნდა მოექცეს. ამ მხრივ რეჟისორი თანმიმდევრულია. არც ერთ გმირს არ შეუძლია მას უსაყვედუროს არაბუნებრივ გარემოში რატომ მაცხოვრებო. რეჟისორი ამას აღწევს დაძაბული შრომითა და თავდადებით. ზოგჯერ გაოცებთ კიდევ შედეგი.

მისი სპექტაკლების მსვავსებაც აქედან წარმოსდგება: ეს არის არა ერთფეროვნება, არამედ მისი ინდივიდუალობა. აქ უკვე ჩამოყალიბებულია შემოქმედის სახე და ჩვენც სხვაგვარი ინტერესით ველით მის ყოველ ახალ სპექტაკლს და გვჯერა, რომ მასში გამოჩნდება მხატვრული აზროვნების ის ფორმები, რომლითაც იოსელიანი გამოირჩევა სხვა რეჟისორებისაგან.

ლ. იოსელიანის სპექტაკლებიდან მგონი ყველაზე ტიპურია მ. ელიოზიშვილის „ბებერი მესურნეები“. ეს სპექტაკლი გორის თეატრში დაიდგა. მასში არის რაღაც აუსხელი სევდა, რომელიც განიცდება და არ აიწყურება. როცა წარმოდგენას უყურებთ, ისეთი განცდა გვეფლავება, რომ გინდათ სცენაზე ავიდეთ და კეთილ მოხუცებს შორის დახატვით. გინდათ მოისმინოთ მათი ლაპაზი სიზმრები, იტირალოთ მათ გვერდით, იცხოვროთ მათსავით უბრალოდ და მარტოვად.

მთელ სცენაზე გამეფებულია განწყობილებათა პოეზია. თითქოს პირველყოფილი სიწმინდე ჩამდგარა მოხუცების გულშიაც. აქ ადამიანებაც ისე დადიან, ისე მოძრაობენ,

რომ გეგონებთ ფეხი არ უდგათ მიწაზეო. საოცარი სიმსუბუქე და სინატიფა მათ სიარულში.

ზოგიერთ სცენაში სიზმარში მოფარფატე ადამიანებს ჰგავან მოხუციები. სცენაზე ყველაფერი წარსულით ცოცხლობს და სულდგმულობს. დიდი ჩრდილი და ბინდებუნდი ჩამომდგარა მესურნეების კარმიდამოში. აქ არც ბავშვების ჟივლი-ხივილი ისმის, დიდი ხანია არც საქორწილო მიბატონება მისვლიათ მესურნეებს. მათი სიხარული წარსულს ჩაბარდა, მათი ბავშვები სარყამისმა და პორტრეტურში დარჩნენ.

ისინი ყოველ საღამოს იკრიბებიან ეზოებში, ჰყვებიან გარდასულ ამბებს და, როგორც ერთად მიმავალი მგსაურები წუთისთფლისა, ერთად უსმენენ თავიანთი მუსიკის შორეულ ხმებს. ამ ხმებში იღვიძებს მათი დაკარგული ახალგაზრდობაც.

სიჩუმისა და სევდის ატმოსფეროს დროდადრო არღვევს მშვენიერი ჭაბუკის (გ. ხაჩიძე) შეძახილი. შემოვალს იგი და წამოიძვებიან მოხუციები, რომ ყველადაც გაიღოს თავისი წილი ყურადღებისა. ესაა მათი აქიდე, მათი სიხარული და რაღაც ფარული სევდა (დაკარგულ შვილებს რომ ავგონებთ).

სამი კიბე ეშვება სამი ოთახიდან, სამი ეზო ეკვრის ერთმანეთს და ყველაფერი ერთი სასადლო შავადით მთავრდება. ისინი ერთად სადილობენ, ერთად ცხოვრობენ მხარდამხარ და შუის სხივებაც ერთად ინაწილებენ. ადარაფერი ჰყოფთ ერთმანეთისაგან, წლებს განსვავებაც გამჭრალა და მათი წარსულის კვალიც მოუხაია.

როცა ისინი ზურნას უკრავენ, თავიანთი სულიდან ამოსულ მელოდების უსმენენ და ერთმანეთს ამწივებენ — ჯერ კიდევ შეგვიღლია სიცოცხლეო.

და ვიდრე დაკვრა შეუძლიათ, ცოცხლობენ კიდევ!

მათ ხშირად უყვართ სიზმრების მოყოლა და ირეალურ სამყაროში პოეტური „მგზავრობა“. ზოგჯერ მასში წარსული ცხოვრების სურათებსაც შეურევვენ ხოლმე და მრევე უჭირთ სიზმარეულისაგან სინამდვილის გამოყოფა. მაგრამ ეს ყველაფერი რაღაც პოეტური შუქით არის განათებული და აქ სევდასაც თავისი სიღამაზე აქვს.

გორის თეატრის სპექტაკლი ნამდვილი ელვებია ბებერ

მეზურნეებზე. თეატრი არ ცდილობს კაზიონური ოპტი-
მიზმი შეიტანოს გმირთა ცხოვრებაში, რომ უფრო „თან-
დროულად“ ააქლეროს იგი. ჭეშნარიტის სული ტრიალებს
მთელ სამქეტაკოში და ეს არის მთავარი.

ვინ არიან ის მეზურნეები, ასე პოეტურად რომ მოგი-
თხრობენ თავიანთ ცხოვრებაზე?

ესენია ვ. კანიაშვილი, შ. ხერხეულიძე და ერ. არაქე-
ლოვი. არ მისდა ერთმანეთისგან გამოფყო მათი შესრუ-
ლება ისე, როგორც მათ გმირები არ უყვართ განსაკმე-
ვება.

მეზურნეების შენსრულებლებს გვერდში უდგანან ნ. მე-
როსაშვილი, მ. ნოსაძე და ე. მიციქულაშვილი.

სცენაზე ჩვენ ვნახეთ მთრთოლვარე სულის, დამაფიქ-
რებელი სამქეტაკო.

აქ ყოველი გმირი თავს ბედნიერად გრძობს, რადგან
იგი ცხოვრობს მასთან შერდილსა და მშობლიურ „გეო-
გრაფიულ“ გარემოში (მსატყარი შ. ხუციშვილი).

როცა თავიანთი პატარა ფიქრული სახლებიდან ეხო-
სავენ დეკლამაციას მოხუცები, ისინი ანტიკურ ქოროსავით
იწყებენ მთარაობას. მაგრამ მალე ირღვევა ქორის პრინ-
ციპი და მაგიდასთან სასადილო ჩამოსმდარნი ძველი
ქართული პატრიარქალური ოჯახის ილუზიას ქმნიან. თით-
ქოს ერთი ოჯახის წევრები არიან, თითქოს ერთად გადაუხ-
დაით ქორწილიც, ყველა ლხინიცა და ერთი ოჯახის გაბა-
ყოფი ძმებივით პაპისეულ სამუდომი დასახლებულან.

ლ. იოსელიანის სამქეტაკოს თითოეული გმირი უაღ-
რესად კოლორიტულია. ყოველ მათგანს აქვს თავისი სახე,
კილო და სიარულის თავისებური მანერა. ერთი სიტყვით,
ყოველი მათგანი მკვეთრი, დამოუკიდებელი ანდივიდია.
ასეა ქალიცა და კაციც. მათ გახსნაველებულ კოლორიტში
მიღწეულია საოცარი მთლიანობაც. მათ აერთიანებს წარ-
სულიცა და ზეალინდობა დღეც.

რეჟისორი თავის სამქეტაკოებში განსაკუთრებულ ად-
გილს ანიჭებს განწყობილებათა მთლიანობას. ზოგჯერ იგი
გარკვეულად სტატიურ ხასიათსაც იქ იძენს, ზოგჯერ მო-
ხობხორივც გვეჩვენება მისი ზღაპრული მხარე, მაგრამ
ყოველთვის იგრძობა მეორე პლანი, — ჯერ კიდევ ფარე-
ული და გაუსხსნელი სამყარო გმირთა. ამიტომ საყურებელც
მთონივით ერის ამ ახალი სამყაროს ხილვას.

იმავს ეროსი თეატრში ლ. იოსელიანის მიერ განზორ-
ცილებული გორკის „მდაბიოთი“ არაფრით ჰკავს ელიო-
სიფილის „მეზურნეებს“ და კიდევ ჰკავს. ეს შესაგავება
განსაკუთრებით რეჟისორულ ხელყურამთა. იოსელიანმა
იცნა დრამატურგიული მასალის დამორჩილება, თავასად
მისვა.

„მეზურნეებში“ მეტა აქტიორული წარმატება. რეჟი-
სორი მსახიობთა ოსტატობით უფრო ადვილად აღწევს
განწყობილებების ერთიან, უწყვეტ წინაგან მდინარებას.
„მდაბიოთში“ კი უფრო მეტი დეტალებით (ყოფის პოეზია,
ასე რომ უყვარდა გორკის...), რეჟისორული გამოყონებ-
ლობითა და საერთო სადადგმო კულტურით აღწევს იმას,
რასაც, ჩვეულებრივად, სცენური ატმოსფერო ჰქვია.

სცენაზე წარმოსახულია რთული და წინააღმდეგობრი-
ვი ცხოვრება. ეს არის ფართო სოციალური ტილო — აღ-
სავსე დიდი ადამიანური ვნებითა და განცდით. ჭეშნარი-
ტების მაძიებელი სულის ტრაგედია იგრძობა წარმოდგე-
ბის ძირითად ტონებში, მასში შეფოას თაობათა შორის
წარმოქმნილი დისპარმონია, მაგრამ ამასთანავე მეტად
ძლიერია სწრაფვა ობიექტურული სამყაროდან გაღწევასა.

სწორედ ამ შემწანაირი სამყაროს, მდამიო სულის
„არისტოკრატიზმის“ სამშლელად არის გამოხურული ყო-
ველი სცენა და მისი რეჟისორული ქვეტექსტი. რეჟისორი
ექებს მართლად და მხატვრულ სამშულებებს, რათა ისევე
ულმობელი იყოს უარყოფის ტენდენციებში, როგორც ულ-



რეჟისორი ლილი იოსელიანი.

მობელია გორკი. ისინი ერთად იზრძებიან ობიექტურული
„ეპოქიდლეობის“ და დამაინათა გულგრილობის წინა-
აღმდეგ. მათ წინაშეა ღრმა სოციალური კონფლიქტა, მე-
ტად მძიმე და რთული ცხოვრება, აღსაგებ მოსაწყენი და
მომქანცველი ერთფეროვნებით. ადამიანებს მოსაგლის
რწყმბა დაუკარგველი, ვერც აწყობი შედავენ სანუგეშოს და
ამიტომ ეძებენ რაღაცას, მაგრამ არ იციან, რას.

ამ ადამიანებს თავზე ქუდის მაგიერ მართლაც მზე
რომ დასაიროთ, მაინც უკმაყოფილონი იქნებიან. ასე მწუ-
ხარე და სვედიანია ტიტანბაც და პეტრეც. მათი დებრე-
სიული სულის გოდებას აკომპანემენტებით თან სდევს
ტეტრევის ფილოსოფია ადამიანთა გაუტანლობისა და
წუთისოფლის ანაოებათა შესახებ. იგი ბეჭემწეობს ოჯახ-
ში გამორიგულ პოზში დგას და თავისი „ფილოსოფიური“
სენტენციებით ცდილობს არ დაარღვიოს მუშაური სამ-
ყარო, რომელსაც ასე კარგად ეგება მისი ბუნება. მარ-
ათია, მას იცის, რომ „ამ ქვეყანაზე პატოსან კაცს არ
ეცხოვრება“; მაგრამ ეს მხოლოდ ობიექტულთა სააქებლად
გამიზნული ფრაზაა. ღრმა სკეფსისს შეუპყრია ტეტრევის
სული.

ამ მძიმე და თვალგაუვალ ატმოსფეროში მუხსავით
წამომართულია ბეჭემწეობი. იგი შემარბობით იზრძების
ცხოვრების ახალი ნორმების წინააღმდეგ. მას სჯერა, რომ
განათლებული ახალი თაობა უსაქმური, იგი მოეშაღე-
ბანია ცხოვრებისათვის. მისი სტატიორული ცხოვრების მო-
შლაში შედაეს იგი ახალი დროის ტრაგედას. მისი ქვე-



ვა აღბეჭდილია დიდი წადილით — როგორმე აღადგინოს ოჯახში დარღვეული სულიერი წონასწორობა. იკრიბება ბესემენოვის უძემი ძალა. მისი ცივი და ჯიქური ნაიათი. ამ თვითყოფად ბუნებას სასენებო დაუმორჩილებია აკუ-ლიან. ბესემენოვი გრძობს ამას, იცის აკულის სურვილი — როგორმე სიმშვიდე გამოავლის მამაია და შეიღ-თა შორის, მაგრამ იმდენად უშეწოა მისი ზრახვები, რომ მხოლოდ სიბრალეულს იწყვეს.

საქეკალო აქვს ერთი, მთლიანი, დამაბული შინაგანი რიტმი. შექმნილია მართალი სცენური გარემო, ყოველი ნივთი და საგანი აქ ბუნებრივად სურწყმის ატმოსფეროს, რომელიც ხისივით შემოიხვევა სცენას. მაგრამ გორკი მე-ბრძოლი მწერალია და იცის, რომ შეუძლებელია არ დაი-წერეს საზოგადოება, რომელიც მდამით სულთა ცხოვრობს და ტაქება თავისი ობიექტურული სიმშვიდით. მოვა დრო, მოვლენი ჩანსალი სულის ადამიანები და სამკვდრო-ასი-კოცხლო ბრძოლას გაუმართავენ მემშახნებს. ბრძოლა აქება მძიმე და უღიმღილი, მაგრამ იგი მაინც მოხდება.

სწორედ ამ პერსპექტივის გრძობით არის დანახული ნილის სახე. მის მიღმა შეიგრძობა რააც უწინაა და ნათელი, იმდენი რომ შესცქერის მომავალს. თუკვრება იცის მისი ძალა და ადვილი მოცემული სინამდვილეთი. აი-ტომ ცდილობს განსაკუთრებულად ხაზგასმით გამოხატოს იგი. სწორედ ნილის სახეში უნდა შევიცნოთ ცხოვრების ტლანქ ძალებთან შეგვიხვეული რაიანი, მასში უნდა და-ვიხახთო გაღვივებული ენერჯია მუშა კაცისა, რომელიც უკომპრომიზოდ იბრძვის ადამიანური უფლებებისათვის.

ლ. იოსელიანის საქეკალოში გამოირჩევა „სულიერი რეალისმი“ გამობარი მართალი სცენური ატმოსფერო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. კახიანოვის პერჩაინი. ამ წახიბობს აქვს გმირის ინდივიდუალური ნიშნების და კოლორიტის გამაგიჟებელი გრძობა. მან კარგად იცის თავისი გმირის არა მარტო შინაგანი ცხოვრება, არამედ მისი პლასტიკის, ქვევის, პორტრეტის ყოველი დეტალიც. იგი ნიუანსებით გრძობს პერჩაინის პოეტურ ბუნებას, მის ადამიანურ ღრსხეობებს. დაძმობილი ტახანსცელისა და ოღანე უმცნებრეკული მოქმედების მიღმა მოჩანს მისი კეთილშინილიერი სული. მასახიბი არსად ტრევეს თავის გმირის და ჩვენც აღტაცებული მივყვებით მის სცენურ ცხოვრებას.

მ. გორკის გმირების ცხოვრების აზრი, მათი ყველა და იმედი, ბესემენოვის ოჯახის რღვევისა და ახალი ურთი-ერთობის წარმოქმნის პერსპექტივა ყველაზე მეტად ფინა-ლურ სცენაში გამოვლინდა. მთავარდება საქეკალო და სცენაზე სულ უფრო მეტი ძალით იჭრება ნათელი სხივი, დადათან ახლოვდება რუსული ხალხური სიმღერის მე-ლოდი და ცვევის რიტმი. მას ერწყმის ზარების რეკვა. ბესემენოვის ოჯახს ტოვებენ ახალგაზრდები, უკანასკნე-ლად გაისმის ბესემენოვის გამკლიავე შეხახხელც და სცე-ნას მერთალი სიმღელე გადაკრავს. ოჯახში რჩება პარტ-ტანია, იგი შემზარავად ქვიითიხებს. მისი თითები ინსტიქ-ტურად ეხებან როიალის კლავიშებს და იგი გამოსცემს რააც ბუნდობან, მაგრამ მუშუხარე ჰანკებს, რომლებიც მემუხანობის ფაქტურზე დაძირული ზარის ხმას ჰკავს. ეს ხმა გაისმის დარბაზში და იგი აფხიზლებს ჩვენს გონებას, რა-თა უფრო გაბეჭდულად აღვიშვებოთ ხმა ყოველგვარი ნი-ბნელის, ობიექტულობისა და აღმამათა გუნდროლობის წინააღმდეგ.

მიიღო წარმოდგენა განსჭვალულია გუნდური სამყ-როს მხილების პათოსით. მასში არის ლირიკაც, პოეტურ-ნი სხედაც და დიდი შინაგანი ოპტიკისმიც. სწორედ ეს ოპტიკისმი ანათებს ნილის სახეს. მასში პოეუს ნაწილი-რება გორკის საუკეთესო სურვილებმა. რეჟისორმა გომი-

რულად შენიშნა იგი და ამით საქეკალოს იდეურ ტე-ტიმზეც მივანთხნა.

ლ. იოსელიანის რეჟისორულ პრაქტიკაში „დამბინი“ გორკის მთერ პიესა იყო. იგი უფრო ადრეც შეხვდა დაღ-მწერალია, როცა მარჯანიშვილის თეატრში დაღა „ფაკერ-ზე“.

ეს იყო ნამდვილი ახალგაზრდული საქეკალო. იოსე-ლიანმა იცის შუშაობით გატაცება. მას შეუძლია ღაშქე-ლითაის და აიფიერის სხეებსაც. ახალგაზრდები სიხარულით გაკყუნენ რეჟისორს. ისინი მუშაობდნენ გვიან დამათ. წარ-ნიღბენების შემდგომ, იკრიბებოდნენ დასვენების დღეებ-შიც. გატაცებით ეძებდნენ ნიუანსებს. ძურწადნენ სა-ხეებს, ქმნიდნენ ატმოსფეროს, ქმნიდნენ რუსული ყოფის სურათებს. გორკის სამყაროში ყოფით არ ასვენებდათ ფიქ-რი მომავალ საქეკალოზე. ამ მძიმე და მართლმა შრომა, გატაცებამ და ახალგაზრდულმა შთაგონებამ შედეგიც კარ-გა გამოიღო. შეიქმნა საქეკალო, რომელმაც იმამანად სა-ზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

რეჟისორმა აქ ითვა ბევრი ახალი აქტიურული სახე. ახალგაზრდებმა კი უკეთ დაიხახეს თავიანთი შესაძლებ-ლებობათა. ისინი სცენაზე მართალი ცხოვრებით ცხო-ვრობდნენ, სურთქადნენ და ფიქრობდნენ ისევე, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში ხდება. ამ გარემოებას რეჟისორია-თვის ხელი არ შეუშლია ფსევრულ დაშვებული ადამიანების ცხოვრებაში დაგახა პოეზია. პოეზია ნდელთან და ჩამა-ფიქრებელი, რომელიც არ ჰკავდა აცრეთ ადრე განც-ვნი. აცრეთ პოეტურ ქმედებებში ამტკიცებულს. მ. გორკის ჰუმანიზმი ადამიანური საწყისის დიდებით არის აღსაყვე და რეჟისორმაც ამ მხრიდან გააშუქა თავისი საქეკალოს გმირების სული.

საქეკალოში მიღწეული იყო რიტმისა და განწყობი-ლების პარონიულობა. ცხოვრების სიბრძნითა და წინააღ-მდეგობებით აღსაყვე ინდივიდუალური სახეები მთელი მრავალფეროვნებით გადაიმალა. ეს არ იყო გმირთა ცხოვ-რების მრავალფეროვნება. მათში მფლობდა შინაგანი მინო-ტონურობა და რადაც საოცრად მოსაწყენი ყოფა მათი არ-სებობისა, მაგრამ აქტიურული და რეჟისორული შემონა-ქმედი ეს აღსაყვე იყო მრავალფეროვნებით.

რეალისტური დეტალების ოსტატია მ. გორკი კარგად გრძობდა მათი სიზუსტის მინიშხელობას სცენაზე, იცოდა ამ დეტალების მაგური ძალა, როცა ისინი წაწყნობილ-ებოდა შესაყვე ქმნიდა. ამიტომ პიესის რემარკაში იგი სა-იცარი გულმოდგინებით აღწერს ყოველ წერილობას, რეჟი-სორის მიანიშნებს მათ ადგილას და როლზე საქეკალოში.

ლ. იოსელიანი კი მუდამ სიხარულით ხტებდა დრამა-ტურების მიერ შეთავაზებულ მართალ ატმოსფეროს. იგი საიცრად უფრთხილდება ყოველ დეტალს, რომელიც მას ესმარება განწყობილობათა ერთიანი პარონიის შექმნაში.

პიესის პირველი სურათი იწყება გაზაფხულისა ერთ დილას. გაზაფხულით თავისი განმახლებელი სულით, თავისი სიჯანსაღით, უკვე ქმნის გარკვეულ განწყობას. მაგ-რამ ბუნებით მინიჭებულ ამ ბედნიერებას კლავს სოცია-ლური უკუდამბობა, ცხოვრების სიტლანქე და ძლიერი ამა სიფლისა დასპოტიზმი.

და აი, ნაწარმოების საწყისი „გამოჭაბულის მსგავსი ჩარდავი. ჭერი — სარდავის თალი, რომელსაც ნალისი წამოსცლია და მარჯნივ უზმოდან ოთხეთიანში ფანჯარა ანათებს. სარდავის მარჯნივ კუთხე პეველის პატარა ფიც-რულ ოთახს უჭირავს, რომლის კართანაც ბავების ტახტად დგას. მარცხენა კუთხეში — დიდი რუსული დუშელი; პარ-ცხნივით კეის კედელში — სამხარეულის კარა; ღმელსა და კარებს შორე უკა დიდი საწოლი, რომელსაც წინ ღმელსაიანი ჩიითს ფარდა აქვს ჩამოჭრებული. კედლების წინ კუნძი



გდია. კუნძუში ჭასრაკი და გრდემლია ჩასხული. ცოტა ქვე-
ვით, აშკარადაა ეჭვითა, კლემში ჩს და დაეჭვებულ
კლიტეებს გასაღებს ახომებს. იქვე, მახლობლად, ირი ბღუ-
ჯა მათვლით რგოლზე ასხული სხვადასხვანაირი გასა-
ღებია, დაჭეჭილი თუხუქის სამოჯარი, ჩაქვი და ქლიბე-
ბი ყრია. სადგომის შუა დიდი მაგიდა დგას ორი სკამით
და ერთი ტაბურეტით. ყოველივე ეს ჭუჭყაინად შეედუ-
ბავია“.

ასეთ დახუთულ ატმოსფეროში ხედვებიან გასაფხულის
დილას გორკის გმირები. რეჟისორმა იგრძინა ამ კონტრას-
ტის სიმძაფრე და დიდი სიძარბოვით გამოიხატა იგი.

დაუბრუნდეთ ისევ გორის თეატრში მოღვაწეობის პე-
რიოდს.

„ბებერი მეზურნეები“, „მდაბიონი“, „ოჯახი“ და
კლიდაშვილის პიესები („ირინეს ბედნიერება“, „დასასა-
ხის გასაჭირი“) გარკვეულ გეგმას ქმნიან გორის თეატრის
ისტორიაში. რეჟისორმა, მთელიდავად რთული პრობემისა,
ამ წარმოდგენებით დიდ გამარჯვებას მიაღწია.

რასაკვირველია, ერთნაირად მკაფიომატრულად არ იყო
ამ წარმოდგენების დონე. „ბებერი მეზურნეები“ უფრო
ღრმად და დასრულებული სამეტიკალია, ვიდრე, მაგალი-
თად „ოჯახი“, მაგრამ აქ უფრო თხიწნელოვანია არა ცალ-
კველი სამეტიკალი, მისი ფეტ-ნალები წარმატება, არამედ
გორის თეატრის პროფესიული კულტურის საყოფი დონის
აგაღლები. აქ არის რეჟისორის ყველაზე დიდი დამსახუ-
რებაც.

ლ. იოსელიანმა კარგად იცის მსახიობთან მუშაობა. მას
შეუძლია ჩასწვდეს მსახიობის ბუნების ყველაზე დაფარულ
მხარეებს. იგი შთონიწივით, დიხვად და თანაბრდევრუ-
ლად ეძებს მსახიობის მართალ გულს, მისი ქესტისა და
სიტყვის ძარბონისა. ეს არის კოლმალური, თვითანცველი
შრომა, მაგრამ ხშირად წარმატებას პოფესიული აქტი-
ორული ხელოვნების პირველად საფეხვებად. ზოგჯერ აღვე-
ვთ ტიტკაე, როცა უყურებ თუ რა დიდი შრომა გულის
რეჟისორი იმის, რაც თავისთვისადაც ხანოლი უნდა იყოს.

რეჟისორი ოქრის მათემატიკით დაუღალავად მისაწ-
რავის ამ მარცვლის აღმოჩენადაც, რომელიც სამართლუ
ქებაა. სცენაზე იგი მართლად ოქროსავით ძვირფასია.

ზოგჯერ სცენაზე ემპირიული სიმართლეს კი ძნელად
მისაღწევი ხდება. ეს დამოკიდებულია აქტიორულ დონე-
ზე, მის კულტურაზე, პროფესიულ და ბუნებრივ მოსაყე-
მეზეც.

გამოჩინილი ოსტატები უფრო დიდ სიყრცეებსა და
ფართო მხატვრულ თხანახანებს ესწრაფვიან. ამგვარ აქტი-
ორებს ხშირად უყურებ ლ. იოსელიანის სამეტიკალი და-
ოჯახი. ზოგჯერ აუცი გვეონებთ, თითქმის ცდილობენ კი-
დედ რეჟისორის არტაბედიდან თავის დაღწევა. მათ აღარ
ღუდათ დარჩენენ იმ სიხანძვლივში, რომელიც რეჟისორი
სთავაზობს. ისინი ახალ მხატვრულ სამყაროს აგებენ. ამ-
გვარ ამოვარდნებს აქვს თავისი სიძარბოვლე..

ლ. იოსელიანს თავის ძნელსა და მართალ ვაზზე უფრო
გაუყვებოთ და გულმოდგინედ მიჰყვებიან ახალგაზრდები,
ოქრულიც კერ კიდევ იმავითად შეხედვრითა ოქრის მარ-
ცვლით.

აი, კიდევ ერთი მაგალითი მისი პედაგოგიური მუშაო-
ბისა. მან გორის თეატრში დადგა პიოპის „ოჯახი“. ამ
ფართოდ განხარებულ პიესას იმავითად თუ ვინმე შეხე-
ვდა კრიტიკულად. კაცმა რომ თქვას, გასაკრიტიკებელი
არც თუ ისე ბევრია. ავტორის დანახარებმა სჭარბობს
ნაკლს და ამიტომ არც ჩვენ გამოყვადებით ყოველ ხარ-
ველს, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას, პიესა უა-
ნაზიყოურად შეუკრავია. ძალიან გაშლილია სცენები და
ეს გარემოება ემოციურად ასუსტებს ნაწარმოებს.

ლ. იოსელიანმა პიესის პუბლიცისტური მხარე მიუ-
პოლიტიკური ტენდენციისადაც ფსიქოლოგიურ განწყობი-
ბითაქცია. ამით კი არ შენახლა მისი იდეური ძალა, არა-
მედ ემოციურად უფრო დამაჯერებელი გახადა.

რეჟისორი ეძებს სწორ ლოკაციურ სვლებს — ქმნის
კონკრეტულ სცენურ გარემოს, რომელიც, თავის მხრივ,
ბუნებრივად ერწყმის საერთო ტენდენციას. რეჟისორმა იმ-
დენად ძლიერია რწმენა სცენური სიმართლისადმი, იმდე-
ნად ფრთხილად ეკიდება მას, რომ ხშირად გარეობს სიანს
ბიპირობისა. არ უყვარს მეტაფორული ხერხები, გაზვიად-
ებული მასშტაბები. თვით აღმფრენაც კი ლორიკულ
ლოკალიზად მოქცეული. იგი უპირველეს ყოვლისა ლირიკისა
ია. მისთვის უცხოა ეპიკური ფორმები. გმირული საწყის-
სიც კი ერთგვარ სირბილსა და სინახეს იძენენ მის წარ-
მოდგენაში. ამ მხრივ ტიპური იყო მ. შრეკლიშვილის
„ხვაგი“ გორის თეატრის სცენაზე.

რეჟისორმა მიწაზე ჩამოყვანა რომანტიკულ ვნებათა
ღღებვის აყოლილი მთავითი ამაღლებული კანონითა.
თინიბვის რთული, მაე ვიციტოდ, ეპოქალური ადამიანე-
ტების შემეცნული უარყოფითი სახე სამეტიკალიზა გაწინა-
სწორდა დადებით გმირებს. ამით მიიხსნა ის საყვედური,
რასაც ხშირად გამოსთქამდა ხოლმე პიესის (და არა მარ-
ტო პიესის?) მიმართ. ახლა აღარ ამბობდნენ უარყოფით
სახე სჭარბობს დადებითს. პიესის დამდგენელმა არა მარ-
ტო ასის გამო შეარბილა თინიბვის სახე, არა მარტო და-
დებითი და უარყოფითი თანაფარდობა სურდა, არამედ
პირველ რიგში ყველაფერი ეს სჭირდებოდა თავისი რე-
ჟისორული მრწამსის განსამტკიცებლად.

ამ პიესაში უფრო კარგადაც გამოჩნდა იოსელიანის რე-
ჟისორული ხელწერილი თავისებურება. „ხვაგი“ იყო მარ-
თალი რეალისტური სამეტიკალი. რეჟისორმა ოსტატურად
მოაცილა მას რომანტიკული საბურველი. შესაძლოა აწვე-
ვი დამწოლა პიესაზე სადაცოც იყოს. იქნებ დრამატურეს
პათეტიკური, ზეაწული რეალიზმი უფრო იტაცებოს, ვიდ-
რე ის, რასაც იოსელიანი ქმნის მისი პიესისადაც, მაგრამ
რეჟისორული აზროვნების ამ ფორმამაც ხომ გაიპარავა
სამეტიკალიძი?

ჩვენ უამე ვთქვით, რომ დამდგენელმა ხაზი არ გაუსვა
თინიბვის კულაკურ ფსიქოლოგისა, მუქი ფერებით არ
დახატა იგი და უფრო თანადროული შექვრადობა მისცა
წარმოდგენას. რეჟისორმა დადებითისა და უარყოფითის
შეჯახების ჩვენებისა დიდი სიფრთხილედ და ტაქტი გა-
მოიხიან. უარყოფით ძალას მან აქტიურად დაუპირაპირა
დადებითი და ამ უკანასკნელში გამბოხტა კიდევ ნაწარ-
მოების მთელი დედუერი პათოსი.

წარმოდგენის ყოველი სცენა კონტრასტის პრინციპზეა
აგებული. რეჟისორი პირველ პლანზე გვიჩვენებს ხალხის
ოპოინისტურ განწყობილებას, ადამიანთა ხალხისად ცხოვ-
რებას და შრომას. ასეთ სიტუაციაში თავსადაც შემოი-
რება ხოლმე დრამატული მოვლენები, ვასაც იქნენ წარ-
სულის გადმონამთები, მის წინააღმდეგ ბრძოლაში იმარ-
ჯევის ახალი, მიწისიხვე, როგორც ჩვენი ცხოვრებისათვის
მთავარი და დამახასიათებელი. ასეთად გააზრებულმა სე-
ქტაკლამ მტეი დამაჯერებლობა შეიძინა და მასურებელ-
ზეც მლოერი გავლენა მოახდინა.

წარმოდგენა ყურადღების იქცევს დახვეწილი მხატვ-
რული გემოვნებით, ზომიერების გრძნობითა და კომპონენ-
ტთა მთლიანობით. პირველი სურათიდან მოყოლებული
თანდათან იზრდება წარმოდგენის იდეური და ემოციური
უხეობიერების ძალა; სამეტიკალი მოვლენის ფაქტი მხატ-
ვრული გემოვნებითა და რიტმის მთლიანობით. წარმოდგე-
ნის რიტმი აგებულია არა იაფფასიან ეფექტებზე, რო-
გორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე ამ ხასიათის სამეტიკალი-

ში, არამედ გმირთა შინაგანი ცხოვრების რელიეფურ კად-
მოცემასზე, დახვეწილ, აზრიან მიზანსცენაზე.

ლ. იოსელიანს მთელი გულიანადი გმირთა შინაგანი
ცხოვრების დამაჯერებლად, სადად გამოხატვაზე გადააქვს.
სპექტაკლი იმითაც არის კარგი, რომ მასში ძალზე ფაქი-
ზად გამოისახა გმირთა პოეტური განწყობილება. პოეტუ-
რი ამაღლებულობა აქ მართო ერთი რომელიმე გმირის
ღრუსება კი არა, საერთოდ, მთელი წარმოდგენის თვისე-
ბაა.

„ზვავი“ დიდი აქტიორული წარმატებით არ გამოირ-
ჩევა, მაგრამ, სამაგიეროდ, არის ანსამბლი, მთელი ჯგუფი
მონაწილე მსახიობებისა, რომლებიც ყოველმხრივ ცდალო-
ბენ სცენაზე იცხოვრონ თავიანთი გმირის ცხოვრებით,
გულწრფელად განიცადონ მისი ბედი და ყოველივე გამო-
ხატონ რეალისტურად.

გორის თეატრში იოსელიანის უკანასკნელი პრემიერა
„ირინეს ბედნიერება“ და „ღარისპანის გასაჭირი“ იყო.
კაროტნასა და ირინეს როლის შემსრულებლად თეატრმა
მ. ჯაფარიძე მიიწვია.

დ. კლდიაშვილის პიესებს ბედმა არ გაუღიმა ქარ-
თულ სცენაზე. კარგი დადგმებიც იყო, მაგრამ ამ ბრწყინ-
ვალე ნაწარმოებებს უფრო დიდი როლი უნდა შეესრულე-
ბინათ ქართული თეატრის ისტორიაში.

ქართულმა თეატრმა დროზე ვერ გაუგო მას, ვერ ჩას-
წვდა კლდიაშვილის გმირთა სამყაროს, ვერ იგრძნო მისი
ცხოვრების თავისებურება. პირველად „ირინეს ბედნიერე-
ბა“ რომ დაიდგა, მაყურებელი გულგრილად შეხვდა წარ-
მოდგენას. დიდად შეწუხებული იყო სახელოვანი მწერა-
ლიც.

წუხილი გულთან მიიტანა ლ. მესხიშვილმა და კლდია-
შვილს უთხრა: „დათიკო, ნუ შეწუხდები! მე ვაჩვენებ რა-
გორ უნდა ითამაშონ მაგ პიესაში; ამ დღეებში ჩაებრუნ-
დები ქუთაისში და ერთ თვეში მიიღებ დეპეშას და უსა-
თუოდ ამოდი და დაესწარი წარმოდგენას“. ასეც მოხდა.




სცენა გორის თეატრის სპექტაკლიდან
„ირინეს ბედნიერება“.

სცენა გორის თეატრის სპექტაკლიდან „ღარისპანის გასაჭირი“. ცენტრში — მეღეა ჯაფარიძე.



სცენა გორის თეატრის სპექტაკლიდან
„ღარისპანის გასაჭირი“.



სცენა გორის თეატრის სპექტაკლიდან
„ირინეს ბედნიერება“.





შესდგა პრემიერა. დავითი ივონებს ამ დაუეჭოვარ დღეს: „ახანდა დასოდა. იმის აწერის თუ როგორ დაიწყო პიესა, როგორ მიდიოდა, როგორ ჩატარდა, ამას არ მოკვები, — ეს იყო გრძელად გაბმული სისხარული წუთები, დაუეჭოვარი წუთები. ახმაურებული მაყურებელი, ავტუბუსებში ხალხი გამოფხნა თეატრის დარბაზიდან: ბნელ ქუჩებში ისმინდა მხიარული ლაპარაკი, სიცილი, ხარხარი... მივდივარ და გარწმობი მესმის — რაც გულს სისხარულით ავსებს“.

ლ. იოსელიანის ტალანტმა აჩუქა მწერალს ეს დიდი სისხარული, მიანიჭა აქამდე განუცდელი და განუყოფი ბელი გზინობა.

დ. კლიაშვილი რომ გორის თეატრის „ირანეს ბედნიერებას“ დასწრებოდა, ალბათ, სპექტაკლით უკმაყოფილო არ დადგებოდა. რეჟისორი ფაქიზად მოიკა და მწერალს ჩაეფიქრა. სპექტაკლი გვიჩვენებს ნაღვლიან დრამა გარდასული ცხოვრებისა, რომელიც დღევანდელ მაყურებელშიც იწვევს ტკივილსა და დაფიქრებას.

სპექტაკლში კარგად არის შოთხნილი სოციალური ფონი. უფროდ წარმოდგენას და გრძნობას, რომ ეს არის რთული სინამდვილე, რომელიც ადამიანთა შორის წარმოშობს კონფლიქტს, ურთიერთობის რღვევას.

თავმოყვარობის ინსტიტუტები, წოდებრივი ღირსებანი და ეკონომიური პირობები წარმოდგენენ „ირინეს ბედნიერების“ გმირთა შეპირისპირების საფუძველს. აქ ერთმანეთს გამოირცხვენ წოდებრივი მდგომარეობანი და შესაბამისი ეკონომიური პირობები. ნიადაგი ყვებიათ ადამიანებს, ჰკარგავენ რეალობის გრძნობას და ტრავიკომიკურ მდგომარეობაში ვარდებიან უნებლიეთ.

ფარდა ახსავდა და სცენაზე გამორჩა სტუმარ-მასპინძელთა დიდი ჯგუფი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის სასოციალური საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, ავადმჯიოსმა ვიქტორ კურბაქემ გერმანულ ენაზე დიდი მაღლობა გადაუხადა გერმანულ ხალხს ქართველი ხალხის წარმომადგენლებთან ძმური შეხვედრისათვის:

— ამ შეხვედრამ, — თქვა მან, — ყველა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ ვიცნობდით გერმანელი ხალხის ბევრ კარგ თვისებას, ახლა კი მათ შეგება კიდევ ერთი — სტუმართმოყვარობა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძობთ. ყოველ ღიანს ვიხსართ, რათა ჩვენმა შეხვედრებმა კიდევ უფრო დანამტკიცონ მოძებ ხალხების მეგობრული ურთიერთობა.

ახლა, როცა ჯერ არ დამთავრებულა ჩვენი ეს შეხვედრა, ადრეა შემდეგ შეხვედრაზე ლაპარაკი, და მაინც მინდა მოქცე: ნუ დავლიოდებით ისეთ გრანდიოზულ მოვლენებს, როგორც არის კულტურის დღეები. ქართველ ხალხს ძეგბად მიარჩიხართ, ჩვენ გვაერთიანებს საერთო მიზანი და ამიტომ ყოველი თქვენთაგანი სასურველი სტეპარია ჩვენმა ჩვენი კვყვანაში.

შემდგომ შეხვედრამდე! დაე, ჩვენი შეხვედრები ტრადიციული გახდეს!

სიტყვის დასასრულს გ. კურბაქემ მზურგალე მაღლობა გადაუხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, კულტურის სამინისტროს, რომლებმაც მეგობრამ გააკეთეს, რათა თავიანთ ქვეყანაში ფართოდ ეჩვენებინათ ქართული კულტურა.

საასუსთო სიტყვა წარმოთქვა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სასოციალური თავმჯდომარე ლოტარ



ბოლოცა. მან ქართული კულტურის დღეების მონაწილეებს მიულოცა დიდი წარმატება.

— საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, — თქვა მან, — რეგულარულად ეწყობა 1964 წლიდან, პაგრამ ქართული კულტურის ეს ჩვენება ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული იყო. თქვენი სილამაზებისა და ასანაზრების კონცერტებზე აზნებინ ხალხს დასწრები, გულთბილი შეხვედრები და აზრთა გაზიარება ცხადყოფს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშობლები იჩენენ საქართველოს უძველესი კულტურისადმი. დაე, ქართული კულტურის დღეები იყოს ჩვენი შემდგომი მეგობრობის საწინდარი, კვლავაც ემსახურებოდნენ ჩვენი ხალხების კულტურულ ღირებულებათა გაცვალას.

(ორი მუხ)

საჩუქიმი ნაწილი მორჩა. საქართველოს კულტურის დღეების ემბლემა — ელეგუა ამაშუკელას, კვეფისა და მოყმის შებმა: არლოკინოზე დაგება. სენეაზე გამორჩეულ კოსტუმერში გამაწყობილი ორმოცი მომღერალი — „გორდელა“, „ფირისმანა“, „რუსთაია“ და „სულოვის“ კაერთიანებული ანსამბლი. მათ შუა სერგო ზაქარიაძის ტადარა ზზინავდა. გუნდმა ლიბინი დაიწყო მჭვილი ქორაული და ზაქარიაძე პირველი ქართული სიტყვა საქართველოს დიდებას უძღვნა:

— ვინა სიტყვა, თითქოს პატარა იყო ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ქართლი ვინ ჰყო პატარა ცხი, ვინ მოიგონა სიმცირე მისი“.

„შენ ხარ ვენახის“ დიდებული მელოდია „ლოლემი“ გადაიზარდა და ახლა მუსეს მიმართა:

„შეო, ნუ სტირი, ლვინი შევგომსხვი სხვიებით. ვით გაადრო, მაგრამ თქვენს შუა დიდია ვანსხვაება. შენ მარტო დღისით გვიანობე, ის კი დღითაც მზე არის. ირავლე წყვდიადის გარბობა, მზე, ორვს ერთგვარ გრვევათ, თქვენგან გაბრწყინდენ ყოველი, გარშემო ვინც ვახვევიან. ორივე მზე ხართ ბრწყინვალე, სიცოცხლის აწყვავებელი, არ არის ქვეყნად ძალია თქვენთა სხვით ჩამაქრობელი. ორთავე მზე ხართ ცხოველი, მსოფლიოს მანათობელი, ვერ დავაშორებ ერთმანეთს, არც ერთს სიკვდილს არ ვეძლი“.

სიმღერა-დეკლამაციამ ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. დარბაზში მსდომინი მიხედნენ, რომ ვეგებერთელა ქართული მხატვრული პოეტურობისა და ნიჭიერების წინაშე იღვინენ და უმაღლეს აუხდათ: ირაკლი შუმანიან ტულოიკოს ლა-და და ომასიანი სიმღერა — „ლენინი მუდამ ჩვენთანაა“ წამოიწყო და ტაშის ზვირთებამ აშალა. ოსტატობით ამყოლო ბერილომურ ორკესტრს ჯანსუღ კახიძე მგზნებარულ დირიჟორბდა.

სენეაზე კაცის სიმალის ოთხი შანდალი დადგეს აბი ანთებელი სანთლით. ფაქიზად შედგენილი პროგრამა საქართველოს სიმბინიანა კვარტეტმა და კლისო ვირსალაძემ გააგრძელეს. დახვეწილი აკადემიურობითა და შესრულე-

ბის დიდებულებით დაუკრეს შუმანის კონცერტის პროგრამა ნაწილი.

ავანსენაზე გაჩნდა მეზალე-მხატვარ მიხეილ კახიძისეული თაიგული-კალათი. „გორდელაში“ „გლესაჲ, ნაგაგალი“ წამოიწყო და იმ ყვავილებში ქართული ღვთის შრომა-ხალისი ავლანდა და საქართველოს მთა-ბარი აკი-აფდა. მერე გერმანული მადრიგალი იმღერეს და გერმანელთა ერთსულოვანი ტაში მიიზღეს. დასასრულს „ლილი-ფაშა“ დასაოცრეს და დარბაზის ალტაკველები შვრია თან გაიყოფეს.

სენეაზე კვლავ ახალი თაიგული გაჩნდა და მედა აპირანაშვილმა ვერდის ლეონორას არია ამოქოვა. ორკესტრი ფაქრად გააყვა და ერთის სიმღერა ასის სუნთქვად იქცა.

კვლავიანობისა და დამა კანდელაკების ხალხური საკრავების ტრის შემდეგ კი ზურაბ სოტკილავე გამოჩნდა. დაიან, გამოჩნდა, რადგან, იგი არა მარტო გერმანელებისათვის, ბერე ჩვენებისთვისაც ტრიუმფალურ მანტაწაშობისმული აღმოჩნდა. ზურაბმა ბრწყინვალედ იმღერა ოთხ თაიქთაქმელების მინდის მონოლოგი და ქტიორულ-გოგალური სხვაქვეყნის დიდი ძალით დასატყანდ შენიეს ანია კომპოზიტორ ჯორდანის ოპერინდა. მსმენელთა რეაქცია იმდენად დიდი იყო, რომ დარბაზს ტაში აღარ ეყო და ფეხის გულბეც მიაშვლა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა და საბჭოთა ელჩ-ბ. აბრასიმოვმა მომღერალი მთავრობის ლტოპნი მიიწვიეს და დიდეს გამყოფილებით მადლობა უთხრეს მათთვის მინიჭებული სიამონებისათვის.

და, ისე შედგერი. ამჯერად კი ლიან ისაკაძე — გრაციული, ტემპერამენტული, პატიოვანი ტექნიკის დაუფლებული. სარასატეს კაპრიჩო დიდხანს დარჩებთა მესსიერე-ზამი მუსიკალურად ძლიერ ბერლინელმა. მაგრამ კიდელეგო გაზარდა შთაბეჭდილება ალექსი მაჭავარიანი „დოლურით“. აღბანა, იმხანად თბილისში დაჩინილი ავტორი-კომპოზიტორც გუამანიან გრძნობდა თავისი პირში ნაწარმოების მეორედ დაბადების სიხარულს.

ლიანა ისაკაძე „ფირისმანაში“ მუსყვალა და ომასიანი და მხარეული „მეი ნანი“ გაოსმა, რიტმული, ღრმად ეროვნული და გულში ჩამწვდილი. მერე რუსული ხალისიანი სიმღერაც თქვეს და ორივე ამას გურამ ბაქრაძე წარმართავდა.

ისე ფაერად, ისე ყვავილები კომპოზიციური ანაგული და სცენის სიღრმეში კამერული ორკესტრი განლაგდა მარინა იაშვილის, პოლიტკოსკისა და ირინე იაშვილის სილირებით. გუმენერი შთაბეჭდილება დატოვა ვიკვალდის მერე სამი ეპილონისათვის დაწერილმა კონცერტის ფანაშმა. დარბაზი სხვასაც მოითხოვდა, მაგრამ ქართველები გერმანელებზე არანაკლებ პუნქტუალდობით იცავდნენ საპროგრამო რეგლამენტს.

უაღრესად აკადემიურ კაჩერულ ანსამბლს უაღრესად მოდერნული ანსამბლი „ორრა“ მიჰყვა და ძალზე მუნჯბრავდაც მოერგო ემოცია-აზროვნების აღწევებულ დინებას. „ოდელია ნანას“, „სულიკო“ მიაყოლეს და ჩემს მეზობელ გერმანელს ათქვიერეს:

— უცნარო რამ მოხდა: ქართული კულტურის დღეების დაწყებამდე გერმანიაში თითქმის აღარ მღეროდნენ „სულიკოს“. ამასი რაღაც კონიუნკტურულ კრამოლას ხელ-დავდნენ და, რასაკვირველია, ცდებოდნენ. ახლა „სულიკო“ კვლავ მოედება გერმანიას და დამასხურებულადაც.

„ორრანაში“ თავისი ორანგელებმა მისცა „სულიკოს“, ჟღერდა და მოხდენილი. ნანი ბრეგვაქიმაც სომავკენებლად იმღერა. და დარბაზიც აყვავა. ასე სდებთ ხოლმე, როცა ხალხს ემღერება და იცინა, რომ ამით მომღერლებსაც ხელი არ ეშლებათ.

„ორრანაში“ რვეჯ ლაღიძის „თბილისითი“ დასრულა მშვენიერი პირველი განყოფილება და აპლოდისმენტების

ქეჩა-ქუხილში დამთავრა დასკვნითი პროგრამა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა.

შინმოუხველეთა ღიმილი

ქართული ხელოვნების ღმერთმა ბრანდენბურგის ტრიუმფალური კარებისაკენ გადანიაცვლა. მანქანებში ჩავსხედით და მასპინძლებს მივყვეთ. ღამის 11 საათზე ბერლინელებმა გამოსათხოვარი ვანშიში მოაწყვეს მარმარილოთი ნაგებ სასახლეში.

ბრანდენბურგის ტრიუმფალურ კარებს გადაკურებს ეს გრანდიოზული შენობა, ფაშისტური ავიაციის მარშალ გერინგის ყოფილი რეზიდენცია.

მაშინ, ავიაციის მინისტრმა ვერინგმა აქ წარმოთქვა თავისი პირველი ბრძანება ჩვენს ქვეყანაზე თავდასასხმელად, ჩვენი და გერმანელი ხალხების გულების გასაყრელად.

ახლა, კულტურის მინისტრმა გიზიმ აქ წარმოთქვა თავისი სადღეგრძელო ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელად, ჩვენი და გერმანელი ხალხების გულების შესაერთებლად.

„კორდელას“ მრავალჯამიერმა ღამის ჭერი გაბრდღვიალებულ ფანჯარაში გაიხსნა და რამდენიმე ნაბიჯზე მათუფსლარტის ჩაყოლება შევნიშნე. აქეთ ჩვენი მეგობარი აღმოსავლეთ გერმანიაა, იქით საიურიზოდ ამრეზილი დასავლეთ დოინჩლანდი. შუაში კი ვეგებრთელა მიწანაყარი გორაკი ზემოთ ამოშვერილი პუისკოპით.

— ეს რა ბეჭობაა? — ვიკითხე.

— ჰიტლერის ბუნეკერი, „ფიურერის“ სამარე!..

უნებლიეთ ჩვენებურების სახეები წარმოიშობა, ლანდგაბდ შეომეხვივნენ და გერინგისეული სასახლის ფანჯარაში მოლხენით გადმომდგარს სეფდიანად გამიღმეს:

— ჩვესც მივაყარეთ ჩვენი სისხლით შორწყული საქართველოს წილი მიწა! — ამომიღულუნეს და გაუჩინარდნენ.

— თქვენი უკვდავებისა იყოს, შინმოუსვლელო ქართველებო! — ჩავიღულულე და ჩვენებური ღვინით სავსე ჭიქას პირი წავუქციე.

მოსივმე ღარბაზში კიდევ დიდხანს ენით ჭაღები. მერე ერთმანეთს მეგობრულად დავემშვიდობეთ და დალით ბერლინის აეროდრომისაკენ გავემართეთ. საბჭოურმა თვითმფრინავებმა კურსი საქართველოსაკენ აიღეს.

მოსწავლეთა თვითმოქმედება

ცეკვა „ახალგაზრდული“ — თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის შესრულებით.



ჩ ე მ ი გ ზ ა*

თამარ ჭავჭავაძე

მსახიობებში ხშირად ნაკლები ყურადღებით ეკიდებიან რეპეტიციებს: სრული ხმით არ კითხულობენ ტექსტს, ინდიფერენტულად, ნეიტრალური ინტონაციით იძლევიან რეპლიკებს. ჩემზე ეს მუდამ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც პირადად მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ რეპეტიციებს, მიყვარს და მესხალისება ხანგრძლივი, დაკვირვებული მუშაობა. მთელი კოლექტივის ერთსულოვან მუშაობაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული არა მარტო მთლიანად სპექტაკლის, არამედ თითოეული მსახიობის წარმატებაც. მე ჩემ თავზე გამოვცადე ეს მარგარიტა გოტიესა და ზეინაბის როლებზე მუშაობის დროს.

ფეიქრობ, რომ ამ როლებში, განსაკუთრებით კი ზეინაბის, მე ვერ მოვახერხე მთელი სისრულით გამომეკონა ჩემი ჩანაფიქრი და შესაძლებლობები. თუ რა იყო ამის მიზეზი — ქვემოთ ვიტყვი.

კარგად მესმის, რომ სცენაზე ყოველ მსახიობს აუცილებლად მოეთხოვება დავიწყოს თავისი პირადული დამოკიდებულება პარტნიორისადმი და მასში ხედავდეს მხოლოდ და მხოლოდ პიესის მოქმედ პირს, ვიცი და მაინც არ ძალმიძს ბოლომდე განვახორციელო ეს ჩემს სცენურ პრაქტიკაში.

რუსთაველის თეატრში მიყვარს თამაში ე. აფხაიძესთან, მ. დავითაშვილთან და ა. ვასაძესთან ერთად. ეს უკანასკნელი შესანიშნავად გრძნობს პარტნიორს, სათუთად ეკიდება საერთო მხატვრულ ჩანაფიქრს. მასთან მუშაობა ამის გამო ადვილი და სასიამოვნოა. მინდა ვითამაშო ა. ხორავასთან. ჯერჯერობით ჩვენი შემოქმედებითი შეხვედრა მოხ-

და მხოლოდ „ოტელოში“, სადაც ემილიას როლს ვასრულებ. ვოცნებობ რაიმე დიდ როლზე, აღტაცებული ვიყავი ვ. ა. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წინადადებით მონაწილეობა მიმეღო შექსპირის დრამაში „ანტონიოსი და კლეოპატრა“, რომლის დადგმასაც იგი აპირებდა ჩვენს თეატრში თბილისში ყოფნის დროს (1942 წ.). ამ სპექტაკლში ანტონიოსის როლი უნდა შეესრულებინა ა. ხორავას, ხოლო კლეოპატრასი — მე, სიამოვნებით ვითამაშებდი აგრეთვე მასთან ლედი მაკბეტს.

ძალიან მიყვარს მარგარიტა გოტიეს როლი. ა. დიუმას დრამა ჩვენს თეატრში დაიდგა 1941 წელს. მარგარიტას როლზე არც ვოცნებობდი, რადგან პიესა სპეციალურად ვერიკო ანჟაფარაძისთვის იდგმებოდა. გარდა ამისა, მე ცოტა ხნით ადრე შევასრულე მთავარი როლი ვ. სარდუს „მადამ სან-ჟენში“.

„მარგარიტა გოტიეს“ დგამდა რეჟისორი ბორის გამრეკელი. ერთ დღეს, ჩემთვის მოულოდნელად, მან შემომიავა ვ. ანჟაფარაძესთან პარალელურად დამეწყო მუშაობა მარგარიტას როლზე. მე სიხარულით დავთანხმდი, რადგანაც პიესას კარგად ვიცნობდი, წაკითხული მქონდა დედანში თვითონ რომანიც და გულწრფელად თანაგურტანობდი მის მთავარ გმირს.

მოხდა ისე, რომ რეპეტიციების დაწყების მომენტში 1940 წლის ნოემბერში თბილისიდან გაემგზავრე. შემიყვანეს საკართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც მიყვეულ იქნა კიევში საოქტობრო დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად.

თან წაიღე პიესა და რომანი ფრანგულ ენაზე. კიევში ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში მოგვათავსეს. ოფიცია-

* დასაბრუნო. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 3.



ლური მოვალეობებით დატვირთული არ ვიყავი და სრული საშუალება მომეცა მუშაობისათვის. გატაცებით შევუდექი როლის შესწავლას, მოვხაზე ჩემი გმირის სახის ძირითადი კონტურები. ვიგრძენი, რომ საქვე კარგად უნდა წავსულიყ, მაგრამ თბილისში დაბრუნებისას უსიამოვნება მელიოდა. ბ. გამრეკელი რაღაც მიზეზების გამო თბილისიდან გამგზავრებული და სანახევროდ გამზადებული სპექტაკლი სხვა რეჟისორისათვის გადაეცათ. ამ უკანასკნელს ექტარებოდა სპექტაკლის გამოშვება და მხოლოდ ვ. ანჯაფარიძესთან მუშაობდა; მე არავითარ ყურადღებას არ მამქცევდა და რეპეტიციებზეც კი არ მეძახდა, თითქოს არც ვყოფილიყავი სპექტაკლის მონაწილე. მარგარიტას როლმა ისე დამაინტერესა და გამიტაცა, რომ სასოწარკვეთილებას მაინც არ მივეცი და განავარკობი დამოუკიდებლად მუშაობას.

დადგა პრემიერის დღეც. ვერკომ შესანიშნავი სახე შექმნა სპექტაკლში, მაგრამ იგი სასეებით განსხვავდებოდა ჩემი ჩანაფიქრისაგან და ამან კიდევ უფრო გამძლიერა სურვილი მარგარიტას როლის შესრულებისა. დარწმუნებული ვიყავი საკუთარი ინტერპრეტაციის სისწორეში. შევეცდები დავასაბუთო იგი.

ვ. ანჯაფარიძე თამაშობს სასიკვდილოდ განწირულ ქალს. პირველივე გამჩენიდან სცენაზე მას თითქოს თან სდევს სიკვდილის აგბედითი აჩრდილი. სიცოცხლე თანდათანობით ტოვებს მარგარიტას, მსგავსად იმისა, როგორც მის კორსაქზე მიმაგრებულ კამელას დლითდღე სცვივა და მტკანარი ფურცლები.

მსახიობი თამაშობს განწირულების ტრაგედიას, მისი გმირი პასიური და ბედს შერიგებულია. თავისი ჩანაფიქრის შესაბამისად, ვერკომ სცენას არმანის მამასთან თამაშობს შინაგანი წინააღმდეგობისა და პროტესტის ვაჟაშვი. იგი უდრეგნეოდ ეთხოვება თავის ბედნიერებას. მომდევნო სცენებშიც მსახიობს თანმიმდევრულად მიჰყავს თავისი გმირი ფატალური ფინალისაკენ და მარგარიტას სიკვდილი პიესის დასკვნით სცენაში აღქმება, როგორც წინასწარ გადაწყვეტილი და გარდუვალი აღსასრული. ჩემი აზრით, ეს გარკვეულად ამცირებს პიესის ტრაგიკული კულმინაციის ფუნქტს.

ვერკომ, ვიმეორებ, შესანიშნავად აღწევდა თავის მიზანდასახულებას, მაგრამ მე სხვაგვარად მესახებოდა ჩემი მარგარიტა და ვფიქრობ, რომ ამ როლში, უფრო მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან, მოვახერხე გამოუსულიყავი მხატვრული სახის შინაგანი არსიდან და არა ჩემი შემოქმედებითი ბუნებიდან.

საზოგადოდ, მე მიყვარს თამაში „მხატვრული სახიდან“. რაც უფრო ნაკლებად გვავარს საკუთარ თავს, მით უფრო თავისუფლად ვთამაშობ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას განმეორებისა და ადრე მიღწეულის გადამღერების საშიშროება, რაც აქვეითებს როლის ინდივიდუალურ დამახასიათებელ თვისებებს. ცხადია, საჭიროა გქონდეს საკუთარი დამოკიდებულება მხატვრული სახისადმი, საკუთარი თემა შემოქმედებაში, მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ ხელოვნებაში არაფერია იმაზე უარესი, რომ

მისდევდე ერთხელ და სამუდამოდ გაკაკულე გზას. განმეორებისადმი დაუძღველი სწრაფვა და სიცოცხლის წყურვილი — არა, შეადგენდა ჩემთვის მარგარიტას როლის გაახრების ამისავა წერტილებს.

მარგარიტა განკურნავი სენით არის დაავადებული. მან ეს იცის, მაგრამ შეგნებულად იმორებს სიკვდილზე ფიქრებს. სიცოცხლეთ თრობის წყურვილით შეკარობილი იგი ხარბად ეწავლება ყოველ წამიურებას და ფარვანასავით, შეუცნობლად მიოტვლის ცეცხლისკენ, წუთიერი სიამოვნებით — ამ ასპექტში მჭინდა გადაწყვეტილი ჩემი პირველი გამოსვლა. მარგარიტა აქ მხიარული, ცხოვრებაზე შეყვარებული, ოდნავ ირონიული ახალგაზრდა ქალია, რომელმაც კარგად იცის თავისი სილამაზის ფასი. ცხოვრება მისთვის თავდავიწყებას და ნეტარების წყაროა. ჩემი ჩანაფიქრის შესაბამისად მე მინდოდა თავყანისმცემლობის ამალით გამოუსულიყავი პირველ სცენაში, მაგრამ რეჟისორი წინააღმდეგი იყო მიზანსცენების შეცვლისა და თომბობს სახით დათანხმდა, რომ მარგარიტას გამოსვლა მიმხდარიყო კულისებში ჩემი მუხით ქრიაშობის ფონზე არმანთან გაცნობის სცენაში მე შეგნებულად ხაზს ვუყავი — დი მარგარიტას უნდობლობას და მსებუქ ირონიულ ტონს არმანის გრძობობს მიმართ. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მარგარიტა რწმუნდება არმანის გულწრფლობაში, იგი მიეღობს არმანით ელევგა მოხეთქილ გრძობობას, სიყვარულის ბედნიერებას. ამ პლანში ვატარებდი მეორე მოქმედების სცენას არმანთან წრფელი, მხურვალე გრძობით შეკარობილი ახალგაზრდები უსომოდ ბედნიერი არიან. ნახვად ეთივერულებიან ერთმანეთს და ჩურჩული უზიარებენ ერთი მეორეს თავიანთ ფიქრებს, თითქოს შიშობენ არ დაარღვიონ ბედნიერების საცოცხლე. მომდევნო სცენაში (აპარატურ) მარგარიტა დამშვიდებული და ბედნიერია. მისი სულიერი დრამა იწყება არმანის მამასთან საუბრის დროს. სცენა, სადაც არმანი შეურაცხყოფას აყენებს მარგარიტას, მე მიმყავდა ემოციურ კრემქმდლოზე.

მარგარიტას სახის გაგებისათვის მეტად მნიშვნელოვანია დიუმიან არმანის ერთი ეპიზოდი, რომელიც პიესაში აღარ დარჩა, მხედველობაში მამქეს თავი, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ შეხვდნენ ხელმოკრულ პარისში არმანი და მარგარიტა. სიყვარული ახალი ძალით ითვლებს მათში და ისინი კვლავ ეძლევიან მოზღვაგებულ გრძობობას. ბედნიერი შეყვარებულები იძინებენ. დლით კი გამოღვიძებულ მარგარიტას არმანის ნაცვლად დახედება მაკიდაზე დატოვებულ აფხარანჯიანი. სასოწარკვეთილება და კაჟანი მოიცავს მის გულს. ჩემი აზრით, ეს ეპიზოდი გაკლებული უფრო ძლიერია, ვიდრე სცენა მეჯლისზე, სადაც არმანი დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებს მარგარიტას. რომანის ეს ნაწყვეტი ძალიან მალეღებდა როლზე მუშაობის დროს და ქვეცნობილიად მოქმედებდა ჩემს ინტერპრეტაციაზე.

ასეთად მესახებოდა ჩემი გმირის დრამა, ასე წარმომედგინა მისი განცდებისა და გრძობობების სამყარო. ვუმზაობდი მარტო, სახლში, რეჟისორის დახმარების გარეშე. დაინიშნა ჩემი პირველი გამოსვლის დღე. მზად კი არ ვი-

ყავი. საბედნიეროდ, თბილისში დაბრუნდა ბ. გამრეკელი, მისი ჩარევის შემდეგ მომცეს სუთი (!) რეპეტიცია. სასაცილო რიცხვია ასეთი რთული როლისათვის, მაგრამ რა შეუქნა? ან უნდა გამეწვია რისკი და დაეთანხმებოდიყავი, ან კი სამუდამოდ უარი უნდა მიეთქვა სანუკვარ სურვილზე. მაინც გავბედე.

მიჭირს თქმა, თუ როგორ ვთამაშობდი იმ საღამოს. მახსოვს მხოლოდ, რომ მთელი სპექტაკლის მანძილზე ვფიქრობდი ფინალურ სცენაზე. გადაწყვეტილი მქონდა მემოქმედნა უკუქმედების პრინციპით და სიკვდილის უსამართლობა მეჩვენებინა სიცოცხლისადმი სიყვარულის მეშვეობით, რაც ჩემი ინტერპრეტაციის ლეიტმოტივს შეადგენდა. მარგარიტას რეპლიკაში: „მე ვიცოცხლებ“ — მეგულეობდა ამოსავალი წერტილი მთელი ამ აქტის საჭირო განწყობილებისათვის. მაგრამ სპექტაკლზე ყოველივე სხვაგვარად მოხდა: ბოლო მოქმედების დასაწყისში მარგარიტა არმანის წერილამდე კითხულობს თავისი მეგობრის ბარათს, რომლითაც მას ქორწილზე ეპატავებინან. ეს პატარა

ეპიზოდი სპექტაკლში, ჩვეულებრივ, შეუმჩნეველად მიდის, მაგრამ იმ საღამოს იმდენად აღელვებული ვიყავი, რომ ბარათის ტექსტმა ცრემლები მომგვარა და ჩემდა უნებურად ავტირდი. ამ მოულოდნელმა გარემოებამ უმაღლ ჩამაყენა საჭირო კალაოტში და შემიქმნა სათანადო ემოციური ატმოსფერო. შეხოჭილობა და მღვლეარება გაერა და მე აღმავლობით ჩავატარე მთელი აქტი.

სპექტაკლში წარმატება მსცდა. ჩემი მარგარიტა მიიღო საზოგადოებაში და კრიტიკოსებმაც. უთანასწორო ბრძოლაში გავიმარჯვე და უფლება მოვიპოვე მთავარი როლის პირველ შემსრულებელთან — ვ. ანჯაფარიძესთან ერთად მორიგეობით მეთამაშა წარმოდგენებში. შემდგომ, უკვე თვით სპექტაკლების პროცესში მიხდებოდა ცალკეული სცენების დახვეწა. მიუხედავად ყოველივე ამისა, უნდა ვაღიარო, რომ მაინც ვერ შევემიღი ჩემი ჩანაფიქრის სრული განხორციელება იმ სახით, როგორც ვაპირებდი. მე მიინდოდა მეჩვენებინა სპექტაკი ბუნების ადამიანი, რომელიც იბრძვის იმისათვის, რომ მოიპოვოს უფ-

გურამ პაატაშვილი

«მეიოჯორის

სიმღერა»

გმითხმულა ვთავაზობთ თვითნასწავლი კომპოზიტორის გურამ პაატაშვილის პიესას „შემოდგომის სიმღერა“, რომელიც დაწერილია ექვსსიმინიანი გიტარისათვის და მოწონებულია საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მუსიკალური სექციის მიერ.

[ყოჩხალ] Allegretto

[ხმაიხალ] Moderato

ლება ბედნიერებაზე, სიყვარულზე. და თუ მე ბოლომდე ვერ განავხორციელებ ჩემი ჩანაფიქრი, ამაში დამნაშავე იყო თეატრის გულგრილი დამოკიდებულება მსახიობის შემოქმედებისადმი. ვფიქრობ, რომ ამით წაგაგე არა მარტო პირადად მე, არამედ წაგო სპექტაკლამც (ცხადია, მედღველობაში მაქვს მხოლოდ ის წარმოდგენები, რომლებშიც მე ვმონაწილეობდი). მიზანსცენების ახლებური „რედაქცია“ ჩემი გააზრების შესაბამისად, ვფიქრობ, მეტ სიცოცხლურ სიმასილესა და თანადროულობას შეისძინდა სპექტაკლს.

და ისევე, როგორც ლაურენსიას როლზე მუშაობის დღეები სამუდამოდ დამჩნა მესხიერებაში, როგორც ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების უბედნიერესი პერიოდი, „მარგარიტა გოტიე“ თეატრში გატარებული მძიმე დღეების მოგონებებთან არის დაკავშირებული, ორივე ეს შემთხვევა რეჟისორის ჩემდამი დამოკიდებულებით იყო განსაზღვრული. მე, სასოგადოდ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ რეჟისორთან მუშაობას, თუმცა მიყვარს ჩემი მასალის დამოუკიდებელი გააზრება. იმისათვის, რომ „ვირწმუნო“ რეჟი-

სორი და გავყვე მას მუშაობის პროცესში, საჭიროა მჭიდროდეს მისი ნიჭის, გემოვნებისა და მხატვრული ალღოსი, საჭიროა ვიგრძნო მისი სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულება. არ მიყვარს რეჟისორები, რომლებიც თავის თავს პირველ ადგილზე აყენებენ სპექტაკლში, არ მიყვარს დიდ ხანს ჯდომა მაგიდასთან, რასაც ასე ხშირად მიმართავენ თავიანთ პრაქტიკაში ჩვენი რეჟისორები. წინასწარ საჭიროა მხოლოდ გაირკვეს სპექტაკლის ძირითადი იდეა და მოიხაზოს მთავარი როლების კონტურები, შემდეგ კი, დაყენების გარეშე — რეპეტიციებისკენ! სწორედ რეპეტიციებზე იშლება ნამდვილი შეოქმედებითი მუშაობა. აქ ხშირად უარს ამბობ ზოგიერთ ადრე ჩაფიქრებულ მომენტზე და პირიქით — ნახულობ ახალს.

მოვიყვან მაგალითს: 1940 წელს ვემუშაობდი ვიქტორინ სარდუს კომედიაზე „მადამ სან-ჟენი“. პიესა სპეციალურად ჩემთვის იდგმებოდა, მე ვთამაშობდი კატრინ იუბეს. რეჟისორობდა კვლავ ბ. გამრეკელი. ვემუშაობდი ხალისიანად, გატაცებით, პიესა ყველას მოგვწონდა, ვადავ-




წვეტიტ წარმოგვედგინა იგი როგორც გასართობი ანგლოტი ნაპოლეონის კარის ცხოვრებიდან. კატრინის როლზე მუშაობისას წაიკითხე მოთხრობა, რომელიც საფუძვლად დაედო კომედიას. მოთხრობამ დამაინტერესა პირველი რიგში იმით, რომ მასში აღწერილია კატრინის ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც იგი უბრალო მარკიტანტი ქალი იყო. ეს კი ბევრს იძლეოდა ჩემი გმირის ხასიათის გაგებისა და გააზრებისათვის. კარგად მესმოდა, რომ ფრანგულ კომედიას ვთამაშობდით, რაც განსაკუთრებულ სიმსუბუქესა და მოხდენილობას მოითხოვდა ყველა მონაწილისაგან. მიხდოდა მეჩვენებინა მხიარული და მოსაზრებელი ქალი — ხალხის შვილი, რომელიც ბედის ტრიალმა იმპერატორის ამაღლებაში მოახვედრა. ვეიმობდი, რომ კატრინის უბრალოებისა და დემოკრატიული ბუნების ხაზგასმას არ შეეძლო ჩემს შესრულებაში უხეშობისა და ვულგარულობის მომენტი.

მუშაობდით მეორე აქტის სცენაზე. უჩვეულო შლეფიანი გაბაში გამოწყობილი კატრინი (შეჩვევის მიზნით რეპეტი-

ციებს კოსტიუმებში გავდიოდი) ამთავრებს ცეკვის ამბითილს. ამ დროს მას აცნობებენ, რომ ნაპოლეონს აუღინცია დაუნდნია მისთვის, კატრინი გაოგნებულია, მაგრამ მაღელ გონზე მოდის. ამ სცენის, ცოტა არ იყოს, მეშინოდა. არ ვიცი, როგორ გამომეხატა მაყურებლისათვის დამაჯერებლად კატრინში მომხდარი გარდატეხა. მიულოდნელად, ხელი დავტაცე ჩემს შლეფს, მხარზე გადავიგდე და ამ პოზაში წარმოვთქვი სცენის დამაბოლოებელი ფრაზა: „ახლა კი — იმპერატორთან“. ეს შემთხვევითი მიგნება ძალიან მოსწრებული აღმოჩნდა. დარბაზში და სცენაზე მყოფ მსახიობებს სიცილი წასკდათ. შემდეგშიც, წარმოდგენებზე ეს ეპიზოდი მუდამ ტაშის თანხლებით მიდლოდა.

ეს შემთხვევა ერთადერთი როდია ჩემს პრაქტიკაში, სხვა როლებზე მუშაობის დროსაც ბევრ ახალს ვიძენდი რეპეტიციებზე. მე მიყვარს რეპეტიციები. შემიძლია დაუსრულებელი მუშაობა, რეპეტიციებზე გაცილებით უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს, ვიდრე სცენაზე. აქ არაფერი მაფერ-



ხებს, სცენა კი ერთგვარად მბოჭავს, ხელს მიშლიან დეკორაციები. უნდა გამოეტყველ, რომ სასოვადოდ არ მიყვარს დეკორაციები და ვერ აღვიქვამ მათ როგორც სპექტაკლის ორგანულ კომპონენტს. არ შემიძლია ვირწმუნო მათი რეაქცია. გაცილებით მიყვარს მონაწილეობა მაუდებით გაფორმებულ სპექტაკლებში. ისინი არ მაწვეებიან და მხოლოდ ფონის ფუნქციას ასრულებენ.

ჩემი ანტიპათია დეკორაციების მიმართ ჩაისახა კონსტრუქციული გაფორმებით გატაცების პერიოდში. კონსტრუქციისადმი თავიდანვე უარყოფილად განვეწყვი, რადგან მასში ვხედავდი ცხოვრებისეული სიბართის დამახინჯებას. იგი მანერვიულდება და მქანცავდა. თამაშის დროს უფრო მეტად უნდა გეზრუნა იმაზე, რომ სადმე კისერი არ მოგეტეხა, ვიდრე სცენური სახის ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. თეატრში ჩემზე ამ დროს ამბობდნენ: „თუ გინდათ იგი იხილოთ თავისი ნამდვილი სახით, დაესწარით რეპეტიციებს. იქ იგი მუდამ უფრო ძლიერი და შთამბეჭდავი, ვიდრე სპექტაკლებზე“.

არ მიყვარს აგრეთვე გრიმი. მუდამ თვითონ ვიკეთებ გრიმს და მაინცდამაინც არ ვცდილობ გარეგნობის შეცვლას. კარგად მესმის ელვონორა დუზესი, რომელიც მუდამ გრიმისა და პარიკის გარეშე თამაშობდა. ცხადია, სხვა საქმეა, როდესაც ისტორიულ პიესაში მონაწილეობ. აქ აუცილებელია პორტრეტული მსგავსების მიღწევა.

მუსიკა სპექტაკლში მიყვარს, იგი მიქმნის სათანადო განწყობილებას. მუდამ წინასწარ ვეცნობი სპექტაკლისა და, განსაკუთრებით კი, ჩემი სცენების მუსიკას.

მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა კიდევ ორი როლის შესახებ, რომლებზედაც მუშაობა დიდ სამქმნელთან დაკავშირებული აღმოჩნდა. ესაა ლედი მილფორდი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“) და ზეინაბი (სუმბათაშვილის „ლალატი“).

ლედი მილფორდის როლზე ვმუშაობდი 1935 წლიდან. სასოვადოდ, უნდა ითქვას, რომ პიესის ორივე მთავარი როლი — ლედიასი და ლედი მილფორდისა — „ჩემი“ როლებია და მათი შესრულება, განსაკუთრებით კი ლედიასი (იგი ხომ დადებითი გმირია!) ჩემი ოცნებაა იყო. მაგრამ ლედიასი როლისთვის სხვა გარეგნობაა საჭირო, ეს მე კარგად მესმის.

შილერის დრამის დამდგმელი მოღვრი ტენდენციის შესაბამისად ლედიას წარმოადგენდა, როგორც წმინდა სიყვარულის განსახიერებას, ხოლო ლედი მილფორდს — ვერაგობისას. ამ ჩანაფიქრის განხორციელებისათვის იგი არ მოერიდა მივლ რიგ კუბიურებს, — კერძოდ, იმ სცენებისა, სადაც ლედი მილფორდი ბუნებრივი ადამიანური ენემების მატარებელ პერსონაჟად გვევლინება. ცხადია, მსატკრულმა სახემ ამით დააარგა ცხოვრებისეული დამაჯერებლობა და თითქმის ნიღბად იქცა. მე ეს ძალიან მიძნელებდა მუშაობას, ვერაფრით მომეძებნა შესაფერისი ტონი, ბუნებრივი ინტონაცია. ვგრძნობდი, რომ ჩემი პერსონაჟი რამდენადმე ყაბი, გონებისეული გამოდიოდა. განსაკუთრებით დროს მივაგენი საინტერესო ხერხს: გადავწყვიტი განწყობილებისა და მეტყველების ინტონაციის იგლა გადმომეცა მარას რხევით. სწრაფ და იმპულსურ მოძრაობას ფერდინანდთან სცენაში უნდა გამოვხატა მისი გრძობის სიმურავალე, ხოლო მარას ნერვულ გაქევეას ლედიასთან საუბარში — სიძულვილი და ზოწლი თავისი მეტოქის მიმართ. ხანგრძლივი ვარჯიშით მე საკმარისად დავსვეწე ეს ტექნიკური ილეთი და მაშინ ვიგრძენი, რომ სახე გავიცლდა, უფრო ბუნებრივი, ადამიანური გახდა. თანდათანობით „შევედი“ როლში და შემდგომ მუდამ ინტერესით ვასრულებდი მას.

ზეინაბის როლი ა. სუმბათაშვილის „ლალატი“ ერთ-ერთი უსაცვარლესია ჩემს რეპერტუარში. ზეინაბის სახეში ჩემთვის ყველაფერი ახლობელი და გასაგები იყო. მე იგი განსაკუთრებული სიყვარულით მიყვარს. მალეღვებს მისი სახის ორივე ძირითადი მოტივი: სამშობლოსათვის თავდადება და დელობრივი გრძნობა. მოგეხსენებათ, „ლალატი“ არ არის ისტორიული პიესა, მაგრამ მასში გადმოცემული სახალხო და ადამიანური დრამა იმდენად ბუნებრივად არის დაკავშირებული მე-17 საუკუნის საქართველოს რეა-



ღურ ისტორიულ სინამდვილესთან, რომ პიესა უნებურად იძენს ისტორიული ქრონიკის მნიშვნელობას. მოქმედების განვითარების დინამიკურმა, დრამატული სცენების სიმძაფრე მას უაღრესად მომგვიბნა ხელს სწორედ თეატრში წარმოსადგენად. პიესის ქართულ ენაზე მთარგმნელმა ვ. ყიფშიძემ შეინარჩუნა დედნის მაღალი ლიტერატურული ღირსებები და დღეს „ალატკ“ ყველა აღიქვამს, როგორც ქართულ ნაწარმოებს.

მასხოს, რომ საქართველოში თავის უკანასკნელი ჩამოსვლის დროს 1922 წელს ა. სუქმათაშვილმა მოიხსინა. კ. ბალონტის ლექსებს გვითხვობოდი. მოგეწონა და მიხსნა, რომ მის „ალატკ“ მე მორიგეობით უნდა შევასრულო სამივე მთავარი როლი: გაიანე, რუჰაია და ზეინაბი. ამ სამი როლიდან მხოლოდ ზეინაბის როლის შესრულება მომიძლია, ისიც სულ ორიდღე წლის წინ.

რუსთაველის თეატრმა „ალატკ“ დადგა 1942 წელს. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად და ორი სეზონის მანძილზე იგი სცენას არ მოსცილებია. ყველა როლს არამდინიე შემოსრულებელი ჰყავდა. 1944 წელს სპექტაკლში მე შემოვიყვანე. უკვე ის გარემოება, რომ სპექტაკლი დიდი ხნის წინ იყო დადგმული და ხშირად გადიოდა სცენაზე, ერთგვარად მოქმედებდა ჩემზე. საზოგადოდ, არ მიყვარს „შესავლა“ უკვე ჩამოყალიბებულ სპექტაკლში. ჩვეულებრივია, ეს ნაქართვად, ზოგჯერ კი მოუხმადობლადც ხდება. შემთხვევა, რომელსაცაღ მე აქ ვყვიბი, არ შეადგინდა ამ მხრივ გამოწვევას. უნდა ვაღიარო, რომ დღემდე არა ვარ კმაყოფილი საკუთარი თავით. ჩემთვის ძალზე ახლობელია ზეინაბის განცდები, მაღიჯებს მისი ადამიანური დრამა, სპექტაკლში კი თავს ისე ვგრძნობ, თითქოს რაღაც დამრჩა სათქმელი და გასაკვირებელი, ვერ ვიცი რაღაც შენაგინი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. გარკვეულად მიძლია ხელს შემსრულებელთა შემადგენლობის სიტყვლეც. ძალაუნებურად მისდებდა საკუთარი როლის ქარვის შეცვლა, მიზანსცილების შეფარდება პარკინიორის თამაშისადმი. ამას კი ჩემს შესრულებაში შემოაქას ქაოტურობა და საბოლოო ჯამში უარყოფით გაგლიწან ახდენს მასზე, დარწმუნებული ვარ, რომ ზეინაბი შემოძლიბოდა ყოფილიყო ერთ-ერთი საუკეთესო როლი ჩემს რეპერტუარში, მაგრამ ვერტყობოთ ის ასე არ არის.

ჩემი უკანასკნელი გამოსვლა დრამატულ ამბულაში მოხდა გასულ სეზონში (1945-1946 წწ.) — კრუჩინინას როლი (ა. ოსტროვსკის „უღანაშაულოდ დამნაშავენი“). პიესამ დამიტირებს არა მხოლოდდრამატული ეფექტებით, არამედ გინორული დედობის პრობლემით, რომელიც თანაბრად აღიქვამს ყველა ეპოქის ადამიანებს. სხვათა შორის, ამ მხრივ რაღაც საერთოს ვხედავ ზეინაბისა და კრუჩინინას სანცხებს შორის. ორივე იტანავება შვილთან განსწორებით, იმ განსხვავებით, რომ ზეინაბმა იცის — მისი ვაჟი ცოცხალა, კრუჩინინა კი სასოწარკვეთით ეძებს თავის დაკარგულ ვაჟს. მე მიზიდავს კრუჩინინას არარეველებრივი სიმტკიცე, მხოლოდავ მისი მორალური იერი, აღტაცებას მგვრის მისი სულიერი სისხტეცავე.

როლზე მუშაობისას მთავარ მიზნად ვისახავდი თავიდან

ამცილებინა სენტიმენტურობა და მეთამაშნა ნებისმიერი ანი ქალი, რომელიც თავისი ადამიანური უფლებებისათვის იბრძვის. ჩემი გვირის სახის განვითარების კულმინაციური მომენტი სცენა გალჩინისასან, როდესაც კრუჩინინა შიტიკობს, რომ მისი ვაჟი ცოცხალა. სპექტაკლის დამდგმელის ა. ვასაძის სურვილით ჩვენ ეს სცენა ნაწილობრივ გადაავაკეთეთ. პიესაში დაუძლეველი გალჩინა დასახვეინებლად გამჭვთა მუხრანე თიასში. სპექტაკლში კი გადავწყვიტეთ გალჩინა სცენაზე დაგვეტოვებინა: ორი ნახევრად შემოილიო ერთი, ერთი — სიბერით, მეორე კი — მულევაჩრებით, ერთმანეთისადმი მიპყრობილი თავილებით, ჩვენის ფიქრით. უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა მაცურებელზე. მართლაც, მაცურებელი ძალზე მგრძნობიარედ რეაგირებდა ამ სცენაზე. კრუჩინინას განცდათა ფსიქოლოგიური ხაზი მე მიმყავდა გრივარი მუროვისადმი დამოკიდებულების რაკურსში. მასთან დიალოგებში სხვადასხვა ინტონაციას ვიყენებდი — მხურვალე ვედრებიდან სარკასტულ სიცილამდე — მაგრამ მთელი როლის „გამჭოლ“ გრძნობას შეადგენდა მოტყუებელი ქალის სიძულვილი თავისი შემცდენის მიმართ, მის კულმინაციურ წერტილს კი — კრუჩინინას ფრაზა: „ჩვენს ბედნიერებას მამას არ გავუწაწილებთ“.

რეჟისორმა აკაკი ვასაძემ კარგი მიზანსცენა მოძებნა ფინალისათვის. ამაყი და ბედნიერი კრუჩინინა გულში იკრავს შვილს, თითქოს ემინაო ხელახლა არ დაკარგოს თავისი საუჯრე და სახეგაბრწყინებელი გადის სცენიდან.

ამით ვამთავრებ ნაუბრს ჩემი მუშაობის შესახებ დრამატულ როლებზე, ყველა ეს როლი მიყვარს.

ჩემი არტიტული გზის მანძილზე არაერთი კომიკური როლი შემსრულებია. მიყვარს საზოგადოდ კომედებით — ვისინებ დრამატული განცდებისაგან. დრამაში მონაწილეობის შემდეგ თავს დაქანცულად, გადაღლილად ვგრძნობ. ვცდილობ განმარტობას ან ქალაქკარეთ გახვლას, დამე ცუდად მძინავს. მეორე დღესაც კი ვგრძნობ დაღლილობას. კომედის შემდეგ კი — ჩვეულებრივ აფორიაქებული, სასიამოვნოდ აღტკინებული ვარ ხილმე. ჩემი კომიკური რეპერტუარიდან, მაღამ სან-ჟენის გარდა, დაკარგულე მის ჰევს („ვიმბორის თინაზუბი“), დიანას (ლოპე დე ვეგას „სხვისთვის სულილი, თავისთვის ჭკვიანნი“), მამაევას (ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენი შევდებ“).

მოკლედ შევირდები ამ უკანასკნელზე. 1944 წელს რუსთაველის სამხატვრო ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ა. ოსტროვსკის შემოსენებული კომედის დადგმა. რეჟისორმა როდოს ალექსიძემ მე დამავალა კლეოპატრა ლოვინა მამაევას ღილის შესრულება.

წავიკითხე პიესა. არც პიესამ და არც მამაევას როლმა არ მოახდინეს ჩემზე შთაბეჭდილება. მომეწონა მხოლოდ პიესის ენა, დიალოგების სიმზღაქე, მამაევას სახე არ მიქმონდა, არ ვიცილდ სიდან დამეწყო. გადავწყვიტე მიმეხსავებინა მამაევას სახე რომელიმე ნაცნობ ადამიანისათვის. თავდაპირველად არც ამან მიშველა. ბოლოს მომავინდა ერთი ქალი, რომელიც დიდი ხნის წინ კისლოვოდს-



მი მენახა. იგი უკვე ასაკში იყო შესული, მაგრამ საკმარისი წარსატებით თამაშობდა ახალგაზრდა ქალის როლს. მომაგონდა მისი „მოტიკვიკვი“ მეტყველება, გრაციოზული მოქარობა; მისი ვარდისფერბაფთიანი საშინაო ხალთი. გადააწყვიტეს წიწვოდ ამისთანა ხალთში შეთამაშე მეორე მოქმედება. მხატვარი დიდხანს წინააღმდეგი იყო, რადგანაც ას სენაში მამაკე სტუმრებს იღებს, და, ამდენად, ხალათში ყოფნა შეუფერებელია, მაგრამ შემდეგ დაძაბა ჩემს სურვილს და, მაგონი, ამით არაფერი წავაგეო. ამ როლში მე მთლიანად გარეგნული იერიდან გამოვდიოდი. მალე შევისისხლობროც როლი და მხარაურად და უშუალოდ ვთამაშობდი.

კიდევ ერთ როლში გამომადგა ცხოვრებიდან მიღებული შთაბეჭდილება. შავლა დადიანის პიესაში „ნაპერწყლიდან“ ვთამაშობდი ფატის — მოხელის ცოლს. როლი ემიზოლური. ფატე დიდი წარმოდგენისა საკუთარ თავზე, მტკადა სურვილად და თავკარიანი არსებობდა. უყვარს თავის მოწონება ფრანგული სიტყვების ჩართვით. ფატე რაღაცით მაგონებდა ჩვენს კლასის დამრიგებელ ქალს. გადავწყვიტე ყველაფერი ამ უკანასკნელისაგან ამელო: თმის ვარცხნილობა, ლორწები, ფრანგული „პრონოსი“.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა კიდევ ერთ ჩემ კომედიურ როლზე. ეს არის სულიკო კ. კალაძის „ერები დამის კომედიამი“, რომელიც დ. ალექსიძემ თმის წლებში დადგა ჩვენს თეატრში.

მოქმედება მიმდინარეობს რაჭაში სამამულო თმის პერიოდში. სულიკო ახალგაზრდა კოლმეურნე ქალია. იგი გაემრჯე, მხარაური და კეთილშობილი ადამიანია. მისი მამარი — კოლმეურნეობის მონაგარიმე (მის როლს შესანიშნავად ასრულებდა ა. ვასაძე) უზარალო, რიგითი, ერთგვარად შესულეული ადამიანია. სულიკო ცდილობს გემირთლი სული შთაბეროს მას და აღწებს კიდევ თავის მიზანს. ამ როლში მე თავიდანვე ლაღად ვიგრძენი თავი, ორგანულად შევერწყე ჩემს პერსონაჟს და მისი ცხოვრებით ვცხოვრობდი; როლი რაჭულ დიალექტზე მიმყავდა, რაშიც ვხედავდი არა თვითმიზანს, არამედ სასუალებას სახის გასწინისთვის.

ამ როლში, ყველაფერთან ერთად, მიზიდავდა პიესის სალექსო ფორმა. ჩემს მუშაობაში დიდად დავსული ვუთმობდი დეკლამაციის საკითხს, ვიცილობდი ამგვარებინა ლექსის რიტმული კითხვა სცენურ მოქმედებასთან. ეს იყო ახალი და რთული ამოცანა, როგორც პირადად ჩემთვის, ისე მთელი კოლექტივისათვის.

საზოგადოდ, ძალიან მიყვარს თამაში ლექსად დაწერილ პიესებში. პოეტური ფორმა დამატებით მხატვრულ სტიმულს მძალეებს. ლექსი უფრო ემოციური და ამაღლებულია. ლექსში უკეთესად ვგრძნობ რიტმს, ხოლო რითმა ნების არ გაძლევს დაარღვევი სიტყვათა განლაგება. ატორის ტექსტის მიმართ სათუთი დამოკიდებულება კი მსახიობის ერთერთ აუცილებელ მოვალეობას შეადგენს. ტექსტის დასწავლას არ ვუთმობ სპეციალურ ადგილს ჩემს მუშაობაში. ჩვეულებრივ, ტექსტს შეუმშენებლად ვიმასხვრებ როლის საერთო მხატვრულ დაუფლებასთან ერთად. საზოგადოდ,

დიდ მიზნეულობას ვანიჭებ ტექსტის ენობრივ მართვით მუშაობას. ჩვენ უმეტესად გვიხდება ნათარგმნი პიესების შესრულება. მუდამ ვცდილობ, თუ ეს შესაძლებელია, დედანში წავიყვანოთ პიესა. ძალიან მიყვარს ა. ოსტროვსკის ენა, იგი ისეთივე მკაფაო და სხარტია, როგორც მისი მხატვრული სახეები, ხოლო დიალოგები — ბრწყინვალე.

საპექტაკლის დღეს დილიდან აფორიპეტულად ვგრძნობ თავს. განსაკუთრებით კი იმ დღეებში, როდესაც დრამატულ როლს ვთამაშობ. ადვილს ვერ ვპოულობ, არ მშორდება ფიჭვი საპექტაკლის ფესასე. მთელი ჩემი ყურადღება კონცენტრირებულია როლზე. სხვა არაფერზე არ შემიძლია ფიჭვი, ვერ ვიტან, როდესაც საპექტაკლის დღეს მიიღება რეპეტიციების გავლა. ამ დროს ძალიან გაფხატული ვარ და რეპეტიციის არავითარი სარგებლობა არ მოვესიჩქვები. რაღაც ამის მსგავსი მემართება ხოლმე ახალი როლის მზადების პერიოდშიც. იგი მთლიანად შთანთქმავს ჩემს ყურადღებას და სურვილს მიკარგავს სხვა როლების შესრულებისათვის. ახალი როლი ჩემს ცნობიერებაში დროებით დეკლარის ყველა დანარჩენს.

თეატრში, ჩვეულებრივ, მოვედივარ დიდი ხნით ადრე საპექტაკლის დაწყებამდე, სახლში ყოფნა მიჭირს, ვისწრაფო ჩქარა ჩავერთო თეატრალურ ატმოსფეროში. საკმარისია გადავიცვა ჩემი თეატრალური კოსტიუმი, რომ მთლიანად გარდავიცვა ჩემი და ჩემი გმირის განცდებით ვიწყებ ცხოვრებას.

კოსტიუმი მიყვარს. განსაკუთრებულად შევიგრძნობ მას. კოსტიუმი, მისი ფერი და სტილი თავისებურ განწყობის მიქმნის. გაცილებით უკეთესად ვგრძნობ როლის ამ თუ იმ მომენტს კოსტიუმის ფერის შესაბამისად. აღუბათ, ამით აიხსნება ის, რომ არ მიყვარს მთელი როლის თამაში ერთსადაიმთვე კოსტიუმში.

უნდა ვთქვა, რომ მარგარიტა გოტიეს როლზე მუშაობის პერიოდში ერთადერთი, რაც მანიჭებდა სიხარულსა და სიამოვნებას, კოსტიუმი იყო. თეატრის მხატვარმა შესაღებლად მიჩინია ჩემი სურვილისამებრ გაეფერადებინა მარგარიტას კოსტიუმები. ისინი მართლაც და ძარმონიულად შეესატყვისებოდნენ ჩემს განწყობილებას ყოველ აქტში. ღია ფერები მარგარიტას ცხოვრების ბედინად დღეებში (ლურჯი — მეორე აქტში, მწვანე — აგარაკზე) ახალ შეგრძნებას მაძლევდა. მეჯლისის სცენაშიც, სადაც მჭმუნარე მარგარიტას აღარაფერი ახარებს, მისი ძაძებივით შავი ტრალეტი აგრეთვე უწყობდა ხელს სათანადო ემოციური ტონალეობის შექმნას.

მიყვარს დიანას კოსტიუმები ლოვე დე ვეგას კომედიამი „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“. ისინი ისეთივე მხარაურები არიან, როგორც თვითონ დიანა, განსაკუთრებით ღია წითელი კოსტიუმი მეჯლისის სცენაში.

კოსტიუმები (განსაკუთრებით სტილიანი) მეხმარებიან როლის პლასტიკური ნახატის შემუშავებაში. კოსტიუმებთან უკეთ „შესრულის“ მიზნით უკვე რეპეტიციებზე ვატარებ მათ. ასე იყო დიანას როლზე მუშაობის დროს, ასევე — შვინაპიას და ქეთევანის („სამშობლო“) როლების მზადების პერიოდშიც.

სპეციალურ მუშაობას შესტეზე არ ვაწარმოებ. ისინი ბუნებრივად იბადებიან და თან ახლავან ჩემს მენტყველებას. არასოდეს არ ვცდილობ რაიმე ეფექტური შესტების გამოთონებას, ამიტომ არც ვამოწმებ ჩემს შესტიკულაციას სარკის წინ.

სცენაზე, როგორადაც არ უნდა ვიყო როლით გატაცებული, არასოდეს არ ვკარგავ თვითკონტროლის გრძნობას. მუდამ ვუსმენ საკუთარ თავს, ვხედავ და ვგრძნობ პარტნიორს. უმალ გადმოვწყემა ხოლმე დარბაზის განწყობილება. მაყურებელთა რეაქციის მიხედვით მე ვგრძნობ თუ როგორ ვთამაშობ, ვგრძნობ ძლიერ და სუსტ მხარეებს ჩემს შესრულებაში.

როდესაც კრუჩინინას როლს ვამზადებდი, ძალიან მაშინებდა ერთი მომენტი — კერძოდ კი კრუჩინინას პალუცინაციის ეპიზოდის მიზანსცენა, რომელიც მე თვითონ მოვიგონე. რეპეტიციაზე ა. ვასაძემ მომიწონა იგი. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული არ ვიყავი, თუ როგორ მიიღებდა მას მაყურებელი, გაიგებდა თუ არა ჩემს ჩანაფიქრს.

მეორე აქტში კრუჩინინა უყვება დუდუკინს თავისი მშობლის — გრიშას შესახებ, რომელაც ჩვილ ბავშვობაში გარდაიცვალა. ამ სცენას მე ვატარებდი მუხლმოდრეკილი და ხელეზგაწვდილი უხილავი ბავშვისაგან. პრემიერის დღესვე ჩემი შიში გაიფანტა. დარბაზში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მე ვიგრძენი, რომ მაყურებელმა მიიღო ეს სცენა.

მუდამ ვცდილობ თანაბრად ვითამაშო. არასოდეს არ ვუქვემდებარებ და არ ვუფარდებ ჩემს მხატვრულ გაგებას მაყურებლის გემოვნებას. პირიქით, ვცდილობ ავამალო ეს უკანასკნელი და მივუასლოვო იგი პიესის ავტორის, რეჟისორისა თუ პირადად ჩემს ჩანაფიქრს.

ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, მომბეზრებულა რომელიმე საყვარელი როლი; შეიძლება მომბეზრდეს მხოლოდ ის როლი, რომელიც თავიდანვე არ მიყვარს, მაგალითად, შემიძლია მოვიყვანო ქეთევანის როლი და ვით ერისთავის დრამაში „სამშობლო“, რომელიც სარდუს „ფლანდრიას“ გადმოქართულებულ ვარიანტს წარმოადგენს, ხოლო ქეთევანის პროტოტიპს — დოლორესი. მიუ-

მოსწავლეთა თვითმოქმედება

ცეკვა „ხორბუმი“. თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლის შესრულებით.



თეატრი

ხედავად იმისა, რომ სპექტაკლი რეჟისორულად საინტერესოდ იყო მოფიქრებული ა. ვასაძის მიერ და მისი სახით მე, ამავე დროს, შესანიშნავი პარტნიორიც მყავდა, ქეთევანის როლს ყოველგვარი გატაცების გარეშე ვთამაშობდი. როლი თავიდანვე არ მომწონდა და სულ მალე მომბეზრდა იგი. არც ვცდილვარ ამ როლის გაყოცხლებას.

ჩემი პირადი ადამიანური განცდები და შთაბეჭდილებები დიდ გავლენას ახდენენ ჩემს თამაშზე. იყო კი დრო, როცა „იმუნტიტი“ მქონდა გამომუშავებული. 1930 წელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი სეზონს ხსნიდა კულიშის კომედით „კომუნა მინდვრად“. მე დავალბებული მქონდა უკრაინელი ქალიშვილის მატრიონკას სახასიათო როლი, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცეკვებს. პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა მამაჩემი. სპექტაკლის დღეს იგი დავკრძალეთ. ზედმეტი იყო ფიქრი პრემიერის გადატანაზე. პირდაპირ სასაფლაოდან მომიხდა თეატრში მოსვლა. როგორ მოვიკრიბე ძალები იმ მიმინდვრისთვის, რომელიც როლის შესასრულებლად, ახლაც არ ვიცი. მახსოვს მხოლოდ, რომ სპექტაკლის შემდეგ კ. მარჯანიშვილმა მამობრივად დამიყვავა და შესრულება მომიწონა.

ხუთი წლის წინ „მარგარიტა გოტიეს“ რამდენიმე სპექტაკლი დავითხვა ჩემი სიძის — პიეტ ვალერიან გაფრინდაშვილის გარდაცვალებას. ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით, მე მიყვარდა იგი, როგორც ადამიანი, დიდად ვაფასებდი მის შემოქმედებას. მისმა სიკვდილმა ძალიან დამაღონა. მარგარიტას როლის შესრულებისას იმ ნაღვლიან დღეებში ვგრძნობდი, რომ ჩემი თამაში ბევრად უფრო დრამატული იყო, ვიდრე ჩვეულებრივი.

იმ რეჟისორებიდან, რომელთა ხელმძღვანელობით მე მიმუშავებია, ცხადია, პირველ ადგილზე დავაყენებ კოტე მარჯანიშვილს. მის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რუსთაველის თეატრში მუდამ ინტერესით ვმუშაობ ა. ვასაძისთან და დ. ალექსიძესთან. ა. ვასაძე მოაზროვნე რეჟისორია, რომელიც ნახულობს საინტერესო ფორმებს თავისი შთანაფიქრის განხორციელებისათვის. დ. ალექსიძე ფაქიზად გრძნობს კომედიას. მასთან მუშაობა სახალისოა. კარგი მომენტები დამრჩა ბ. გამყეველთან თანამშრომლობის შესახებ.

ჩემი შემოქმედებითი გეგმების შესახებ ლაპარაკი მიჭირს. ისე კი ვოცნებობ განვასახიერო სცენაზე: მუღლა, ელექტრა, კლეოპატრა, ფედრა, მარია სტუარტი, ორლეანელი ქალწული. რუსული დრამატურგიიდან — ანა კარენინა, კატერინა („ჭიქა-ჭიხილი“), ნასტასია ფილიპოვნა. ყველა ეს როლი მალეღვებს თავისი მასშტაბურობით, უჩვეულო მანერებით, ტრაგიკული პათოსით. არ ვგარკავ იმედს, რომ დაიწერება პიესა თამარ მეფეზე და განა მოითქვანება ქართველი მსახიობი ქალი, რომელიც არ ოცნებობდეს ამ დიდებული სახის განასახიერებაზე.

კომედიური როლებიდან დიდი სურვილი მაქვს შექსპირის კატარინას თამაშისა. რამდენი სიცოცხლე, მხიარულება და სიხალისეა ამ დუბურებელ პერსონაჟში.

1946 წელი.

სოჟოკლას

«ანტიგონე»

ქუთაისის თეატრში

ელგუჯა გუნაშვილი

დამდგამელი რეჟისორი — თამაზ მისხი,
მხატვარი — შურაჲ შურაგანიძე,
კოვოზიტორი — ოთარ თაბათაიშვილი.

ქლასიძე პიესებზე უარს თქმა თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი მტიკინეული საკითხია. წლების მანძილზე ქართული თეატრის რეპერტუარში აღარ ჩანან შექსპირი, შილერი, ლოპე დე ვეგა, ოსტროვსკი, გოტიე, გიორგი ერისთავი, ყაზბეგი და სხვა. ეს არ არის წმინდა ქართული მოვლენა, არამედ მსოფლიო თეატრალური ცხოვრების ახალი იმით ხსნიან, რომ თითქმის მაყურებელი დაიკლავა და ეპიკუროზობის თავი აღარა აქვს, მაგრამ მაყურებელი არაფერ შუაშია. მთავარი აქ მანიქ კლასიკური ნაწარმოებების განხორციელების სწორი პრინციპების უკმარისობა უნდა იყოს. თუ რეჟისორს აღმოაჩნდა სიხალისის უნარი და თამამად მოვიდა კლასიკას, თუ მან აღმოაჩინა კლასიკის განხორციელების სწორი მეთოდი, მაშინ მაყურებელიც იფიქვებს გერტე ვოლფმულ „დადლილობას“ და თეატრში მო-



სცენა სპექტაკლიდან
„ანტიგონე“

დის. მაგრამ, თუ რეჟისორი ამ მხრივ ვერაფერ ახალს ვერაქმნის და ძველი, გატყეპნილი გზით მიდის, მაშინ მაცურრებული თეატრს დუმილით უვლის გვერდს.

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ კლასიკის განხორციელებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ დიდი მსახიობები აღარ მოიძებნებიან. მაგრამ განა ისეთი შემთხვევები ცოტაა, როცა საკმაოდ დიდი მსახიობი თავის თავსაც კი ვერ პოულობს სცენაზე? ასეთ დროს თეატრი განიცდის ჩავარდნას, მაგრამ ამასი ბრალი არ მიუძღვის მსახიობს. ასევე უაპელაციოდაა ბრალდადებული მაცურრებელი. აი, რას წერს ამის თაობაზე გ. ტოვსტონოვოვი: „მთავარი მიზეზი კლასიკის გაქრობისა თეატრის სცენიდან — თვით თეატრშია და, როგორც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, თეატრი ჩავარდნას განიცდის იმიტომ, რომ კლასიკოსებს დგამს, როგორც კლასიკოსებს“. მაშ როგორი უნდა იყოს კლასიკის განხორციელების პრინციპები? გ. ტოვსტონოვოვის თქმით: „ჩვენ ძველი პიესა ისე უნდა წავიკითხოთ, როგორც სრულიად ახალი, მხოლოდ და მხოლოდ გუშინ დაწერილი. ჩვენ კლასიკური პიესა ისე უნდა დავდგათ, როგორც თანამედროვე“.

ყველა ეს პრობლემა თავის დროზე იდგა რეჟისორ თამაზ მესხის წინაშე, როცა სოფოკლეს „ანტიგონეს“ განხორციელება გადაწყვიტა ქუთაისის ლაღო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

სოფოკლეს ტრილოგიის მშენებლის — „ანტიგონეს“ განხორციელება მრავალ გამოცდილ რეჟისორს საოცნებოდ ჰქონია. იგი ბევრის წყენისა და სიხარულის მიზეზიც გამ-

ხდარა. სიხარული კი მას მაშინ მოჰქონდა, როცა „ანტიგონეს“ ახლებურად კითხულობდნენ და ცენტრალური გმირის სახეს თანამედროვეობის თვალთახედვით წარმოიღვენდნენ.

რეჟისორ თამაზ მესხის მუშაობას და ალექსიძის სპექტაკლები უძღოდა წინ კივვსა და ლენინგრაღში და თუმანიშვილის მიერ დადგმული ჟან ანუის „ანტიგონე“ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. ალექსიძემ და თუმანიშვილმა „ანტიგონეს“ ორი სხვადასხვა სახე შექმნეს. თუ ალექსიძის „ანტიგონე“ იყო ტრადიციულობაში გამარჯვება, თუმანიშვილის „ანტიგონე“ თანადროულობას ზეიმი იყო. ასეთი ორი დიდი წარმატების შემდეგ, თითქოს, ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა რეჟისორ მესხს, მაგრამ მან სრულიად სხვა ანტიგონე შემოგვთავაზა. მან ახალი ანტიგონე აღმოაჩინა, ჩვეულებრივი ანტიგონე; სასვე ყოველდღიური სიხარულითა და ტკივილებით; ნაზად შეყვარებული, პირიშუე ანტიგონე.

ანტიგონეს სახის გასახსნელად სხვადასხვა რეჟისორი სხვადასხვანაირ დამოკიდებულებას იჩენდა სოფოკლეს მიერ დახატული ანტიგონეს სიკვდილის სცენისადმი. უმთავრესად კი ყველა „ღირსეულ სიკვდილად“ კითხულობდა მას. თ. მესხისთვის ანტიგონეს სიკვდილი არ არის მხოლოდ „ღირსეული სიკვდილი“, ესაა „ლამაზი სიკვდილი“. რეჟისორს თითქოს უნდა გვითხრას, რომ ამქვეყნად სიყვარულისთვის ყველაფერს ლამაზად უნდა აკეთებდეს ადამიანი. ანტიგონე, რომელიც უსაზღვროდ ერთვებოდა თავისი მოვალეობისა, მაცურრებელს არწმუნებს, რომ

იგი სიყვარულისთვის გაჩნდა და შემდეგ უჩვენებს როგორი უნდა იყოს სიყვარულისთვის დაბადებული ადამიანი. თამაშ მესხი შეეცადა ამგვარი ანტიგონეს სახით შეეხსენებინა თანამედროვეთათვის, რომ მხოლოდ სიყვარულით გაციკროვნებულ ადამიანს შეუძლია გმირობა ჩაიდინოს და აუჯანყდეს თავისი დროის მემწიანობას. რეჟისორმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორი ძალა: გამძვინვარებული მოროტება და სათნოება-სიკეთე. სათნოება უჯანყდება ბოროტებას და მის მორევში იხრჩობა ანტიგონეს სახით, მაგრამ ის ლამაზი სიკვდილით კვდება, განუმოურებლად იქცევა ეს სიკვდილი და თვით ზეიადი კრონი — სათავე ყოველგვარი ბოროტებისა, დამარცხებული ეცემა ანტიგონეს ლამაზი სიკვდილის წინაშე.

ანტიგონეს როლში ც. მესხი ვიხილეთ. პირველი, რაც მან თქვა, ეს იყო: „მე მისთვის გავჩნდი, რომ მიყვარდეს და არა მძულდეს“. ეს სიტყვები ნაზად, მაგრამ მომზუსხველად გაისმა. ამ სიყვარულის მღალადებლად მოვიდა ანტიგონე-ც. მესხი, წმინდა, უცოდველი, მშვენიერი. ც. მესხმა ახალი ანტიგონე მოიყვანა ქალაქიდან. თითქოს ამ ანტიგონემ ფხვით გამოიარა ბალი, აკროპოლის სვეტთა კარი და სანამ თეატრში შევიდოდა, დიდი მოედნის სიმსუბუქე და ძველი ბერძნული არქიტექტურის მშვენიერება შეიგრძნო. აქ ყველაფერი ნაცნობი, მშობლიური და განუმოკრებელი იყო მისთვის. მან იცის, რომ დღეს დასჯიან, მოაშორებენ ამ ქალაქს, ამ მოედანს და პროპილეისის წარმტაც ქმნილებას ველარასოდეს ისილაგეს, ოცნებებში წასული ველარასოდეს ისეირნებს ამ ხეივანში ჰემონთან ერთად. იგი შევიდა თეატრში და თან მოიტანა 25-საკუთრის იხტორის სურნელი. ანტიგონე-ც. მესხი როგორ შეელევა ყველაფერ ამას. მას არ უნდა სიკვდილი. ეს მისი

საქმე არ არის. ის ნაზად აღუდგა ბოროტებას და გმირობას. თავის გადაწყვეტილებაში არ ეჭვობს, იცის, რომ ძმის ცხედარი უნდა დამარხოს და რომ ამისთვის სიკვდილით დაისჯება, მაგრამ ის, თითქოს, სხვა გამოუცნობს განიცდის და ეს მაყურებელსაც გადაედება: არის კი თვითონ ის ადამიანი, რომელსაც შეეძლო თავის თავზე აედო ამგვარი ტვირთი? ის გაუთავებლად უმტიცებს საკუთარ თავს, რომ ეს ეჭვი უსაფუძვლოა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეჭვი გაჩნდა. ამგვარი ეჭვის აღძვრა მაყურებელში იმიტომ იყო საჭირო, რომ იგი დაარწმუნოს ერთში, მას სიცოცხლე უყვარდა, თუმცა რწმენის ერთგული კვდება. მიძიმე ტკივილითაა სახვე მისი გოდება:

„ჰოი, ქალაქო სამეფოვო და სახლო ჩემო!
ჰოი, თქვენი ღმერთონი წინაპართა, სამშობლოს მიწავ!
აი, მივდივარ... მეც მივეცევი ჩემს უნებლიეთ...
მე, უკანასკნელ შოამოქვალს თქვენი მზრძანებლას, —
რა ტანჯვას ვიტან, ვიხან, რისთვის?... მხოლოდ იმიტომ,
რომ სათნოების ვიყავ მსახური.“

ეს სიტუაცია ძალაუნებურად გვაგონებს ალუდას გამოთხოვებას თავის სახლ-კართან: „ერთხელ მოუწდა ალუდას, ერთხელ მობრუნვა თავისა...“

რეჟისორმა ორი ძირითადი პლასტი შექმნა ამ ტრაგედიაში: ანტიგონე — სათნოება, სიმსუბუქე და პაერონეზა, სიყვარული და თავდადება, წყურვილი მარადიული სიხარულისა და სიცოცხლისა... კრონი — მრისხანე მზრძანებელი, პატივმოყვარეობა და აღუვსებელი ტირანის სული, დამძიმებული კონსერვატიზმი, ტლანქი და უმობრალი, უსიცოცხლო სხეული. მსატვარმა მურაზ მურვანიძემ ბრწყინვალედ მიგვანიშნა ყველაფერ ამაზე, როცა კრო-

სცენა სპექტაკლიდან
„ანტიგონე“





ნის სასახლე და მისი მცველნი პირდაპირი ტრაგიკული იერის ნიღბებით წარმოადგინა მაცურებლის წინაშე. ეს სურამაზარი ლოდი ანტიგონეს სიყვარულისა და მისი უსტიხ სხეულის გასაჩინებად აღძრულა.

ანტიგონე ხედავს, რომ ყველაფერი ბოროტი მუშტივით შეკრულა, მოინდომებს, თავი დააღწიოს ამ უბედურებას, მაგრამ მის წინ მძიმე ფარების ყრუ კედელი აღიმართება, რომლის იქით დღას კრეონი თავისი ცივი გულით. ანტიგონე ტირის. ის გრძნობს, რომ ამქვეყნად უნუგეშობა სუფევს და სასოებას იმქვეყნადღა ხედავს. იგი ბავშვურის უცოდველობით ყვება, როგორი იქნება მისი შეხვედრა თავის საყვარელ სულებთან:

„ერთიღა დამარჩა სახობად, რომ სიყვარულით მომიღებს მამა, რომ ვიქნები მე სასურველი შენთვისაც, დედაც, და შენთვისაც, ძვირფასო ძმალა...“.

ანტიგონეს ბავშვური სიყვარული ძმისადმი მშვენივრად გახსნა რევისორმა კრეონისა და ანტიგონეს შეხვედრის სცენაში. კრეონი უმტკიცებს, რომ მან მოლაღატე დამარჩა, მაგრამ ანტიგონე თითქმის იგოწყებს თავის მდგომარეობას და ბავშვური სიმართლით იცავს საკუთარ საქციელს. უკერძო მას ესმის კრეონის მრისხანედ ნათქვამი:

— „მამ ჩადი ქვესკენებს, მგვდრებს ჰადესში ესიყვარულიც! — იმავე წამს ჩაუქრება ც. მესხს თვალები და შეძრწუნებული ბავშვის შიით გადაუღვლის სახეზე, ის საოცრად დაპატარავებული გაჩერდება უზარმაზარი საქმროლო ფარის წინ და იქმნება შთაბეჭდილება, რომ საცაა უნდა ატირდეს და მაცურებელს ეს ცრემლებად გადაედება.“

თამაშ მესხის უშუალო მიგნება ის იყო, რომ მან შექმნა თანამედროვე ანტიგონეს სახე, რომელიც თქვა, რომ ცხოვრება გრძელდება. ანტიგონე-ც. მესხი ისე შემოდის სცენაზე, როგორც ჩვენი მასლობელი და რომელმაც წინასწარ არაფერი იცის, თუ რა მოხდება. ეს სახე თანდათან ტრაგიკული ხდება და, მას შემდეგ, რაც უდიდეს განწყობილად მოიტანს, კვდება. ც. მესხის ანტიგონე ესაა ყოველდღიური ტივილებითა და სიხარულით სავსე ადამიანი... იგი არ არის რაღაც განსაკუთრებული, სხვა სამყაროდან მოსული არსება, ესაა ჩვენი თანამედროვე ადამიანი.


ც. მესხის მიერ შექმნილი იერსახე იმიტაც განსხვავდება თავისი წინაპრებისაგან, რომ მას წინასწარ არ სჯერა თუ ბედისწერის განაჩენი გარდევალა. ის თანამედროვე ადამიანია, რომელსაც ღმერთები ზეციდან კი არ უშუად-

ბენ ტრაგედიას, არამედ ის აქაა, დედამიწაზე, ადამიანებს ქმნიან და სურს ადამიანებს უთხარს, რომ ასე არ შეიძლება, რომ კრეონი ატომის ღმერთია და ქვეყანას ადღებდეს, თუ დროზე არ აღუდგა კაცი ამ ბოროტებას.

როცა ბოროტება აზვითდა, როცა ანტიგონე წაიყვანეს აკლდამაში ჩასაკეტად, როცა ყველაფერი უნდა წაიღებოს, გამორჩნდება მისანი ტირისია, რომელსაც წინ პატარა ბიჭი მოუძღავს. სხვათა შორის ეს არაა „მცირე ზომის მსახიობი“ ბავშვის შარვალში გამოწყობილი. არა, რეჟისორს რომ უფრო ნათლად ეთქვა მაცურებლისათვის, რაც მოხდა, მან მართლაც შეიღიღო წლის ბიჭი შემოყვანა სცენაზე. ამით რეჟისორს თითქოს სურს დაძრული ბოროტების ლოდი შეაჩეროს და ქვეყანას უთხარს — თუკი არსებობს ასეთი უნაზკობა, როგორც ბავშვია, მაშ რაღა მოგივადათ? მაშ რატომ არ გადაყრით იარაღს? რატომ ხდით ამ უმანკო ბავშვებს თქვენი კაცთმოძულეობის მოწმეებად და რატომ უწამლავთ მათ მომავალს? პატარა ბიჭი შემკრთალი ნაბიჯებით ტოვებს ერთხანს მისანს და კრეონის მცველის ფარის წინ გაჩერდება, რომელსაც ტრაგიკოსის ნიღბია გამოსახული. ის შემკრთალი უყურებს ბავშვის თვალისთვის გაუცნობიერებელ ბოროტებას.

ბერძნული კლასიკური ტრაგედიის არის ისაა, რომ ყველაფერი ბედისწერის გამოა განწირული და განწირულის დაღუპვას ვერაფერი შეაჩერებს. რეჟისორმა თამაშ მესხმა ბედისწერის საკითხი თავისებურად ახსნა — ბედისწერა ღმერთებისგან კი არ მოდის, არამედ ადამიანია ადამიანის ბედისწერა. ადამიანია ყოველგვარი სიკეთისა და ბოროტების სათავე. არსებობს ბოროტება და სიკეთე. ეს უკანასკნელი ანტიგონეს სიწმინდევში გამოვლენილი. ეს პაეროვანი არსება, „პირიმზე ანტიგონე“ სათუთი ყვავილივით გაჩერდება გაავებული კრეონის წინ და მისი ტლანქი სხეულის ქვეშ გაივლება, მოკვდება ჰემონიც. ანტიგონე აკლდამაში დარჩა, მაგრამ ყველაფერი აქ არ დამთავრებულა. ის მარად იცოცხლებს კაცთა შორის, როგორც სიკეთისა და მშვენიერების სიმბოლო... ეს ჭეშმარიტი ხელოვნებაა, ეს ოპტიმიზმი, ეს ტრაგედიის ახლებური წაიფიხვია.

„ანტიგონეს“ დადებით რევისორმა თამაშ მესხმა კიდევ უფრო გააღრმავა პრინციპები, რომელიც ფორმულის სახით შეიძლება ასე გამოიკვეთოს: თეატრი არ განიცდის ჩაგადნას თუ კლასიკას დავამ არა როგორც კლასიკას, არამედ როგორც თანადროულს. აქ ის ერთგული დარჩა ჯან ვილარის, მარია კახარისისა და გიორგი ტოვტომონოვკოვის თეატრალური მოძღვრებისა.



მოჭიქული ჭურჭელი პროვიანს

ცისანა კაკაბაძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კერამიკის ფონდში დაცულია ქართული მოჭიქული ჭურჭლის მდიდარი კოლექცია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შროშულ ნახელავს. შროშა საქართველოში ცნობილი კერამიკული წარმოების ცენტრია, სადაც უძველესი დროიდან მისდევენ თიხის ჭურჭლის წარმოებას. იგი მდიდარია საჭურჭლე მიწის საბადოებით. შროშულ კერამიკულ წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოჭიქულ, ე. წ. წამლავადრეზებული, ანუ „მოინგლისბურია“ ჭურჭლის წარმოებას. მთელ საქართველოშია ცნობილი შროშული ჭინჭილები, მოჭიქული ჯამები, ღვინის სასმელი „მარნები“, ჩარქიანი და ნახევარჩარქიანი ღვინის ღლები, ორსართულიანი, ე. წ. „სამლიტრიანი“ ჭინჭილები და სხვ. შროშული მოჭიქული ჭურჭლის შესანიშნავი ნიმუშების კოლექცია ეთნოგრაფიის განყოფილების სიმდიდრეს წარმოადგენს.

მოჭიქული ჭურჭლის საიდუმლოებას შროშაში მხოლოდ მოდებამკები ფლობენ. გვარის შიგნით ჭურჭლის კეთების დროს შეიმჩნევა შინაგანი დიფერენციაცია.

ნებისმიერი კერამიკული ნაწარმის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის დამუშავებული და მომზადებული საჭურჭლე მიწა. კარგად დაზედილი მიწა ჭურჭლის კეთების დროს საცხებით ემორჩილება ხელოვანს. ჭურჭელი იოლად იყურება.

ცუდად დამუშავებული მიწიდან გაკეთებულ ჭურჭელს არათანაბარი კეცი აქვს. იგი გამოწვის შემდეგ ჭურღფერს იღებს, არ ემორჩილება ჭურჭლის შემკობას და ულაზათია.

ყოველგვარი ჭურჭელი, მათ შორის მოჭიქულიც, შროშაში ხელის მორგვე კეთდება. მოჭიქულ ჭურჭელს იშვიათად აკეთებენ ხოლმე ჩარქიანზე დიდს.

შროშული მოჭიქული ჭურჭელი გამოირჩევა ფორმის დახვეწილობით, პროპორციულობით. აქ თითოეული ხელოსანი ამავე დროს ავტორია მის მიერ დამზადებულ ჭურჭელის ფორმისა და ორნამენტის. პატარა ზომის ჭურჭლის გაკეთება ხელოსნისაგან გამოცდილებასთან ერთად თითების მგრძობიარობასაც მოითხოვს. ხოლო ღვინის სასმელი მარნის დამზადება — მაღალ გემონებასა და ფანტაზიას.

შროშელი მეჭურჭლე არ არის მარტო შემსრულებელი, ის შემოქმე-




სამლიტრიანი.



ჭინჭილა.



ჭინჭილა.



საპინელი ღვინო.

დიც არის, რომელიც ეძებს ახალ ფორმებსა და შემეგობის ახალ-ახალ ხერხებს. ცდილობს ორნამენტით გაამდიდროს მის მიერ დამზადებულ ჭურჭელს. მორგვეხუ ხდება გაუმშრალი ჭურჭლის შემკობა „კობლებით“, რელიეფური ხაზებით, ყელზე შემოსხვილი მიწის ზოლებით, ყურძნის მტკეწებითა და სხვ. ნატოფად დამზადებული ფეხიანი და უფეხო ტინჯილები, „კობლებით“ შემკული და მალა აშვირილი „კობალითვე“ დამთავრებული ყური, ლამაზად გამოყვანილი წერილი, მადალი ყვლი ჭურჭელს მიმზიდველს ხდის, ხოლო ტიქურში ამოვლების შემდეგ სინათლისა და ჩრდილის კარგ შესამებას იძლევა.

რთული გასაკეთებელია ღვინის სასმელი მარანი და იგი ყველა ხელოსანს რდი შეუძლია. ჯერ მზადდება მარნის ცალკეული ნაწილები: ფეხი, სვეტები, მილები, ჭურები, რომელიმე ცხოველის (ვერძის ან ირმის) თავი, საწანხელი, მარნის ყური, გაზის ფოთლები და მტკეწები. მარნის შემადგენელი ნაწილების კეთების დროს ხელოსანი მორგვით სარგებლობს. მარნის აწყობა, შემადგენელი ნაწილების შეერთება მათი შემრობის შემდეგ ხდება.


მარანი შემკულია სკულპტურული

ფიგურებით: ჯიხვის ან ვერძის თავი, რომლის რქებზე შემოსხვილია ყურძნის მტკეწები და ვაზის ფოთლები; რქების ბოლოები ორ წინა პატარა ჭურში ეშვება. ორი უკანა ჭური ერთმანეთთან საწნახლით არის გადაბმული. ჭურები, საწნახელი, ჭურების შემართებელი მილი შემკულია კობლებითა და ყურძნის მტკეწებით. ამ ფიგურებს არა მარტო მატერული მნიშვნელობა აქვთ, არამედ წმინდა გამოყენებითი ფუნქციაც ეკისრებათ. კერძოდ, ვერძის ან ჯიხვის პირიდან ღვინო გადმოდის, მასაჰადამე, იგი ტურის მოვალეობას ასრულებს; საწნახელი ღვინის ჩასასხმელი ჭურჭლის როლს ასრულებს, საიდანაც ღვინო ტიქებში ნაწილდება. მარნის ყურსაც, რა თქმა უნდა, პრაქტიკული დანიშნულება აქვს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება თიხის ნაწარმის თანაბრად გამშრობა. ჭურჭელი შრება სპეციალურ ფარდულეში, გაშრობის დროს ჭურჭელს არიდებენ ქარსა და მუსხ ბზარების თავიდან ასაცილებლად. გათეთრებული ჭურჭელი გამშრალად ითვლება და მზადაა წითლად, ე. ი. პირველად გამოსწავად. წითლად გამოშვარი ჭურჭელი ან, როგორც ადგილობრივ იტყვიან ხოლმე, „თიხად გამოშვარი“ ჭურჭელი, მზად არის წამალში, ტიქურში ამოსავლება.

ტიქურს შრომაში წამალს, საღებავს და „ინგლისას“ უწოდებენ. აქ რამდენიმე ფერის ტიქურის დამზადების ხერხს ფლობენ. შავი, თეთრი, ყავისფერ-მოწითლო, ყავისფერ-ბადრჯინისფერი, მწვანე, ყვითელი. ტიქურის შემადგენელი ნაწილებია ტყვია, კალა, სპილენძის ჯანგი, შავი ქვა, თავმარალა-თეთრი კაგი, შუშა, ანუ „ბროლი“, ე. წ. კობროულას ქვა.

მოქიქული ჭურჭლის ვარგისიანობა დამოკიდებულია ტიქურის კაზმის კარგ მომზადებაზე, რაც ხელოსანისაგან დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ტიქურში ამოვლებამდე ერთხელ გამოშვარა ჭურჭელს ხატვენ, აჭრებებენ თვითნაკეთი ფურჯებით ან წერილ ჯოხზე დახვეული ბამბის საშუალებით. მისახა-



ხელადა.

ტავ მასალად ხმარობენ სპილენძის ჯანგს — „თოვალს“, ანუ სპილენძის ნარეგს, ნაფხვს. ჭურჭლის მოხატვა-დაჭრელება ხელოსანისგან მაღალ კვალივნებას მოითხოვს. კომპოზიციას ხელოსანი მოხატვის დროს ქმნის, რომელიც მთლიანად ხალხურ ტრადიციას ეყრდნობა. შავად და წითლად მოქიქული ჭურჭელი არ ჭრებდება, აჭრებლებენ ყვითლად, თეთრად. მტრედისფრად მოქიქულ ჭურჭელს. უკეთებენ წარწერებს: დამზადების თარიღს, კუთვნილების აღმნიშვნელ სახელებს და სხვ. ჭურჭლის მოხატვის დროს იყენებენ ქართულ ანიანს.

ჭურჭლის მომჭიქველი შრომელი ხელოსანი ნამდვილი ხელოვანია. იგი წინასწარ ახდენს წითლად გამოშვარი ჭურჭლის კლასიფიკაციას, ორ-ფერად მოსაჭიკავ ჭურჭელს ერთად აწყობს შესაბამისი ფერების წამლებთან; ერთფერად მოსაჭიკავი ჭურჭელი ცალკე აწყვია; მუქი (შავი, წითელი) ფერის ტიქურში ამოსავლები და მოჭრებელი ჭურჭელი — ერთად; თოვალით მოხატული ტინჯილები და ჯამები ყვითელ ან თეთრი ფერის ტიქურში ამოსავლებად არის გამზადებული და ა. შ.

ყვითელგვამიან ჭურჭელს თავი ყავისფერ ტიქურში აქვს შედებილი.



ზედა ფერის ჭიქური ყოველთვის ჩამოიღვრება ჭურჭლის გვამზე და მიიღება ყავისფერი და ყვითელი ფერების კარგი შეხამება. ჯამები ყოველთვის ორივე მხრიდან იჭიქება. შავად ან მუქ ყავისფრად მოჭიქული, მრავალი კობალით შემკული „სამლიტრიანი“ ჭინჭილები მოჭიქულა ქვედა სართულის ჭინჭილების შუა გვამამდე. ჭურჭლის ასეთი მოჭიქვა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, ჭიქურის ბრწყინვალემა კარგად ეხამება შროშული წითელი მიწის ბუნებრივ ფერს.

ჭიქურში ამოვლებულ ჭურჭელს გამოსაწვავად 10-12 საათი ყოფნის. ამ ხნის განმავლობაში ხელოსანი ქურას არ შორდება და გამუდ-

მებით ადვენებს თვალს გამოსაწვავ ჭურჭელს. ეს არის ჭურჭლის მეორედ გამოწვა.

შროშის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ჭიქურის ფერთა მრავალსახეობა, ჭურჭლის მოჭიქვის მაღალი გემოვნება, ნებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ჭიქურის მომზადება თანამედროვე ხალხური ხერხები იმ უძველესი ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენს, რომელსაც არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ.

საქართველოში მოჭიქული ჭურჭლის წარმოებას ღრმა ტრადიციები აქვს. შროშაში დამოწმებული მოჭიქული ჭურჭლის წარმოება და ის მდიდარი კოლექცია, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

არის დაცული, უძველესი ტრადიციების უშუალო გაგრძელებაა. შროშული მოჭიქული ჭურჭელი მიუღს საქართველოშია ცნობილი, ხოლო ხელოსანთა ხელოვნებას ბევრი კარგი შემფასებელი ყავს. შექმნილია კერამიკული ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებულია სოფელ შროშაში მცხოვრები ყველა ხელოსანი. ნავარაუდევია აიგოს კერამიკული საამქრო. შროშელ ხელოსანს საშუალება აქვს ნაწარმი სარეალიზაციოდ ჩააბაროს საბჭოთა მეურნეობას. შროშული მოჭიქული ჭურჭელი სუფრასზე მისატან, ღვინის სასმელ-სანადიმიო ჭურჭლად ითვლება. მას მხატვრულ ღირებულებასთან ერთად პრაქტიკული გამოყენებაც აქვს.



II მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ვიოლინო ხინათიბაძე.



კურსდამთავრებული კონტრაბასო ხინათიბაძე.

თ ბ ი ლ ი ს ვეოკა პენიკალური სასწავლებლის კონსერტი

7 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში შედგა თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის სიმებიანი განყოფილების კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც უფროსკლასელებმა, ისე კურსდამთავრებულებმაც.

კონცერტში წარმატებით გამოვიდა ამ სკოლის კურსდამთავრებული გიორგი ხინათიბაძე (პედაგოგიური ოფანეზოვის კლასი), რომელმაც შესასრულა სენსანის ნაწარმოებები.

მეოთხე კურსის სტუდენტი ჯემალ ანდლუაძე.



მეოთხე კურსის სტუდენტი ანეკა კოსიაძე.

საინტერესო იყო სხვა შემსრულებელთა ხელოვნებაც. მათ შეასრულეს ბახის, ჰენდელის, სენსანის, პროკოფიევის, ხრენიკოვის და სხვათა ნაწარმოებები.

სტუდენტებმა ნინო გეჯაძემ, ალექსანდრე მარჭარიანმა, ანეკა კოსიაძემ, დავით იმანიძემ, ჯემალ ანდლუაძემ და სხვებმა კმაყოფილება მიანიჭეს მსმენელებს.

ამ კონცერტმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თუ რა სერიოზულად ეკიდებიან საქმეს მეორე მუსიკალური სკოლის პედაგოგები და სტუდენტები.



გ. იოსელიანი.

ო რ ი

სიყვარული

ელენე საყვარელიძე

რუსთაველის თეატრის მეგობრები არ აკლია, მაგრამ მისთვის მაინც სასიხარულოა ისეთი მეგობრის შეძენა, როგორც ექიმი გუჩა იოსელიანია.

ამის დასაწყისი მეტად პროზაულია. აბა რა სასიამოვნოა საგასტროლო მოგზაურობის დროს მსახიობის მოულოდნელი ავადმყოფობა. ცნობილია ქუთაისის თეატრალური ტრადიციები და მაყურებლის მაღალი გემოვნება. პასუხისმგებლობა დიდი იყო. მაშინ საგასტროლოდ რუსთაველის თეატრის ნაწილი გაემგზავრა ქუთაისში, ყველას გარკვეული მოვალეობა ჰქონდა და, ცხადია, ავადმყოფი მსახიობის სასწრაფოდ შეცვლა ძნელდებოდა.

ერთ მსახიობს ხმა დაეკარგა და გ. იოსელიანს რომ დახმარება არ გაეწია, დიდი უხერხულობა შეიქმნებოდა. შორს წასვლაც არ დაგვჭირნდა. ქუთაისის თეატრის კულისებში ერთ ოთახს „საექიმო კაბინეტი“ ეწოდებდა და თეთრხალათიანი ფერმკრთალი მამაკაცი ყოველ საღამოს იღებს მსახიობებს, ამოწმებს და მკურნალობს მათს სახმო აპარატს.

გვიკვირს, რატომ რუსთაველის თეატრს არ ყავს საკუთარი ექიმი? აი რატომ: გუჩას მამა, ცნობილი პროფესორი ჭიჭიკო იოსელიანი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ქუთაისის თეატრში, მან გახსნა ეს კაბინეტი და უსასყიდლოდ ემსახურე-

ბოდა საყვარელ თეატრს. იგი მკურნალობდა ალ. იმედაშვილს, ი. ზარდალიშვილს და მათ მომდევნო თობას. მსახიობები სულსა და გულს ანდობდნენ ჭ. იოსელიანს, ენდობოდნენ მის დახვეწილ გემოვნებას.

რამდენიმე წელია, რაც ჭ. იოსელიანი გარდაიცვალა და ქუთაისის თეატრის საექიმო კაბინეტს გაუქმება მოელოდა, რომ მის შვილს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს — გუჩა იოსელიანს არ ეტვიტრთა მამის საქმის გაგრძელება, როგორც მედიცინაში, საერთოდ, ასევე აქაც — თეატრში. სწორედ ეს რამდენიმე წელია გუჩა იოსელიანი უსასყიდლოდ და ერთგულად დგას მშობლიუ-

რი ქალაქის ხელოვანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე. და როცა ვეკითხებთ მისი ასეთი თავდადების მიზეზს, იგი მოკრძალებით ვკავასუბობს: მე შევყარე ჩემი ორი სიყვარული — მედიცინა და თეატრი.

დღისით ჩვენ გ. იოსელიანთან ვართ საავადმყოფოში. უამრავი საქმის მიუხედავად იგი კიბეებზე გვეგებება. ხალათზე და რფელექტორზე სისხლის წვეთებს ვამჩნევთ, დღეს ოპერაციის დღეა, დადლილია და მაინც ყურადღებით ისმენს ჩვენს ჩივილს. შემდეგ მოიბოძლიშებს და ხუჭუჭა გოგონასთან ერთად საოპერაციო ოთახში გაუჩინარდება. მალე ბრუნდება, ამოწმებს ჩვენს ინგოლატარს და ახლა შიშისაგან თვალეგაგანიერებული ბიჭუნა შეკვავს საოპერაციოში, რომელსაც სასულეში ძვალი გადაცდა. სანამ ოპერაცია მიმდინარეობს, ჩვენ გვესმის მალეიერ მშობელთა თუ ბავშვთა სიტყვები: „ჩვენი კარგი ექიმი“, „ჩვენი კარგი გუნა ბიბია“.

სახლშიაც არა აქვს მოსვენება გ. იოსელიანს. რაიონებიდანაც კი ჩამოდიან ავადმყოფები და თუმცა და-

ლზე აინტერესებს ჩვენთან საუბარი, დაკვირვებულობის გამო მაინც ვერ ახერხებთ.

ერთ ავადმყოფს აკვირებული აზრი აქვს, თითქოს ათვისებიანი სიმსიენე ახრჩობს, — რა ფრთხილად და დამაჯერებლად აბათილებს ექიმი მის ეჭვს! რა მოთინებებით ელოლიაგება გაჭირვებულებულ ბავშვებს! მის მისაღებ ოთახშიც იგრძნობა, რომ აქ „ორი სიყვარული“ ბატონობს. სამედიცინო ხელსაწყოების გარდა აქ თეატრალურ ნიღბებსაც შეხვდებით. აი საფერფლე — შალიაპონი მეფისტოფელის როლი. ექიმმა იცის შალიაპონის მიერ ამ სახის შექმნის ისტორია, რომ იგი მილანში ტოსკანინის დირიჟორობით მღეროდ მეფისტოფელის პარტიას მაყურებელთა ტაშის გრიალში. ექიმს შებრალებია ეს შედევრი პაპიროსის ნაწმუწავებისათვის და კედელზე მიუმაგრებია.

გუნას მაგიდაზე ნახავთ ჟურნალებს „ზღოროფის“ და „საბჭოთა ხელოვნებას“, ხოლო წიგნების კარადაში ბ. პრეობრაჟენსკის, ი. სომოკინის, ა. ლინაოვის, კ. ხილოვის თუ

ა. ჩარგეიშვილის წიგნების გვერდებზე ბრწყინავენ კ. სტანისლავსკისა და ბ. ბელნსკის ნაწარმოებები, კ. მარჯანიშვილისა თუ ლ. მესხიშვილის მონოგრაფიები.

როცა გუნას ჭადარა დედა გაცივანით, ჩვენ მაინც გავიფიქრეთ, რომ სიღამაზე არ ბერდებოდა. ამ ქალს ჩაუნერგავს ხელოვნების სიყვარული შვილებისადმი. ამბობენ, იგი მოხდენილად ცეკვადაო „ქართულს“.


მთავრდება რუსთაველის თეატრის გასტროლები ქუთაისში, მეგობრულად ვეთხოვებით ჩვენს ახალ მეგობარს გ. იოსელიანს. დიდი იყო ჩვენი გაოცება, როცა იგი ბათუმშიც გვესტუმრა. მომხიბვლელია ბათუმი ივლისში: გრილი ნიავი ქრის მოსარკულ ზღვის სანაპიროზე. სიხალისეს იწვევს საყვარელი მელიდიები და ნავით სერიზობა ჩამავალი შშის ბილიკზე. თეატრში იმ საღამოს „სანამ ურემი არ გადაბრუნებულა“ მიდიოდა. გუნა ექიმი თმობს სანაპიროს მიზიდველობას და ისევ და ისევ მერამდენედ უყურებს ჩვენს წარმოდგენას.


შისნი ღე შინ არის?

პასუხი მერვე ნომრის სურათზე

ჩვენი ჟურნალის მერვე ნომრის 112-ე გვერდზე დაბეჭდილია მხატვარ სვერიან მაისაშვილის ნამუშევარი კახეთის მეფის, ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწისა და ცნობილი პოეტის თეიმურაზ პირველის (1589-1663 წ. წ.) პორტრეტი.

პორტრეტი შთამბეჭდავია, იგი ვადმოგვეცემს პოეტი მეფის სულიერ სამყაროსა და მის გრძნობებს. მამულზე ზრუნვაში გაჭლარაგებულ თეიმურაზ პირველის მტკიცე გამოსხედვაში შერწყმულია პოეტური სიფაქიზე რეაქციას სწორი პასუხები გამოუგზავნეს: გ. ხუ ბუ ამ (ცხაკაიას რაიონი), დ. ბეროშვილმა (სიღნაღის რაიონი), ს. გოგოშვილმა, მ. მაისურაძემ, ნ. თევზაიამ (თბილისი).





«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»

№ 9, 1970

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ, ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ,
НАУЧНО-ТЕОРЕТИЧЕСКИЙ ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ
МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

ОБ ОЗНАМЕНОВАНИИ 50-ЛЕТИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР И КОМУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ

ПРАЗДНИКУ — ДОСТОЙНУЮ ВСТРЕЧУ!

В журнале публикуется постановление ЦК КП Грузии, Президиума Верховного Совета и Совета Министров Грузинской ССР, а так же отчет первого заседания Республиканской юбилейной комиссии.

М. А.

ФОРУМ МУЗЫКАНТОВ- ИСПОЛНИТЕЛЕЙ

В статье автор знакомит читателей с итогами IV международного конкурса музыкантов-исполнителей им. Чайковского, проходившего недавно в Москве. Здесь же рассмотрены особенности трех предшествовавших конкурсов, даны сведения об участниках конкурса.

Автор статьи анализирует работу IV Международного конкурса, знакомит читателей с высказываниями музыкантов-исполнителей и членов жюри.

МЕДЕЯ АМИРАШАВИЛИ — ЛАУРЕАТ МЕЖДУНАРОДНОГО КОНКУРСА

Четыре года назад в Японии была основана интересная музыкальная традиция — был основан международный конкурс вокалистов на наилучшее исполнение партии Чю-

чио-сан. Этот конкурс посвящается памяти замечательной певицы, в прошлом несравненной Батерфлай — Томак Миуры.

Совсем недавно был проведен II международный конкурс в городе Осака — экспо-70.

Во II международном конкурсе участвовали 40 певец из разных континентов мира.

Конкурс состоял из четырех туров.

На IV туре выступили 8 певец, отсюда 6 участниц получили звание лауреата, двое — дипломы.

I премию и золотую чашу получила Вильяна Вернок — солистка Миланского театра Ла-Скала, II премию и среднюю золотую чашу — Джильда Груза Рома — солистка Метрополитен оперы, III премию и малую золотую чашу — Медея Амيرانашвили — солистка Тбилисского государственного академического театра оперы и балета им. Захария Палиашвили.

Телемак Мегрелишвили

СПЕЦИФИКА ХУДОЖЕСТВЕННОГО ИЗОБРАЖЕНИЯ

В статье рассматривается специфика художественного познания и связанные с ним теоретические вопросы.

Автор исследует особенности научного и художественного познания с их общими и различными признаками.

Корнелий Кинцурашвили

НЕКОЛЬКО СЛОВ О БАКУРИАНСКИХ СЕМИНАРАХ

Вот уже несколько лет, как по инициативе Центрального Комите-

та ЛКОМ Грузии в Бакуриани проводятся семинары работников литературы и искусств.

В статье дается обширный анализ работы этих семинаров.

ПРИЗНАНИЕ ГРУЗИНСКОЙ КНИГИ

(«ГРУЗИНСКИЕ РУКОПИСИ»)

В Грузии и раньше стремились издать и художественно оформить старые грузинские рукописи, но это удалось только лишь в текущем — 1970 году.

Огромная заслуга в деле издания древних грузинских рукописей принадлежит издательству «Хеловнеба» (директор Н. Гурабандзе), которое недавно выпустило в свет замечательно оформленную книгу «Грузинские рукописи» (автор вступительной статьи Елена Мачавариани, редактор Вахтанг Беридзе).

На XI Всесоюзной книжной выставке «Грузинские рукописи» получили высшую награду — диплом им. первопечатника Ивана Федорова.

В статье рассказывается о полиграфистах, создателях этой книги: Г. Хамашуридзе и О. Кобалиани, которые изготовили цветные фотографии, о художнике Зурабе Каланадзе, о цинкографах Нико и Ноэ Гогишавили, Гамлете Цагарели, печатнике Даниеле Кибилве, о коллективе переплетного цеха (инженер-технолог Карглос Дарчия), типографии издательства Центрального Комитета КП Грузии.

зинского театра. Театру принадле- жит каждый день его жизни. И сегодня этот пожилой и с честью выполнивший свой долг деятель встречает с радостью каждую новую постановку, каждую премьеру. Он все еще в театре, живет жизнью театра, т. к. театр был и остается его первой и последней любовью.

В статье расказывается о жизни и творчестве бескорыстного деятеля грузинского театра Поко Мургулия.

Александра Церетели

ОДИН ИЗ МНОГИХ

В Тбилисской государственной художественной академии учится молодежь, которая самоабзабно любит ту или иную отрасль изобразительного искусства, избранную ими. Они с большим старанием стараются тайнами мастерства овладеть, развить и отшлифовать свой художественный вкус и мышление.

Среди этой молодежи и Виталий Капанадзе.

С детских лет В. Капанадзе выявлял большой интерес к природе своей Родины и к историческим памятникам. Много путешествует и близко знакомится с природой и историческими памятниками Рачи, Имерети, Сванети, Кахети. Увлеченной красотой и величием этих мест, он создал множество зарисовок и этюдов. С целью обогащения своей творческой палитры В. Капанадзе путешествует и за границей.

В статье дается краткая творческая биография В. Капанадзе.

Вахтанг Долидзе

НОВОЕ ИССЛЕДОВАНИЕ
О ГРУЗИНСКОЙ АРХИТЕКТУРЕ

Это статья-рецензия о недавно вышедшей книге профессора Пармена Закарая «Древние крепости Грузии». Редактор книги член-корреспондент Академии наук Грузинской ССР, профессор Вахтанг Вуколович Беридзе (издательство «Мерани», Тбилиси, 1969 г., на русском языке).

Данное обширное исследование является результатом многолетней, кропотливой, последовательной, плодотворной работы, проведенной автором в деле фиксации оборонительных строений и отрасли исследования архитектурного отмирания.

ЭЛЛИНИЗМ И КОЛХИДА

ОДИН ЧАС
У СВЕТАНЫ КОРКОШКО

В статье автор рассматривает вопросы воздействия эллинистической культуры на Колхиду в свете новейших археологических открытий (нач. см. «Сабчота хеловнеба» № 2 — 1970 г).

Гурам Батшавили

РАЗДУМЬЯ
О ПЕРИФЕРИЙНЫХ ТЕАТРАХ

Автор рассказывает о той сложной и полной больших трудностей творческой жизни, которую ведут периферийные театры.

Антеры периферийных театров, — по словам автора, — необычайно перегружены. У них почти не остается времени работать над собой: репетиции, местные и выездные спектакли непомерно утомляют их. Руководящим организациям необходимо проявлять больше заботы о периферийных театрах.

Гурам Жваниа

ВЕЛИКАЯ ОТЕЧЕСТВЕННАЯ
ВОЙНА В ГРУЗИНСКОМ
ДОКУМЕНТАЛЬНОМ КИНО

Во время Отечественной войны советские кинематографисты вместе со всем советским народом встали на защиту Родины.

Перед документальным кинематографом выдвинулись новые задачи: вместе с прессой и радио действовать на укрепление морального духа армии и народа; раскрыть подлинную правду о происходящих исторических событиях; информировать, создать образ бойца — защитника Родины; создать летопись войны...

Сектор хроники Тбилисской киностудии командировал на фронт группу кинематографистов, в числе которых были режиссеры и операторы: А. Аджибегашвили, Л. Арзуманов, Г. Асатиани, О. Деканошидзе, В. Киласонидзе, Ш. Хомерики, Ш. Чагунава, которые с честью выполнили возложенные на них обязанности и создали 126 киножурналов, 43 специальных киносюжета, 8 экстренных выпусков.

НА ТВОРЧЕСКОМ ВЕЧЕРЕ
ЦИЦИНО ЦИЦКИШВИЛИ

Два десятилетия солистка Грузинской филармонии, заслуженная артистка республики Цицино Цицкишвили плодотворно служит грузинскому эстраднему искусству. Именно этой дате был посвящен творческий вечер, состоявшийся в Малом зале театра им. Руставели.

ВЫСТАВКА
МОЛОДЫХ ХУДОЖНИКОВ
В КУТАИСИ

По инициативе Совета творческой интеллигенции молодежи при Кутаисском городском комитете ЛКСМ Грузии и комиссии по работе среди молодежи Кутаисского отделения общества «Цодна» состоялось публичное обсуждение работ молодых художников, участвующих в зональной выставке Западной Грузии.

В связи с этим журнал публикует корреспонденцию Руты Беродзе и выступление искусствоведа Георгия Масхарашвили.

Надежда Шалуташвили

НА БЛАГО ТЕАТРА

История театра сохранила много имен способных руководителей, с большим усердием, увлечением и истинной любовью создававших театр. Одним из таких скромных деятелей, который отдал много энергии и любви грузинскому театру, является Поко Леванович Мургулия. Имя его известно не только в нашей республике, но и за ее пределами. Творческая деятельность П. Мургулия тесно связана с определенными периодами гру-

Василий Кикнадзе

ТВОРЕЦ
ПСИХОЛОГИЧЕСКОЙ
УСТАНОВКИ

Видный режиссер современного грузинского театра Лили Иоселиани обращает на себя внимание своеобразием художественного мышления. Осуществленные ею спектакли («Старые зурначи», «Мещане», «Счастье Ирины», «Обвал», «Любовь на заре», «Сказка о правде», «Семья» и др.) отличаются большой художественной правдивостью, психологизмом, целостностью и идейной глубиной.

Маманти Пачкорია

ИЗ ПРОШЛОГО ПОТИЙСКОГО
ТЕАТРА

До установления Советской власти в Грузии и в Поты, как и во многих других провинциальных городах история зарождения и развития театрального искусства с первых шагов испытывала большие трудности. Несмотря на множество трудностей любители сцены все же ухитрились ставить спектакли.

Кандидат исторических наук Маманти Пачкорია на основании фактического материала публикует интересные справки из театрального прошлого Поты, из истории основания ее драматической труппы.

Теймураз Сакарелидзе

ГРУЗИНСКИЙ КРЕСТ X—XI
СТОЛЕТИЯ В БЕРЛИНЕ

Множество памятников грузинской чеканки в разное время и разными путями очутились загра-

ницей. Многие из них с течением времени были возвращены на родину, некоторые пропали, остальные же находятся в музеях или у частных коллекционеров.

В 1939 году археологический институт Германии издал книгу — «Kunst der Spätantike im Mittelmeergebiet», которая представляет собой каталог образцов с краткими аннотациями и иллюстрациями, позднееантического и Византийского малого искусства.

На 39 таблице книги представлен крест с грузинской надписью, а в аннотации говорится: Крест. Серебряный, позолоченный, украшен эмалью. Берлин, частная собственность; из коллекции Боткина. Византийский (Из Грузии?) XII — XV века.

В данной статье доказано более раннее происхождение этого памятника. Автор относит его к X—XI вв. Выясняется также, что крест был основательно реставрирован в XVI столетии.

Отар Эгвадзе

НЕМЕЦКИЙ ДНЕВНИК

Журнал печатает окончание статьи о впечатлениях автора, полученных им в Дни грузинской культуры в ГДР.

Тамар Чавчавадзе

МОЙ ПУТЬ

«Мой путь» — представляет собой продолжение мемуарной статьи известной грузинской актрисы Тамар Чавчавадзе (начало см. в журнале «Сабчота хеловნება» в № 3—1970 год).

Элгуджа Гиунашвили

«АНТИГОНА» СОФОКЛА
В КУТАИССКОМ ТЕАТРЕ

Эта статья-рецензия на спектакль Кутаисского государственного театра им. Ладо Мехцишвили — «Антигона». Автор дает высокую оценку постановке режиссера Тамази Месхи. Особо выделяет актрису, исполнившую роль Антигоны Ц. Месхи и считает постановку большим успехом театра.

Цисана Какабадзе

ГЛАЗИРОВАННАЯ ПОСУДА
ИЗ ШРОША

В керамическом фонде отдела этнографии государственного музея Грузии хранится богатая коллекция грузинской оглазуренной посуды, в которой значительное место занимают изделия из Шроша. Шроша — известный центр керамического производства в Грузии, где с древних времен изготовлялась глиняная посуда.

Оглазуренная посуда из Шроша выделяется лаконичностью формы, пропорциональностью. Каждый мастер является автором и ормантатом и формы изготовляемой им посуды.

В статье говорится об истории создания Шрошской оглазуренной посуды.

Елена Сакарелидзе

ДВЕ ЛЮБВИ

В статье рассказывается о большой любви к искусству врача, кандидата медицинских наук Г. Иоселиани. Продолжая традицию своего отца известного профессора. Н. Иоселиани, он безвозмездно работает в Кутаисском драматическом театре как лечащий врач, каждый вечер принимает актеров, проверяет и лечит их голосовой аппарат.

САБЧОТА ХЕЛОВНЕБА

СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО

№ 9, 1970

СОДЕРЖАНИЕ

ОБ ОЗНАМЕНОВАНИИ 50-ЛЕТИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР И КОМУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ	4	Нопа Мухелишвили	
ПРАЗДНИКУ — ДОСТОЙНУЮ ВСТРЕЧУ . . .	6	ТВОРЧЕСКИЙ ОТЧЕТ ПЕДАГОГА	61
М. А.		Александра Церетели	
ФОРУМ МУЗЫКАНТОВ-ИСПОЛНИТЕЛЕЙ . . .	7	ОДИН ИЗ МНОГИХ	62
МЕДЕЯ АМИРАШАВИЛИ — ЛАУРЕАТ		Вахтанг Долидзе	
МЕЖДУНАРОДНОГО КОНКУРСА	12	НОВОЕ ИССЛЕДОВАНИЕ О ГРУЗИНСКОЙ	
Телемак Мегрелишвили		АРХИТЕКТУРЕ	65
СПЕЦИФИКА ХУДОЖЕСТВЕННОГО ИЗОБ-		Василий Кикадзе	
РАЖЕНИЯ	14	ТВОРЕЦ ПСИХОЛОГИЧЕСКОЙ УСТАНОВ-	
Корнелий Кинцуршвили		КИ	68
НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ БАКУРИАНСКИХ		Маманти Пачкория	
СЕМИНАРОВ	17	ИЗ ПРОШЛОГО ПОТНЯСКОГО ТЕАТРА	75
ПРИЗНАНИЕ ГРУЗИНСКОЙ КНИГИ	20	Теймураз Сахварелидзе	
Отар Лордкипанидзе		ГРУЗИНСКИЙ КРЕСТ X—XI СТОЛЕТИЯ В	
ЭЛЛИНИЗМ И КОЛХИДА	24	БЕРЛИНЕ	78
Гурам Батишвили		Отар Эгадзе	
РАЗДУМЬЯ О ПЕРИФЕРИЙНЫХ ТЕАТРАХ		НЕМЕЦКИЙ ДНЕВНИК	81
31		Тамар Чавчавадзе	
Гурам Жвания		МОЙ ПУТЬ	94
ВЕЛИКАЯ ОТЕЧЕСТВЕННАЯ ВОЙНА В		Гурам Пааташвили	
ГРУЗИНСКОМ ДОКУМЕНТАЛЬНОМ КИНО		«ОСЕННЯЯ ПЕСНЯ»	96
33		Элгуджа Гунашвили	
Агуаи Дадвани		«АНТИГОНА» СОФОКЛА В КУТАЙСКОМ	
ОДИН ЧАС У СВЕТЛАНЫ КОРКОШКО		ТЕАТРЕ	103
НА ТВОРЧЕСКОМ ВЕЧЕРЕ ЦИЦИНО ЦИ-		Цисана Какабадзе	
КИШВИЛИ	49	ГЛАЗИРОВАННАЯ ПОСУДА ИЗ ШРОША	
Рута Берозе		КОШЦЕРТ ТБИЛИССКОГО ВТОРОГО МУЗЫ-	
ИДЕТ ОДАРЕННАЯ МОЛОДЕЖЬ	53	КАЛЬНОГО УЧИЛИЩА	108
Георгий Масхарашивили		Елена Сахварелидзе	
ВЫСТАВКА МОЛОДЫХ ХУДОЖНИКОВ В		ДВЕ ЛЮБВИ	110
КУТАЙСИ	54	ЧЬЕ ПРОИЗВЕДЕНИЕ, КТО ИЗОБРАЖЕН?	112
Надежда Шалуташили			
НА БЛАГО ТЕАТРА	57		

На страницах номера: 2-3 — З. Капаназе — из серии «Ленинские дни». 8-9 — Лауреаты IV международного конкурса музыкантов-исполнителей имени П. И. Чайковского — Л. Исакадзе, З. Соткилава, фото П. Шевченко. 13 — М. Амيرانашвили, фото П. Шевченко. 20 — «Грузинские рукописи» (обложка), 21 — Диплом имени Ивана Федорова, Г. Квеладзе, Л. Табукашвили, Н. Гурабанидзе, З. Капаназе, В. Беридзе, Е. Мачавариани. 22 — Работники типографии — Г. Цагарели, Д. Кибилон. 23 — Работники переплетного цеха — Л. Банаташвили, Т. Томадзе, К. Дарчия, Н. Бершвили, фото М. Бабова. 24 — Скульптурное изображение головы льва. 28—Развалины круглого собора, культовое сооружение у преддверия. 29 — Преддверие, восьмиступенчатый алтарь. 34—37 — Кинорежиссеры: Г. Асатиани, И. Кандавак, Ш. Чагунава, Ш. Хомерики. 38-41 — Кинооператоры: А. Семенов, А. Филдпашвили, Г. Усенашвили, О. Деканосидзе, Л. Арзуманов, В. Кила-

сонидзе, А. Аджигегашвили. 42-43 — Бойцы 414-й анапской краснознаменной грузинской дивизии. 46 — С. Коркошко. 49-52 — На творческом вечере Ц. Цицкишвили, фотофоника — М. Бабова. 57 — П. Мургулия. 58-59 — П. Мургулия среди выдающихся деятелей литературы и искусства. 61 — Т. Чирекишвили. 62-63 — Работы художника В. Капаназе. 65 — П. Закарая. 66—Обложка книги П. Закарая. 69 — режиссер Л. Иоселиани. 72-73 — Сцены из спектаклей тбилисского театра. 79 — Грузинский крест в Берлине. 93, 102 — Хореографический ансамбль Тбилисского дома художественного воспитания. Танец «Молодежная», в исполнении этого ансамбля — фото М. Бабова; 104-105 — Сцены из спектакля «Антигона» в Кутаисском театре. 107-108 — Оглазуренная посуда из Шроша. 109 — Студенты Тбилисского II музыкального училища — фото М. Бабова. 110 — Г. Иоселиани. 11-112 — Чье произведение, кто изображен?

Гл. редактор Отар Эгадзе. Редакционная коллегия: Шалва Амيرانашвили, Гела Бандзеладзе, Карло Гогодзе, Дмитрий Джanelидзе, Алексей Мачавариани, Григорий Попахдзе, Натела Урушадзе, Ваню Цулукидзе.

Издательство ЦК КП Грузии. Тбилиси, 1970.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14. 93-93-59

Адрес редакции: Тбилиси, ул. Марджанишвили, 5. Тел. 95-10-24.

SABCHOTA KHELOVNEBA

SOVIET ART

№ 9, 1970

CONTENT

ABOUT THE CELEBRATION OF 50 YEARS ANNIVERSARY OF THE GEORGIAN SSR AND THE GEORGIAN COMMUNIST PARTY TO MEET THE CELEBRATION WORTHILY	4	Nona Muskhelishvili	CREATIVE ANNOUNT OF A TEACHER	61
M. A.	6	Alexandra Tsereteli	YOUNG PAINTER VITALY KAPANADZE	62
FORUM OF MUSICIANS	7	Vakhtang Dolidze	NEW BOOK ON THE GEORGIAN ARCHITECTURE	65
MEDEA AMIRANASHVILI - INTERNATIONAL COMPETITION LAUREATE	12	Vasil Kiknadze	LILI IOSELIANI - PRODUCOR OF PSYCHOLOGICAL MOOD	68
Telamak Megrelishvili	14	Mamanti Pachkoria	FROM THE PAST OF POTI THEATRE	75
Kornel Kintsurashvili	17	Teimuraz Sakvarelidze	GEORGIAN CROSS OF X-XI CENTURIES KEPT IN BERLIN	78
THE SPECIFIC OF ARTISTIC REPRESENTATION	14	Otar Egadze	GERMAN DIARY	81
SOMETHING ON SEMINARS IN BAKURIANI	17	Tamar Chavchavadze	MY WAY	94
ACKNOWLEDGMENT OF THE GEORGIAN BOOK	17	Guram Paataashvili	"THE AUTUMN SONG"	96
Otar Lordkipanidze	24	Elguja Giunashvili	"ANTIGONE AT KUTAISI DRAMA THEATRE	103
EI-LINIZM AND KOLKHETI	24	Tsisana Kakabadze	AZURE VESSEL FROM THE VILLAGE SHROSHA	107
Guram Batiashvili	31		CONCERT GIVEN BY THE II MUSICAL SCHOOL OF TBILISI	109
THOUGHTS ON PERIPHERAL THEATRE	31	Elene Sakvarelidze	DOCTOR GUCHA IOSELIANI - OUR FRIEND	110
Guram Zvania	33		WHOOZE THE PICTURE IS AND WHO'S ON IT?	111
THE GREAT PATRIOTIC WAR IN THE GEORGIAN DOCUMENTARY	33			
Aguli Dadiani	46			
AN HOUR WITH SVETLANA KORKOSHKO	46			
TSITSINO TSITSKISHVILI'S CREATIVE EVENING	49			
Ruta Berodze	53			
TALENTED YOUTH	53			
Giorgi Maskharashvili	54			
EXHIBITION OF YOUNG PAINTERS IN KUTAISI	54			
Nadezhda Shalutashvili	57			
IN THE SERVICE OF THEATRE	57			

Pages: 2-3 - From series "Lenin's Days" by Z. Kapanadze; 8-9 - L. Isakadze, Z. Sotkilava; 13 - M. Amiranashvili; 20 - "Georgian manuscripts" (cover); 21 - Diploma named after I. Feodorov; G. Kveladze, L. Tabukashvili, N. Gurabanidze, Z. Kapanadze, V. Beridze, E. Machavariani; 22 - Printers: P. Tsaqareli, T. Tomadze, K. Darchia, N. Berishvili; 24 - Sculptural image of a lion's head; 28 - Ruins of the Round Temple; cult building near the threshold; 29 - Threshold, sanctuary of eight steps; 34-37 - Producers: G. Asatiani, I. Kandelaki, Sh. Chagunava, Sh. Khomeriki; 38-41 - Camera-men: A. Semionov, A. Philipashvili, G. Huseinashvili O. Dekanosidze, L. Arzumanov, V. Kilasonidze, A. Ajibegashvili; 42-43 - Soldiers of the Anap Georgian division № 414; 46 - S. Korkoshko; 49-52 - Ts. Tsitskishvili's evening, pho-

to by M. Babov; 57 - P. Murgulia; 58-59 - famous figures of culture and literature; 61 - T. Charekishvili; 62-63 - Works of painter V. Kapanadze; 65 - P. Zakaria; 66 - Cover of his book; 69 - L. Ioseliani; 72-73 - Scenes from performances of Gori Drama Theatre; 79 - Georgian cross kept in Berlin; 93-102 - The dance company of the House of Artistic Education of Children in Tbilisi; Dance "Youth", performed by this company, photo by M. Babov; 104-106 - Scenes from performance "Antigone" of Kutaisi Theatre; 107-108 - Amuze vessel from the village Shrosha; 109 - On the concert given by the II musical school of Tbilisi, photo by M. Babov; 110 - G. Ioseliani; 111-112 - Whooze the picture is and who's on it?

SOCIAL-POLITICAL, LITERARY-ARTISTIC AND
SCIENTIFIC-THEORETICAL MONTHLY ORGAN OF THE
MINISTRY OF CULTURE OF GEORGIAN SSR.

Editor-in-Chief Otar Egadze. Editorial staff: Shalva Amiranashvili, Gela Bandzeladze, Karlo Gogodze, Aleksi Machavariani, Natela Urushadze, Grigol Pophadze, Dimitri Janelidze, Vano Tsulukidze.

SABTSCHOTHA CHELOWNEBA SOWJETKUNST

№ 9, 1970

INHALT

ZUM 50. JAHRESTAG DER GEORGISCHEN SOWJETREPUBLIK UND DER KOMMUNISTISCHEN PARTEI GEORGIENS ZUM WÜRDIGEN TREFFEN MIT DEM KOMMENDEN FEIERTAG!	4	Nonna Muschelischwili EINE SCHÖPFERISCHE RECHNUNG DES PÄDAGOGEN	61
M. A. FORUM DER AUSFÜHRENDE MUSIKER MEDEA AMIRANASCHWILI - PREISTRÄGERIN DES INTERNATIONALEN WETTBEWERBS	6 7 12	Alexandra Zeretheli EINER VON VIELEN Wachtung Dolide NEUE FORSCHUNG ZUR GEORGISCHEN BAUKUNST	62 65
Telemek Megrelischwili EIGENART DER KÜNSTLERISCHEN WIEDERGARE	14	Wassili Kiknadse SCHÖPFER DER PSYCHOLOGISCHEN STIMMUNG	68
Korneli Kinzuraschwili EINIGES ÜBER DIE SEMINARE IN BAKURIANI ANERKENNUNG DES GEORGISCHEN BUCHES	17 17	Mamanti Patschikoria AUS DER VERGANGENHEIT LES THEATERLEBENS IN PHOTI	75
Othar Lordkipanidse ELINISMUS UND KOLCHIS	24	Theimuras Sakwarelidse DAS GEORGISCHE KREUZ AUS DEN X-XI JH. IN BERLIN	78
Guram Bathiaschwili GEDANKEN ÜBER DIE THEATERKUNST IN DER PERIPHERIE	31	Othar Egadse DAS DEUTSCHE TAGEBUCH Thamar Tschawtschawadse MEIN SCHAFFENSWEG	81 94
Guram Shwania DER GROÙE VATERLÄNDISCHE KRIEG IN GEORGISCHEN DOKUMENTARFILMEN	33	Guram Paataschwili "HERBSTLIED"	96
Aguli Dadiani EINE STUNDE BEI SWETLANA KORKOSCHKO AM ABEND DES KÜNSTLERISCHEN SCHAFFENS VON Z. ZIKKISCHWILI	46 49	Elgudsha Giunaschwili SOPHOKLES "ANTIGONE" IM KUTAISSER THEATER	103
Rutha Berodse ES KOMMT DIE BEGABTE JUGEND	53	Zisana Kakabadse EIN GLASIERTES GEFÄÙß AUS DER ORTSCHAFT SCHROSCHA KONZERT DER ZWEITEN TBILISSER MUSIKSCHULE	107 109
Georg Maskaraschwili AUSSTELLUNG FÜR JUNGE MALER IN KUTAISI	54	Elene Sakwarelidse ZWEI LIEBEN	110
Nadeshda Schalutaschwili IM DIENSTE DES THEATERS	57	WESSEN IST ES UND WER IST DRAUF?	111

Auf den Seiten des Hofes: 2-3 - S. Kapanadse - aus der Reihe: "die Tage Lenins". 8-9 - L. Isakadse, S. Sotkilawa. 13 - M. Amiranashwili. 20 - "Georgische Handschriften" (Manuskripte), Umschlüge. 21 - Johann-Fedorows Diplome; G. Kweladse, L. Thabukaschwili, N. Gurabanidse, S. Kapanadse, W. Beridse, E. Matschawariani. 22 - Mitarbeiter Der Drückerei: H. Zagareli, D. Kibilow, 23 - Mitarbeiter der Buchbinderei: L. Banetaschwili, Th. Thomadse, K. Dartschia N. Berischwili. 24 - Skulpturbildnis eines Löwenkopfes. 28 - Ruinen des "runden Klosters", Kultanlage beim Haupteingang. 29 - Toreingang, achtstufiger Altar. 34-37 - Filmregisseure: A. Semionow, A. Philipaschwili, G. Huseinashwili, O. Dekanosidse, L. Arsumanow, W. Kilansidse, A. Adshibegashwili. 42-43 - Kämpfer der georgischen Rotbannerddivision in Anapa. 46 - S. Korkoschko. 49-52 - Am schöpferischen Abend von Z. Zikkischwili, Fotochronik von

Babiw. 57 - P. Murgulia. 58-59 - P. Murgulia unter den hervorragenden Vertretern des Kunstschaffens. 61 - Th. Tsherkeschischwili. 62-63 - Erzeugnisse des Malers W. Kapanadse. 65 - P. Sakaria. 66 - Schutzzumschlag des Buches von Sakaria. 69 - L. Joseliani. 72-73 - Szenen aus den Bühnenstücken des Theaters in Cori. 79 - Das altgeorgische Kreuz im Berliner Museum. 91-93 - Bei der festlichen Veranstaltung der musikalischen Gruppe des Kulturhauses für schöpferische Mitarbeiter, Fotochronik von M. Babow. 102 - Das choreographische Ensemble aus der Anstalt für künstlerische Jugendziehung. 104-105 - Szenen aus dem Bühnenstück des Kutaisser Theaters, "Antigone". 107-108 - Glasiertes Gefäß aus der Ortschaft Schroscha. 109 - Die Studenten der zweiten Tbilisser Musikschule bei der Ausübung ihrer Kunst, die Fotos von M. Babow. 110 - G. Joseliani. 111-112 - Wessen ist es und wer ist drauf?

POLITISCH—GESELLSCHAFTLICHE, BELLETRISTISCHE
UND WISSENSCHAFTLICH-THEORETISCHE
MONATSSCHRIFT DES KULTURMINISTERIUMS
DER GEORGISCHEN SSR.

Chefredakteur — Othar Egadse, Redaktionskollegium' Sch. Amiranashwili, G. Bandseladse, K. Gogodse, A. Matschawariani, N. Uruschadse, G. Popchadse, D. Dshanelidse, W. Zulukidse.



რეჟისორებო,

კომპოზიტორებო,

მხატვრებო,

არქიტექტორებო,

ჟორაობრალებო,

არქეოლოგებო,

თეატრის, კინოს, ბავშვის

მსახიობებო,

კულტურის მუშაელებო

ჩვენი ჟურნალი

მკითხველებო!

„საბჭოთა სელოვნება“

1971 წელს

«САБЧОТА

ХЕЛОВНЕБА»

В 1971 ГОДУ

არ დაგავიწყდეთ

ჟურნალ „საბჭოთა სელოვნების“ გამოცემა

1971 წლისათვის

სელმოცემა უკვე დაიწყო

უგეხსენებთ: განსაზღვრული ტირაჟის გამო დაგვიანებული

სელმოცემა უჟურნალოდ დარჩება 1972 წლამდე

იჩქარეთ! იგრუნეთ! გამოიწერეთ თქვენი ჟურნალი!

სელმოცემის ფასი ერთი წლით — 12 მან.

НАЧАЛАСЬ ПОДПИСКА НА ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ,
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ, НАУЧНО-ТЕОРЕТИЧЕСКИЙ
ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГССР

„САБЧОТА ХЕЛОВНЕБА“
(„Советское искусство“)

ПОДПИСНАЯ ЦЕНА НА ГОД — 12 РУБ.



6

ИНДЕКС
76177